

# **სოციალური დავები**

## **(შრომა და კომპენსაცია)**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2015, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2015, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2015, №11

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2015, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. შრომითი დავები

## ა. სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება

### პროკურორის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო პროკურორის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმების მიზნით

№ბს-525-512(კ-14)

19 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; სამსახურში აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 30 დეკემბერს ნ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი საქართველოს მთავარი პროკურორის 2012 წლის 15 დეკემბრის №267-მ ბრძანებით დაინიშნა ... რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 29 ოქტომბერს, დაახლოებით 09:40 საათზე, ქ. ქუთაისში, ... გამზირზე, რესტორან ... წინამდებარე ტერიტორიაზე, სამტრედიის მიმართულებით ავტომობილით მოძრაობისას მის წინ მოძრავმა ავტომობილმა დაამახრუჭა მოხვევის მიზნით ისე, რომ არ ჩაურთავს მოხვევის მაჩვენებელი. მოსარჩელემ დაამუხრუჭა, თუმცა მაინც მსუბუქად შეეჯახა მის წინ თანმხვედრ მოძრავ ავტომობილს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება არავის მიუღია. შეჯახებაში ბრალეულად მოსარჩელე მიიჩნევს და იგი 250 ლარით დაჯარიმდა. მოსარჩელის მითითებით, იგი არ იმყოფებოდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში. აღ-

ნიშნულ ფაქტზე 2013 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 15 აგვისტოს №96-მ ბრძანების ე.წ. შეუსრულებლობის ფაქტთან დაკავშირებით. მითითებული ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მუშაკებს, მათ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-გამოყენებასთან, საგზაოსატრანსპორტო შემთხვევასთან, ჩადენილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული სახდელის სახით სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ევალებათ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. გენერალურმა ინსპექციამ 2013 წლის 11 ნოემბრის დასკვნით დაადგინა, რომ ნ. ს-ის მიერ არ მოხდა გენერალური ინსპექციისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეტყობინება, რის საფუძველზეც მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე. საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანებით ნ. ს-ე დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. მოსარჩელის განმარტებით, მას ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, მის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას არ მოყოლია ადმინისტრაციული სახდელის სახით მისთვის სპეციალური უფლების ჩამორთმევა. შესაბამისად, მას არ გააჩნდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გენერალური ინსპექციისათვის შეტყობინების ვალდებულება. აღნიშნულის მიუხედავად, იგი აპირებდა ავტოსაგზაო შემთხვევის თაობაზე, სუბორდინაციის დაცვით, მისი უშუალო უფროსისთვის ეცნობებინა, მაგრამ კონკრეტულ დროს ... რაიონული პროკურორი იმყოფებოდა თათბირზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, რამაც გამოიწვია თვით საპატრულო პოლიციის მიერ გენერალური ინსპექციისათვის ინფორმაციის მინო-

დების დასწრება. მოსარჩელის მითითებით, დაუსაბუთებელია მისი განთავისუფლების ბრძანება, სადაც არ არის დასაბუთებული თუ რატომ მიიჩნია ადმინისტრაციულმა ორგანომ მიზანშეწონილად მის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება. გასათვალისწინებელია, რომ მის მიმართ დანიშნვიდან განთავისუფლების დღემდე ადგილი არ ჰქონია არც ერთი დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მისი პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანების ბათილად ცნობა, ... რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე აღდგენა და მოპასუხისათვის 2013 წლის 6 დეკემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნ. ს-ე საქართველოს მთავარი პროკურორის 2012 წლის 15 დეკემბრის №267 ბრძანებით დაინიშნა ... რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე. საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და 2013 წლის 11 ნოემბრის №13-004 დასკვნის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნ. ს-ის მიმართ კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დისციპლინური სახდელის – პროკურატურიდან დათხოვნის შეფარდება. საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანებით, ... რაიონული პროკურატურის პროკურორი, უმცროსი იურისტი ნ. ს-ე 2013 წლის 6 დეკემბრიდან დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან.

საქალაქო სასამართლომ მითითებით, 2013 წლის 29 ოქტომბერს 09:30 საათზე ... რაიონული პროკურატურის პროკურორის ნ. ს-ეს ქალაქ ქუთაისში, ... გამზირზე რესტორან ... წინამდებარე ტერიტორიაზე საკუთარი ავტომანქანით მოუვიდა ავარია, რის გამოც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააჯარიმეს 250 ლარით.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავარი პროკურორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთისა და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს, ქ. თბილისისა და საოლქო პროკურორებს, სხვა ქვემდგომ პროკურორებს, გამომძიებლებს და პროკურატურის სხვა მუშაკებს, ხოლო იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებზე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 15 აგვისტოს №96-მ ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მუშაკებს, მათ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-გამოყენებასთან, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან, ჩადენილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული სახდელის სახით სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ევალებათ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას. იმავე ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მასზედ, რომ დასახელებული ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილი უნდა იყოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმისათვის, რომ პროკურატურის მუშაკს წარმოემკვას ვალდებულება აცნობოს გენერალურ ინსპექციას. ბრძანებაში ნათლად და არაორაზროვნად არის მითითებული, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ პროკურატურის მუშაკმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გენერალურ ინსპექციას.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხ-

ლის პირველი პუნქტის თანახმად, პროკურატურის მუშაკი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხს აგებს საერთო წესით. საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2013 წლის 29 ოქტომბერს, 09:30 საათზე ... რაიონული პროკურატურის პროკურორს ნ. ს-ეს ქალაქ ქუთაისში, ... გამზირზე რესტორან ... წინამდებარე ტერიტორიაზე საკუთარი ავტომანქანით მოუვიდა ავარია, რის გამოც საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 250 ლარი. მომხდარი ფაქტის შესახებ მოსარჩელე საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 15 აგვისტოს №96-მ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად ვალდებული იყო ეცნობებინა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის, რაც მას არ შეუსრულებია. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პროკურატურის მუშაკის მიერ ფიცის გატეხვისათვის, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნა; საყვედური; უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა; თანამდებობიდან განთავისუფლება; პროკურატურიდან დათხოვნა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი გახდა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემომგების შესახებ 2013 წლის 11 ნოემბრის №13-004 დასკვნა, რითაც საქართველოს მთავარი პროკურორის წინაშე დაისვა საკითხი ... რაიონული პროკურატურის პროკურორის ნ. ს-ის მიმართ, მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მთავარი პროკურორი უფლებამოსილია პროკურატურის მუშაკის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელი. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის აუცილებელია იმ დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომლის დადებაც მხოლოდ მთავარი პროკურორის კომ-

პეტენციას განეკუთვნება, პროკურატურის შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი მთავარ პროკურორს წარუდგენს წინადადებას შესაბამისი დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემონმების შესახებ 2013 წლის 11 ნოემბრის №13-004 დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურორმა 2013 წლის 6 დეკემბერს გამოსცა №95-მ ბრძანება ... რაიონული პროკურატურის პროკურორის, უმცროსი იურისტის ნ. ს-ის 2013 წლის 6 დეკემბრიდან პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც დისკრეციული უფლებამოსილება, არის უფლებამოსილება რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაბომიერ განონანსწორობასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება საბოლოო ჯამში შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მისთვის დაბრკოლების შექმნა. ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჯარო – სამართლებრივ ვალდებულებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქმის გარემოებების გამოკვლევის, დასაბუთების და კანონმდებლობის შესაბამისად მომზადების, მიღების, გამოცემის თაობაზე ალტერნატივა არ გააჩნია და სწო-



რედ ამგვარი აქტი ექვემდებარება გასაჩივრების პირობებში სასამართლოს მხრიდან სრული სასამართლო კონტროლის განხორციელებას, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია იქონიოს მსჯელობა სადავო აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე, ანუ მის კანონიერებაზე. დავის გადაწყვეტისას, სასამართლო ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით. სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას სადავო გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის ასპექტებზე, აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება სცილდება სასამართლო კონტროლის ფარგლებს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურორი სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მხრიდან სადავო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო შეფასების შედეგად გამოიცა აქტი მოსარჩელესთან მიმართებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ივნისის განჩინებით ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმა-

ყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს, ევროპის სოციალურ ქარტიას, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. ამასთან, სადავო ბრძანება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი და იმავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ არ იქნა დაცული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, არ მოხდა საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერი განონასწორება და დაბალანსება. ამასთან, გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში; სასამართლოს მთავარ დანიშნულებას სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა წარმოადგენს, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ უფლების კანონიერების ფარგლებში გამოყენება. სასამართლომ არ გამოიყენა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი და არასწორად განმარტა იმავე კანონის 38-ე მუხლი. 34-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს პროკურატურის მუშაკის პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის საფუძვლებს. საქართველოს მთავარ პროკურორს მაშინ აქვს უფლება გამოიყენოს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი – პროკურატურიდან დათხოვნა, თუ ადგილი აქვს იმავე კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას. ნ. ს-ის მიერ კი ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი დისციპლინის უხემ ან სისტემატურ დარღვევას. აღნიშნულს მას არც ედავებოდა. გასაჩივრებული აქტი არ არის დასაბუთებული რატომ მიიჩნია ადმინისტრაციულმა ორგანომ მიზანშეწონილად ნ. ს-ის მიმართ გამოყენებულიყო ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – პროკურატურიდან დათხოვნა. კასა-

ტორის მითითებით, მისი დანიშნვიდან განთავისუფლებამდე ადგილი არ ჰქონია არცერთი სახის დისციპლინური სახდელის გამოყენებას.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, მას არ გააჩნდა ვალდებულება დაუყოვნებლივ ეცნობებინა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, მის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას არ მოჰყოლია ადმინისტრაციული სახდელის სახით მისთვის სპეციალური უფლების ჩამორთმევა. აღნიშნულის მიუხედავად, იგი აპირებდა ავტოსაგზაო შემთხვევისთანავე ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისი უშუალო უფროსისათვის, სუბორდინაციის დაცვით, მაგრამ კონკრეტულ დროს ... რაიონული პროკურორი იმყოფებოდა თათბირზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, რამაც გამოიწვია გენერალური ინსპექციისადმი თვით საპატრულო პოლიციის მიერ ინფორმაციის მინოდების დასწრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2015 წლის 22 იანვარს, 13:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებელი განჩინების მიღებისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ ვერ დაასაბუთეს ნ. ს-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის – ნ. ს-ის პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანებას საფუძვლად დაედო სამსახურებრივი შემონგების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2013 წლის 11 ნოემბრის №13-004 დასკვნა, რომლითაც საქართველოს მთავარი პროკურორის წინაშე დაისვა საკითხი ... რაიონული პროკურატურის პროკურორის ნ. ს-ის მიმართ, კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე. თავის მხრივ გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველი ნ. ს-ის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შეუტყობინებლობის ფაქტი გახდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებზე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 15 აგვისტოს №96-მ ბრძანების პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მუშაკებს, მათ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-გამოყენებასთან, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან, ჩადენილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული სახდელის სახით სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ევალეზბათ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას; ხოლო იმავე ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ბრძანება ახდენს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ იმ სამართალდარღვევათა ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც

პროკურატურის მუშაკებს წარმოუშობს გენერალური ინსპექციისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულებას. მითითებული ნორმით საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-გამოყენებასთან და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გენერალური ინსპექციისათვის შეტყობინების ვალდებულება დადგენილია, მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი პროკურატურის მუშაკი იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში. ხოლო აღნიშნული ნორმა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ იგი ჩადენილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული სახდელის სახით სპეციალური უფლების ჩამორთმევა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ გენერალური ინსპექციისათვის შეტყობინების ვალდებულება კუმულაციურად არ უკავშირდება სამართალდარღვევის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ჩადენას. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის – ნ. ს-ის მოსაზრებას, ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას და მიიჩნევს, რომ ნ. ს-ის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 15 აგვისტოს №96-მ ბრძანების სავალდებულო მოთხოვნა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით გენერალური ინსპექციისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულების თაობაზე.

აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ნ. ს-ის დამოკიდებულებაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტის შეტყობინების მიმართ და მიუთითებს კასატორის განმარტებაზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ იგი აპირებდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისი უშუალო უფროსისათვის, სუბორდინაციის დაცვით, მაგრამ კონკრეტულ დროს ... რაიონული პროკურორი იმყოფებოდა თათბირზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, რამაც გამოიწვია გენერალური ინსპექციისათვის თვით საპატრულო პოლიციის მიერ ინფორმაციის მიწოდების დასწრება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრება

საქმეზე არ წარმოდგენილა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში შეფასების საგნად უნდა იქცეს ნ. ს-ის მიმართ გამოყენებული „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – პროკურატურიდან დათხოვნის შესაბამისობა პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით პროკურატურის მუშაკის მიერ ფიცის გატეხვისათვის, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელებია: შენიშვნა; საყვედური; უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა; თანამდებობიდან განთავისუფლება; პროკურატურიდან დათხოვნა. თავის მხრივ პროკურატურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია აღნიშნული კანონის 34-ე მუხლით, რომლითაც პროკურატურის მუშაკის პროკურატურიდან დათხოვნის ერთერთ საფუძველს სამსახურებრივი დისციპლინის უხემად ან სისტემატურად დარღვევა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითბს, რომ მართალია ნ. ს-ისთვის დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილება არ უნდა იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად; დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი უპირველესად მიღებული გადაწყვეტილების დასა-

ბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ თუ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას ნაყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიცილოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას ნ. ს-ის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – პროკურატურიდან დათხოვნის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი სანქციის ალტერნატივის არსებობა კი სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა. ნორმაში ალტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია ნ. ს-ის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება რატომ ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამი-



სად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ნ. ს-ის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. საგულისხმოა ნ. ს-ის ქმედებამ რა ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და საჯარო წესრიგს; დაცულია თუ არა ნ. ს-ის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოყენებული დისციპლინური სახდელის თანაზომიერება უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ს-ის პროკურატურიდან დათხოვნის საფუძვლად ქცეული სამართალდარღვევა ჩადენილია გაუფრთხილებლობით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს მოსარჩელე არ იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას არ მოყოლია ჯანმრთელობის დაზიანება. ამასთან, მოსარჩელის მტკიცებით, მისი პროკურატურაში დანიშვნის დღიდან განთავისუფლების დღემდე მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის არცერთი ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული, რასაც არც საქმეში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს. ნ. ს-ისთვის სანქციის შეფარდების პროცესში ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინება კი განაპირობებს გამოყენებული დისციპლინური სახდელის ადეკვატურობას.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ნ. ს-ის პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანება და საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაევალოს საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით, კანონით დადგენილი წესით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდება



ნაწილობრივ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ნ. ს-ის პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 6 დეკემბრის №95-მ ბრძანება და საქართველოს მთავარ პროკურატურას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამომსახურებრიდან გათავისუფლების კანონიერება

## განჩინება

№ბს-628-615(კ-14)

2 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძუ-  
ლებით განაცდურის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-მა სარჩელი აღძრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მა-  
გისტრატ სასამართლოში მოპასუხე საგარეჯოს მუნიციპალი-  
ტეტის გამგეობის მიმართ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამ-  
გებლის 20.11.2013წ. №2183 ბრძანების ბათილად ცნობისა და  
სამუშაოზე აღდგენის, სახელფასო განაცდურის ანაზღაურე-  
ბის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 09.09.2013წ. დაინიშნა საგარე-  
ჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადმინისტრაციული სამსა-  
ხურის იურიდიულ განყოფილებაში საპეციალისტის თანამდე-  
ბობაზე, 08.10.2013წ. გადაიყვანეს ამავე განყოფილებაში მთა-  
ვარი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 21.10.2013 წ. დაი-  
ნიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრა-  
ციული სამსახურის იურიდიულ განყოფილების უფროსის მოვა-  
ლეობის შემსრულებლად და პარალელურად დაეკისრა ადმინის-  
ტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულება.  
მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა მაღალი პასუხის-  
მგებლობით, პროფესიულ დონეზე, რამაც გამოიწვია მისი სამ-  
სახურებრივი დაწინაურება, თუმცა საგარეჯოს მუნიციპალი-  
ტეტის გამგებლის 20.11.2013წ. №2183 ბრძანების საფუძველ-  
ზე მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე,  
გათავისუფლეს სამსახურიდან, გათავისუფლების საფუძველად  
სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიეთითა „სა-  
ჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხ-  
ლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი – „არადამაკმაყოფილე-

ბელი ჩვევების“ გამო, თუმცა რაში მდგომარეობდა აღნიშნული მოპასუხის მიერ არ იქნა მითითებული. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, სადავო აქტი გამოცემულია ზაკ-ის 60<sup>1</sup>, 53.2 მუხლების დარღვევით, სადავო აქტი არ არის დასაბუთებული, შეიცავს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს, ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით მას არ მისცემია მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 04.03.2014წ. გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე, 98.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.09.2010წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 9.2, მე-14 მუხლებზე, 26.11.2010წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №23 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების 1-ელ, 10.2 მუხლებზე და აღნიშნა, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ნ. ა-ს ევალებოდა განყოფილების და განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა, განყოფილების მოსამსახურეთა თანამდებობრივი მოვალეობების განსაზღვრა, სამსახურის უფროსისათვის წინადადებების წარდგენა განყოფილების მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, განყოფილების მოსამსახურეთა მიერ მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ორგანიზება, განყოფილების საქმიანობის ორგანიზება და დაგეგმვის წესის განსაზღვრა, განყოფილების მუშაობის სრულყოფის საკითხებზე წინადადებების შემუშავება, განყოფილების მოსამსახურეთა თანამდებობის აუცილებელი პირობების შექმნა მათი ფუნქციური მოვალეობების შესრულებისა და საიდუმლოების რეჟიმის, აგრეთვე შრომის შინაგანანგის მოთხოვნების დაცვისათვის, გამგებლის დავალებების შესრულება. მითითებულ მოვალეობათა განხორციელების დროს ნ. ა-ი პასუხისმგებელი იყო განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე. მოსარჩელე იმავდროულად ასრულებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობასაც, რა დროსაც მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამსახურის გამართული საქ-

მიანობისთვის. სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ა-ს, როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, მოეთხოვებოდა როგორც მინიმუმი იმ სამართლებრივი აქტების სრულყოფილი ცოდნა, რაც დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირებასთან, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლო განხილვასთან. ნ. ა-ს ამ აქტების ცოდნა არ გააჩნდა. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: ნ. ა-მა, თანამდებობაზე დანიშნვიდან რვა დღის შემდეგ, მოქალაქე ა. გ-ის განცხადებაზე 29.10.2013წ. მოამზადა პასუხი №1405, რომლის შინაარსიც არ შეესაბამებოდა განმცხადებლის მოთხოვნას და არასათანადოდ იყო არგუმენტირებული. კერძოდ, ა. გ-ი 16.10.2013წ. №4579 განცხადებით ითხოვდა ეცნობებინათ მისთვის კ. ც-ის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ნ. ა-მა კი პასუხი მოამზადა თავად განმცხადებლის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის დარღვევით მითითებულია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი „უფლებამოსილია“ აღადგინოს პიროვნება სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე და არა ვალდებული. ა. გ-ის განცხადება და მასზე პასუხი აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგოა, შეფასების გარეშე დარჩა ა. გ-ის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც განმცხადებელი ცდილობდა დაედასტურებინა განცხადებაში მითითებული გარემოებები.

სათანადო ჩვევების არარსებობის დამადასტურებელ გარემოებად სასამართლომ მიიჩნია აგრეთვე 05.11.2013წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი განცხადების, განმცხადებლისგან სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის მოთხოვნის გარეშე, ნ. ა-ის მიერ რეაგირებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისათვის გაგზავნა, რითაც დაირღვა ზაკ-ის მე-14, 73-ე მუხლები. სასამართლომ მიუთითა, რომ თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი. რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელის წარმომადგენელმა არ

უარყო ნ. ა-ის მიერ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირიდან შემოსული №ზ-497 განცხადების შემდგომი რეაგირებისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისთვის გადაგზავნის ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ განცხადების თავფურცელი შედგენილი იყო ქართულ ენაზე.

სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ ნ. ა-მა 06.12.2013წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 05.11.2013წ. შემოსული „...“ №ზ-497 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო საჯარო ინფორმაცია დასაქმებულ თანამშრომელთა სამტატო ნუსხის და შევებულებათა სიის შესახებ, სათანადო რეაგირების გარეშე გადააწერა კანცელარიას დასაარქივებლად მაშინ, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის გაცემა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.11.2010წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ სზაკ-ის 52-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით ნ. ა-მა 05.11.2013 წ. შეადგინა ბრძანების პროექტი თ. თ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ნ. ა-ის მიერ 06.11.2013წ. შედგენილი იქნა აგრეთვე წერილი, რომელიც შეიცავდა არასწორ ინფორმაციას შპს „პ...“ მიმართ, მოსარჩელემ პასუხი მიმართვაზე შეადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „პ...“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულების პირობების გაცნობის გარეშე. 23.10.2013წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ელფოსტაზე საქართველოს მთავრობიდან გადმოიგზავნა მიმართვა, რომლითაც რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ითხოვდა არაუგვიანეს 28.10.2013წ. მიენოდებინათ კომლების სია სატყეო ბარათების გაცემისას სახელმძღვანელოდ. კომლების სია შედგენილი უნდა ყოფილიყო ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით: 1. ოჯახი უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და 2. ოჯახში არ უნდა ყოფილიყო შეყვანილი ბუნებრივი აირი. აღნიშნული მომართვა არ გატარებულა კანცელერიაში, ხოლო ნ. ა-მა არასწორი ინფორმაცია გადასცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის რწმუნებულებს თითქოს შემის გაცემა უნდა მომხდარიყო ყველა ოჯახზე, ვინც რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში და მათ უნდა წარმოედგინათ სათანადო სია. მოგვიანებით მოსარჩელემ რწმუნებულებს გადასცა ინფორმა-

ცია, რომ წარმოსადგენი იყო მხოლოდ იმ ოჯახთა სია, ვისაც თავად თვლიდნენ აუცილებლად, რომ ესაჭიროებოდათ შეშა. გარდა აღნიშნულისა, მომართვაზე პასუხი არ იქნა გაგზავნილი დადგენილ ვადაში. მომართვაზე პასუხის გაცემა მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნ. ა-ი გათავისუფლდა სამსახურიდან.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2013 წლის 2 სექტემბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე მოხდა მისი თანამდებობრივი დანიშნულება, რაც მიუთითებს მის მაღალ კვალიფიკაციაზე. სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის 11 პუნქტზე, რომლის თანახმად მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურში მიღებულია კონკურსის წესით და დაკავებულ თანამდებობაზე ერთი წელი მაინც მსახურობს. ნ. ა-ი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში მუშაობდა საერთო ვადით 1 თვის და 11 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც 21.10.2013წ დაინიშნა იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად კონკურსის წესით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე, მასვე დაეკისრა აგრეთვე ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულება, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კუთვნილ შვებულებიდან გამოსვლამდე. შესაბამისად ნ. ა-ის მიერ 2013 წლის 9 სექტემბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობების დაკავება, კერძოდ: სპეციალისტის – მიუხედავად ამგვარი შტატის არარსებობისა, შემდეგ მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის და იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, სასამართლომ არ მიიჩნია სამსახურებრივ დანიშნულებად და ვერც იმის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ მოსარჩელე სათანადოდ ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

არ გაიზიარა სასამართლომ ასევე მოსარჩელის და მისი რწმუნებულების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ა-ს შესაძლებლობა არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მის წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში, გაცნობილიყო მტკიცებულებებს და გამოეხატა საწინააღმდეგო პოზიცია. სასამართლომ მიუთითა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ №4788 განცხადებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ ნ. ა-ი ითხოვს იმ მტკიცებულებების ნაწილს, რომლებიც საფუძ-

ვლად დაედო მისი სამსახურიდან გათავისუფლებას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატის სასამართლოს 04.03.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნ. ა-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2014წ. გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატის სასამართლოს 04.03.2014წ. გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 20.11.2013წ. №2183 ბრძანება ნ. ა-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეს სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცებულებებით არ დასტურდება ა. გ-ის განცხადებაზე ნ. ა-ის მიერ პასუხის მომზადება. უცხო ენაზე შედგენილ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის განცხადებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განცხადების უფლებამოსილი სამსახურისათვის გადაგზავნა დავას არ იწვევს. რაც შეეხება „...“ განცხადებას საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დასტურდება განცხადების კანცელარიისათვის დასაარქივებლად გადაგზავნა. „პ..“ მიმართვასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო გათავისუფლების საფუძვლად უთითებს პროფესიული ჩვევების არარსებობას, თუმცა მას ასაბუთებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გარკვეა რა შემთხვევას აქვს ადგილი ნ. ა-ის მიმართ – არადაამაკმაყოფილებელი უნარ-ჩვევების არსებობას, თუ არაჯეროვან შესრულებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო აქტი გამოიცა ზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა არსებობდა თუ არა რეალურად მოსარჩელის თანამდებობიდან გათავი-



სუფლებების საფუძველი, კონკრეტული დარღვევის არსებობის პირობებში უნდა ემსჯელა სახდელის ადეკვატურობაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დისციპლინური გადაცდომის პირობები ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, რაც ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას დისციპლინური სახდელის შეფარდებაში. დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს კანონიერ ფარგლებში (ზაკ-ის მე-6 მუხ.), არ დაიშვება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პირის უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო აქტი სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე და მოპასუხეს უნდა დაევალოს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში მსჯელობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე და 98-ე მუხლების ნორმათა მსგავსებაზე, ახდენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის არასწორ ინტერპრეტაციას და მას დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან აიგივებს, როდესაც მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს, რაც ასევე ვრცელდება ამავე კანონის 98.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების პირობებშიც და ანიჭებს ადმინისტრაციას დისკრეციას კონკრეტული სამართალდარღვევის გამო მოახდინოს ამ სამართალდარღვევის ადეკვატური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, თუ რომელი დისციპლინური სახდელი შეუფარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. კასატორი თვლის, რომ მოხელის გათავისუფლება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არაა დაკავშირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. დისკრეციული უფლებამოსილება ზაკ-ის თა-



ნახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. კონკრეტულ შემთხვევაში თუ დავუშვებთ იმას, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა ნ. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მაშინ გაუგებარია რა კრიტერიუმით უნდა დადგინდეს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა ან რაში გამოიხატება კანონის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადანყვეტილება, როდესაც მოხელეს ერთი თვის განმავლობაში დაშვებული აქვს არაერთი შეცდომა, როგორც ორგანიზაციული, ისე სამართლებრივი ხასიათის. კასატორის განმარტებით, საჭიროა განიმარტოს თუ რითი განსხვავდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლი იმავე კანონის 78-ე და 99-ე მუხლებისაგან. საჯარო მოსამსახურისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზნად ისახავს სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას. დისციპლინური პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობათა ბრალეული დარღვევისათვის განსხვავდება არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევებისაგან იმ ძირითადი ნიშნით, რომ თუ პირველ შემთხვევაში მოხელე ბრალეულად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე შემთხვევაში მოხელეს არ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არასათანადო ცოდნის ანდა გამოცდილების გამო, რომლის გამოსასწორებლად საკმარისი არაა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება, რადგან მას არანაირი შედეგი არ მოყვება სამომავლოდ იგივე ხასიათის დარღვევის აღმოსაფხვრელად. დისციპლინური პასუხისმგებლობისას ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება და დარღვევის სიმძიმის, ხასიათის, მიყენებული ზიანის გათვალისწინებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ 78-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური ზომებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები ზომა, რომელიც უზრუნველყოფს სამომავლოდ მსგავსი შემთხვევების აღმოფხვრას. არადამაკმაყოფილებელ პროფესიულ უნარ-ჩვევების აღმოფხვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებით შეუძლებელია, რის გამოც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ცალ-ცალკე ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევას დისციპლინური გადაცდომისა და დაკავებული თანამდებობის შეუსაბამობის გა-

მო. ნ. ა-ის მიერ დაშვებული იყო არაერთი შეცდომა, მათ შორის სამართლებრივი ხასიათის, რაც აშკარად მიუთითებს მის არასათანადო პროფესიულ ჩვევებზე. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზაკ-ის 53-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის გარემოება, რომ ნ. ა-ისათვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო მის სამსახურიდან გათავისუფლებას. კასატორისათვის გაუგებარია რა სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ არასწორად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, საიდან დგინდება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას დისკრეციული უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნ. ა-ს დროის მოკლე პერიოდში 2013 წლის 21 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე დაშვებული ჰქონდა არაერთი არაერთგავროვანი სამართლებრივი და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა, რაც აშკარად მიუთითებდა მის არასათანადო პროფესიულ ჩვევებზე, რამაც საბოლოოდ გამოიწვია არასწორი ნორმის გამოყენება სადავო საკითხის გადაწყვეტისას. კასატორი აღნიშნავს, რომ 05.11.13წ. ნ. ა-ის მიერ შედგენილ იქნა ბრძანების პროექტი თ. თ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, პროექტი შედგა გამგეობის ბლანკით, რაც წარმოადგენს ზაკ-ის 52-ე მუხლის დარღვევას. შპს „პ...“ მიმართვაზე მოსარჩელის წერილი შედგა გამგეობასა და შპს „პ...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გაცნობის გარეშე. არასწორი ინფორმაცია გაიცა ნ. ა-ის მიერ სოფლის რწმუნებულებზე სატყეო ბარათების გაცემის წესთან დაკავშირებით. ნ. ა-ის მიერ განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულების დროს არის შედგენილი 29.10.13წ. №1405 პასუხი, იმ შემთხვევაშიც, თუ პასუხი მის მიერ შედგენილი არ ყოფილა, ის ვალდებული იყო შეემთხმებია მისი სისწორე, ვინაიდან განყოფილების უფროსი პასუხს აგებს განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებაზე. ნ. ა-მა ინგლისურ ენაზე შედგენილი განცხადება გადაუგზავნა სხვა სამსახურს, რითაც დაარღვია ზაკ-ის 80.1 მუხლის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აპელანტის არასათანადო მოქმედება, სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევა და არა უფლებამოსილი ორგანოს საკითხის განხილვა. სააპელაციო პალატამ უსაფუძ-

ვლოდ გაიზიარა ნ. ა-ის მოსაზრება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ №8-497 განცხადებასთან დაკავშირებით და არ გაითვალისწინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების 3.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 4.2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად ადმინისტრაციული სამსახურის ამოცანაა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ახორციელებს გამგეობის დებულებით და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს, რაც მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემის უფლებამოსილებასაც. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების მე-6 მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და კადრების განყოფილების უფლებამოსილებები, არაფერია მითითებული საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ნ. ა-მა განცხადება დაანერა კანცელარიას.

კასატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა 53.4 მუხლი, არადაპროცესული ნორმატიული აქტების გამო გათავისუფლება არ განეკუთვნება დისკრეციულ უფლებამოსილებას. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს თავისუფლებას კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ზაკ-ის 53.7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა აქტი. ნ. ა-ისათვის ცნობილი იყო ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გათავისუფლებას სამსახურიდან, მას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა და გამოეთქვა საწინააღმდეგო პოზიცია.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებე-

ბის მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ა-ი 09.09.13წ. ბრძანებით დაინიშნა სპეციალისტად, 08.10.13წ. №1864 ბრძანებით – მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად, 21.10.13წ №1963 ბრძანებით – მთავარი სპეციალისტი დაინიშნა იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის წესით მოხელის თანამდებობაზე დაინიშნა მდე, ხოლო 21.10.13წ. №1964 ბრძანებით მას დაეკისრა აგრეთვე ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ვალდებულება, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შვებულებიდან გამოსვლამდე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 20.11.13წ. №2183 ბრძანებით ნ. ა-ი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2013 წლის 21 ნოემბრიდან. ბრძანების საფუძვლად მიეთითა „ადგილობრივი თვითმართვლობის შესახებ“ ორგანული კანონის 39.3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, 44.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე, 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 110-ე, 127-ე მუხლები.

არასათანადო კვალიფიკაციის ნიშნით თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო სამსახურიდან გათავისუფლება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია არამხოლოდ ატესტაციის შედეგების (98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) მიხედვით, არამედ აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების (98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი) გამო. თანამდებობასთან შეუსაბამობა პირის გათავისუფლებას იწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია. სამუშაოს შეუსრულებლობა სხვა მიზეზებით (მაგ. ბრალეული შეუსრულებლობა ან ხარვეზებით შესრულება) არ წარმოადგენს ამ საფუძვლით გათავისუფლების პირობას. არასათანადო კვალიფიკაცია შესაძლოა გამოვლინდეს სათანადო ცოდნისა და თვისებების არარსებობაში. არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს მაშინ, როდესაც დაბალი პროფესიული მომზადების დონის გამო მუშაკის მხრიდან არაერთჯერადად ადგილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას. მუშაკის პროფესიული ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან

ობიექტური მონაცემებით უნდა დასაბუთდეს, დავის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო ხელმძღვანელ თანამდებობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში თანამდებობიდან გათავისუფლება არ ნიშნავს სავალდებულო წესით მუშაკის საერთოდ სამსახურიდან დათხოვნას. ნ. ა-ის 2013 წლის 9 სექტემბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში სპეციალისტად, მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად და იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა თავისთავად ადასტურებს განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნამდე მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, სათანადო უნარ-ჩვევების გამოვლენას. ამასთანავე, ყველა სპეციალისტს არ ძალუძს მმართველობითი, საორგანიზაციო საქმიანობის განხორციელება, სპეციალური განათლება არ არის საკმარისი დაკავებულ თანამდებობასთან უდავოდ შესაბამისობის, ხელმძღვანელი მუშაკისათვის საჭირო ორგანიზატორული თვისებების დასადასტურებლად, ხელმძღვანელი მუშაკისათვის საჭირო საქმიანი თვისებების არასაკმარისობა შესაძლოა გახდეს ხელმძღვანელის ამ მოტივით თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციის არასათანადოდ შესრულებას ასეთ შემთხვევაში უნდა გამოენჯია არა საერთოდ სამსახურიდან დათხოვნა, არამედ დაქვეითება, მისი სხვა პოზიციაზე გადაყვანა, მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა დასაშვები იყო სხვა სამსახურში გადაყვანაზე მუშაკის შეუძლებლობის შემთხვევაში (მოსამსახურის უარი შეთავაზებულ ალტერნატიულ სამსახურზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ობიექტური მიზეზით გამოწვეული დამსაქმებლის მოთხოვნების მკვეთრი გაზრდა, სხვა ალტერნატიული სამუშაო ადგილის შეთავაზების შეუძლებლობა), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციას გააჩნდა საკადრო როტაციის შედეგად ნ. ა-ის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან დაქვეითების შესაძლებლობა.

არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლების საფუძვლის („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლი) განსხვავება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან (კანონის 78-ე, 99-ე მუხ.) არ ქმნის სააპელაციო სასამარ-

თლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური გადაცდომა, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული დარღვევა განსხვავდება არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო თანამდებობრივი შეუსაბამობისაგან, თუ პირველ შემთხვევაში მოხელე ბრალეულად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე შემთხვევაში მოხელეს არ ძალუძს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება არასათანადო ცოდნის, არასაკმარისი ჩვევების გამო. არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების შემთხვევაში მუშაკის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შეუძლებლობა არ ნიშნავს უსათუოდ სამსახურიდან მის გათავისუფლებას. საკსაცო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდეს კომპეტენტურად, აღნიშნული არის მოხელის არა უფლება, არამედ ვალდებულება. ამასთანავე, მოხელის კვალიფიკაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები განსხვავებულია საჯარო სამსახურში მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობისდამიხედვით. აღნიშნულის გამო არადაამაკმაყოფილებელი ჩვევები, არასათანადო კვალიფიკაცია შესაძლოა გახდეს სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი იმ შემთხვევაში, უკეთუ არ არსებობს სხვა, მოხელის კვალიფიკაციის შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვის სამსახურში მისი დასაქმების შესაძლებლობა ან თუ ასეთ გადაყვანაზე უარს ამბობს მოხელე. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება სხვა პოზიციაზე მოსარჩელის დასაქმების წინადადება ან/და ნ. ა-ის უარი მის გადაყვანაზე. მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობასთან შეუსაბამობის და არა საერთოდ არაპროფესიონალიზმის გამო. აღნიშნულის მიუხედავად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 20.11.13წ. №2183 ბრძანე-

ბით შეწყდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა ნ. ა-სა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის. შრომითი ურთიერთობის დროს დასაქმებული ექცევა დამსაქმებლის ნების ზეგავლენის ქვეშ, დამოკიდებული ხდება მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება მოსამსახურისათვის ალტერნატიული წინადადებების შეთავაზება, ხოლო დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ცალმხრივი ნების გამოვლენა – სამსახურიდან მოხელის გათავისუფლება არ არის შეუზღუდავი. ნ. ა-ის გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლი, რომელიც არ მოიცავს დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლების შემთხვევას, საქმის მასალებით არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზება, ნ. ა-ის უარი სხვა სამტატო ერთეულზე გადაყვანაზე, მოსარჩელემ არაერთგზის დაადასტურა დავის მორიგებით დამთავრების მზაობა, მოპასუხეს მორიგების პირობები არ წარმოუდგენია.

მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობასთან შეუსაბამობის და არა საერთოდ არაპროფესიონალიზმის გამო. თანამდებობასთან შეუსაბამობა ობიექტური მონაცემებით უნდა დასტურდებოდეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ერთევიან პერიოდში (2013 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 20 ნოემბრამდე) საქმიანობის ხარვეზიანობის უმეტესობა ეხება ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას განკუთვნილ საკითხებს, რომლის შესრულება ნ. ა-ს დაეკისრა დროებით, სამმართველოს უფროსის შევსებაში ყოფნის პერიოდის განმავლობაში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.11.10წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების მე-3, მე-6 მუხლების თანახმად, ინგლისურ ენაზე შედგენილი ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის განცხადების განსჯადობით შესაბამისი ქვედანაყოფისათვის გადაგზავნა, „...“ განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების გადასაწყვეტად კანცელარიისათვის გადაცემა, კომლების სიის შესახებ ცნობის შედგენა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების წრეს, რომლის მოვალეობის შესრულება მოსარჩელეს დაეკისრა დროებით, სამ-



სახურის უფროსის შვებულებიდან გამოსვლამდე. მოხელეს დროებით შეიძლება დაეკისროს იმ ფუნქციების შესრულება, რომელიც არ შედის მის მოვალეობაში, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ამ ფუნქციების შესრულების სათანადო კომპეტენცია. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ფუნქციის არასათანადო შესრულება ქმნიდა ნ. ა-ის ამ ფუნქციის შესრულებისაგან განთავისუფლების, ამ ფუნქციის ადმინისტრაციულ სამსახურში შემავალი სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის დაკისრების და არა ნ. ა-ის სამსახურიდან საერთოდ განთავისუფლების საფუძველს, ვინაიდან შეუსაბამობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ თანამდებობასთან, რომელიც პირს უკავია. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ არ დგინდება განმცხადებელ ნ. გ-ისათვის გაგზავნილი 29.10.13წ. №1405 პასუხის პირადად ნ. ა-ის მიერ შედგენა. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების 10.2 მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ სამსახურის განყოფილების უფროსი ახორციელებს განყოფილების და განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და პასუხს აგებს განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე, არ ნიშნავს უფროსის მიერ ყველა დოკუმენტის პროექტის უშუალო მომზადებაში მონაწილეობას, მოცემულ შემთხვევაში არ არის გარკვეული თუ რას ჰქონდა ადგილი – განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შიდა კონტროლის ხარვეზიანობას თუ არაკომპეტენტურობას. ინგლისურ ენაზე შედგენილი განცხადების განსჯადობით გადაგზავნა არ ნიშნავს მისი არსებითი განხილვის გადასანყვეტად გადაცემას, განსჯადი ორგანოსთვის განცხადების გადაგზავნა არ გამორიცხავდა, უფრო მეტიც – გულისხმობდა განსჯადი სტრუქტურული ერთეულის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად განმცხადებლისათვის ვადის მიცემას, შესაბამისად, არ დასტურდება ზაკის 80.1 მუხლის დარღვევა. საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე „...“ განცხადების კანცელარიისათვის დასაარქივებლად გადაცემა, მოსარჩელის განმარტებით კანცელარიისათვის განცხადების გადაცემა განაპირობა მოთხოვნილი ინფორმაციის ამ სტრუქტურაში არსებობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.09.10წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის წარმოებისა და კადრების განყოფილება უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის საინფორმაციო მომსახურების განევას. საკასაციო სასამართლო



იზიარებს აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გამგეობასა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გაცნობის გარეშე დასკვნის მომზადება, პასუხის დაგვიანებით გაცემა სცდება იმ სამართლებრივ საფუძველს („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი), რომლის გამო იქნა განთავისუფლებული სამსახურიდან მოსამსახურე, აღნიშნული არის არა კომპეტენციის დონის, არამედ სამსახურებრივი დისციპლინის შესაძლო დარღვევის მაჩვენებელი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯარო მოსამსახურე უნდა იყოს ინფორმირებული მის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე, მოხელე უნდა ჩაერთოს წარმოების პროცესში. საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. ა-ისთვის იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც საფუძველად დაედო მისი სამსახურიდან გათავისუფლებას, არ დასტურდება მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში თავისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა. სადავო აქტის გამოცემის დღეს (20.11.13წ) ნ. ა-ის მიმართვა განცხადებით არ ადასტურებს მის ჩართულობას ადმინისტრაციულ პროცესში. ადმინისტრაციის მიერ არ შედგენილა ნ. ა-ისთვის საქმის წარმოების მასალების გაცნობის, მისთვის საინინალმდეგო აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. გამგეობის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ გამგეობაში საკითხის განხილვისას ნ. ა-მა უარი განაცხადა ახსნა-განმარტებების მიცემაზე და საინინალმდეგო მოსაზრებების გამოთქმაზე, არ დასტურდება დოკუმენტალურად. სადავო აქტში არ არის მოყვანილი სამსახურიდან ნ. ა-ის გათავისუფლების მოტივაცია მაშინ, როდესაც სზაკ-ის 53.2 მუხლის თანახმად, წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან, ადმინისტრაციულ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. სადავო აქტი უთითებს მხოლოდ კანონმდებლობის ნორმებს, რომელიც საფუძველად დაედო აქტის გამოცემას, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს რაიმე არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აქვთ ამ ნორმებს კავშირი კონკრეტულ შემთხვევასთან. აღნიშნულის

შესახებ არგუმენტაცია არც საქმის განხილვის პროცესში იქნა წარმოდგენილი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის გენერალური, საკანონმდებლო რეგულაციის ინდივიდუალურ რეგულაციაში გადაყვანის საშუალება, შესაბამისად, მასში უნდა დასაბუთდეს გენერალური რეგულაციის (საკანონმდებლო ნორმების) ინდივიდუალურ შემთხვევასთან კავშირი. სადავო აქტი ასეთ დასაბუთებას არ შეიცავს. ამასთანავე, სახეზე არ არის სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტის წერილობითი დასაბუთების გამომრიცხავი გარემოება, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დაინტერესებული პირისთვის (მოსარჩელისათვის) ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემას. კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოხელის გათავისუფლება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო) არ არის დაკავშირებული დისკრეციულ უფლებამოსილებასთან, არ ქმნიდა სადავო აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას, ვინაიდან სახეზე არ არის სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გამომრიცხავი გარემოება, საქმეში დაცული მტკიცებულებებით (კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლების დღეს ნ. ა-ის მიერ შედგენილი განცხადებით) დასტურდება, რომ ნ. ა-ისათვის უცნობი იყო სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი, რაც დამატებით ადასტურებდა სადავო აქტის დასაბუთების საჭიროებას, ვინაიდან სწორედ დასაბუთებას უკავშირდება გასაჩივრების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 01.07.03წ. გადაწყვეტილება საქმეზე „კლემეს ნორდი შვედეთის წინააღმდეგ“, 01.04.10წ. გადაწყვეტილება საქმეზე „გ. მიხაილოვი რუსეთის წინააღმდეგ“, §54).

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას განსახილველ შემთხვევაში დისკრეციული სფეროს არარსებობის, სრული განსაზღვრულობის შესახებ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. კანონის 98-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გა-

მო სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას, უკანასკნელი არ განეკუთვნება დისციპლინური გადაცდომის სახეს, რაც არ გამოირიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას. მართალია მოხელის არასათანადო კვალიფიკაცია ქმნის მოხელის სამსახურიდან დათხოვნის პირობას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დისკრეციის, შეფასების სფეროს განეკუთვნება თვით მოხელის არასათანადო უნარ-ჩვევები, მისი კვალიფიკაციის შეფასების საკითხი. უკვე აღინიშნა, რომ არასაკმარისი პროფესიული ჩვევები არ იწვევს უცილობლად მუშაკის სამსახურიდან დათხოვნას, გათავისუფლების გარდა შესაძლებელია განისაზღვროს კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა, დაქვეითება, ალტერნატიული სამსახურის შეთავაზება. სამსახურიდან დათხოვნა გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელს არ აქვს ობიექტურად სხვა ალტერნატიული სამსახურის შეთავაზების ან სხვა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენების შესაძლებლობა. ამდენად, ვინაიდან არ იყო გამოირიცხული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ალტერნატიული გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო გადანყვეტილება არ იყო მიღებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება საჭიროებს წერილობით დასაბუთებას, მასში ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების მითითებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. აღნიშნულის გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ მუშაკის შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან ობიექტური მონაცემებით უნდა საბუთდებოდეს, ხოლო დავის შემთხვევაში ადმინისტრაციას აკისრია შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ სადავო აქტით გამოყენებულ იქნა უკიდურესი ზომა – სამსახურიდან დათხოვნა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტში ადმინისტრაციას უნდა მოეყვანა მოხელის არასათანადო პროფესიული ჩვევების, ასევე მისი სხვა პოზიციაზე გამოყენების შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოებები, გამოეკვლია ყველა გარემოება და დაესაბუთებია სხვა გადანყვეტილების მიღების შეუძლებლობა, რასაც ადგილი არ ჰქონია.

კასატორის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ნ.ა-ის მიერ ჩადენილი ცალკე აღებულ თვითოეული დარღვევა თუ დავა-

ლების შესრულების დროს არაეფექტური მოქმედება არ წარმოადგენდა ისეთ არსებით დარღვევას, რომელიც გამოიწვევდა სამსახურიდან გათავისუფლებას. ამდენად, გაუგებარია, თუ რატომ არ იყო შესაძლებელი მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შეფასების დადგენა ატესტაციის პროცედურის კვალდაკვალ ან კონკურსის ჩატარებით, რომლის ჩატარებამდეც იყო დანიშნული ნ. ა-ი თანამდებობაზე. საქმის მასალებით დასტურდება და დავას არ ინვეს, რომ მოსარჩელე თანამდებობაზე დანიშნული იყო განსაზღვრული ვადით, მოვალეობის შემსრულებლად – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო თანამდებობის დასაკავებლად უფლებამოსილი იყო გამოეცხადებინა საჯარო კონკურსი („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>2</sup> მუხ.), ამასთანავე, კონკურსის გამოცხადებამდე რაიმე დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემოღებული არ ყოფილა (19.2 მუხ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოცემული დავა გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2014წ. გადაწყვეტილება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ვადა

## განჩინება

№ბს-352-348(კს-15)

4 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 1 აგვისტოს მ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1990-96; 2003-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, ... რაიონის პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008 წლის 12 ოქტომბერს იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან და დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

მოსარჩელეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება ჩაჰბარდა მხოლოდ 2014 წლის 24 ივნისს, სადაც მითითებული იყო, რომ მ. ნ-ე გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან პირადი პატაკის საფუძველზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ასეთი შინაარსის პატაკით მას ხელმძღვანელობისთვის არ მიუმართავს, რაც დაადასტურა ჩატარებულმა გამოძიებამ, კერძოდ, სასამართლო-კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნით, პატაკის ტექსტი და ხელმოწერა არ არის შესრულებული მ. ნ-ის მიერ.

2013 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა შს სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოს სამსახურში აღდგენის თაობაზე, რაზეც 2014 წლის 16 ივნისს ეცნობა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან „პოლიციის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა გაიაროს კონკურსი და მხოლოდ მისი შედეგების გათვალისწინებით შეიძლება მიიღონ შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაო

ოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქვემო ქართლის შს მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანებისა და საქართველოს შს სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2014 წლის 16 ივნისის №1134166 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2014 წლის 16 ივნისის №1134166 გადაწყვეტილება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება განჩინების სახით; სარჩელის დაუშვებლობის გამო შეწყდა მოსარჩელის – მ. ნ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს შს სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიმართ აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება რიგით პირველი სასარჩელო მოთხოვნის – ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში; თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე საკაცო საჩივრის ფორმით კერძო საჩივარი წარადგინა მ. ნ-ემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ადასტურებს, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა კანონის უხეშად დარღვევით, თუმცა გასაჩივრების ვადის გასვლის გამო არ შეიძლება გაუქმდეს ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანება, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ბრძანება უკანონოა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას გათავისუფლების შესახებ ბრძანება ჩაჰბარდა 2014 წლის 24 ივნისს, რაც კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით, ხოლო შემდგომ სარჩელით მიმართა სასამართლოს. ამდენად, მას გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით მ. ნ-ის საკაცო საჩივრის ფორმით წარმოდგენილი საჩივარი მიჩნეულ იქნა კერძო საჩივრად და მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკაცო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკაცო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბა-



მოხის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. ნ-ე 1990-96; 2003-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, ... რაიონის პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008 წლის 12 ოქტომბერს იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან და დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. მოსარჩელეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება ჩაჰბარდა მხოლოდ 2014 წლის 24 ივნისს, მაგრამ მან თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ინფორმაცია შეიტყო ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბრის თვეში, თუმცა არა უშუალოდ ბრძანების გადაცემის გზით, არამედ იმგვარად, რომ იგი მითითებული პერიოდიდან აღარ აგრძელებდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოსთან, აღარ ასრულებდა შრომით მოვალეობებს და აღარ იღებდა შრომით გასამრჯელოს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სასამართლოში შრომით-სამართლებრივი დავა წამოიწყო დათხოვნიდან თითქმის 6 წლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებაში და მიუთითებს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ნორმათა მოთხოვნებს და სარჩელი სასამართლოში აღძრულია კანონით დადგენილი



ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სრულად შეესაბამება სადავო საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (საქმე №ბს-312-308(კს-14); 30.10.14 განჩინება). კერძოდ, საკასაციო პალატამ მითითებული განჩინებით განმარტა, რომ:

„სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით განსაზღვრავს უფლების დაცვის ხანდაზმულობის ვადებს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ უფლების დაცვის ვადა, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხოლო ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია მხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალური ხელმისაწვდომობა“.

„გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებაზე და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონიერულ დროში გადაწყვიტოს დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს“.

„საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის

ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა“.

„სახეზე გვაქვს ის შემთხვევა, როდესაც მოსარჩელეს აქტის არჩაბარება არ აბრკოლებდა კანონით დადგენილი წესით მიემართა სასამართლოსთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარების პირობებში კი პირს უსასრულოდ შეეძლება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და ეს მაშინ, როდესაც ხანდაზმულობის ვადების არსებობის უმთავრეს მიზანს სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა – ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2008 წლის 15 ოქტომბრის №655 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილ სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას, რომლის თანახმად, სარჩელი სასამართლოში უნდა აღიძრას კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში. ამდენად, მართებულია, რომ შეწყდეს მ. ნ-ის სარჩელისა გამო აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება ზემომითითებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ნ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციისა  
და შტატების შემცირების გამო**

**ბანჩინება**

№ბს-125-123(კ-15)

25 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 24 მარტს ნ. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელემ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის – ნ. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მისი სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის მტკიცებით, მისი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება კანონსაწინააღმდეგო იყო, რადგან მიუხედავად აპარატის უფროსის მოადგილეების შტატების ერთი ერთეულით შემცირებისა (სამი საშტატო ერთეულის ნაცვლად დარჩა მოადგილის ორი შტატი), მისი განათლების ცენზის, პროფესიული მომზადების დონისა და სამსახურებრივი საქმიანობის ხასიითის გათვალისწინებით მას კოლეგებთან (ორ სხვა მოადგილესთან) შედარებით აშკარა უპირატესობა გააჩნდა.

მოსარჩელის მითითებით, იმისათვის, რომ შეექმნათ მისი განთავისუფლების ფორმალური საფუძველი, „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილეებს შორის ფუნქციონირება გადაწინააღმდეგის შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარგულებაში ცვლი-

ლებების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №667 განკარგულებით მისი საკურატორო სფეროები გადანაწილდა აპარატის უფროსის დანარჩენ ორ მოადგილეს შორის, რამაც მისი უფუნქციოდ დარჩენა გამოინვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ნ. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულება და მოპასუხე ქ. თბილისის საკრებულოს მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში და წესით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2008 წლის 13 აგვისტოს №796 განკარგულებით ნ. გ-ა დაინიშნა ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში დაინიშნა სტრუქტურული რეორგანიზაცია.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ნ. გ-ა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას გაეცნო 2013 წლის 16 აგვისტოს.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 26 აგვისტოს №117 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 223 ერთეულით.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილებით, ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შე-

სახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 210 ერთეულით, მათ შორის, აპარატის უფროსის მოადგილეები შემცირდა ერთით და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეულით.

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე ნ. გ-ა 2013 წლის 17 სექტემბრიდან განთავისუფლდა სამსახურიდან და კომპენსაციის სახით მიეცა 2 თვის თანამდებობრივი სარგო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, 109-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დანესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავდროულად კანონის 97-ე მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც დანესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. 97-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დანესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დანესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების ან ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება, მოსარჩელე ნ. გ-ას 2013 წლის 16 აგვისტოს ეცნობა ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძ-

ლო შემცირების შესახებ, 2013 წლის 17 სექტემბრიდან განთავისუფლდა სამსახურიდან. საქალაქო სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო იმ გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები მოხელეების კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის დამოკიდებულების შესახებ და მხოლოდ ყველა ამ მონაცემის ურთიერთშედარების და ანალიზის პირობებში უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით, მიიღო გადაწყვეტილება ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ არ გაიზიარა ქ. თბილისის საკრებულოს წარმომადგენლის მოსაზრება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მართალია დასახელებული ნორმები ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას, შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების პროცესში მოახდინოს ცალკეულ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს შესაბამისი სახის,

შინაარსისა და მოცულობის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით უნდა გამოერკვეია რეორგანიზაციის მომენტში ქალაქ თბილისის საკრებულოში დასაქმებული საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, პროფესიული უნარ-ჩვევები, წარსულში (რეორგანიზაციამდე) თითოეული მათგანის დამოკიდებულება შრომის დისციპლინისადმი და მხოლოდ ყველა ამ მონაცემის ურთიერთმედარების და ანალიზის პირობებში უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა მიეღო გადაწყვეტილება ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების ან/და კონკრეტული უპირატესობების მქონე მოხელეების სამსახურში დატოვების თაობაზე.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის განკარგულება მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულება ნ. გ-ას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელის კონკრეტულ თა-



ნამდებობაზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ამ აქტის წინმსწრები და თანმდევი ფაქტებისა და გარემოებების, აქტთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების ერთობლივმა ანალიზმა ცხადყო, რომ მოპასუხე – თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ევალეზობდა ემოქმედა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე და ეს უკანასკნელი განეხორციელებინა კანონით დადგენილ ფარგლებში, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მას არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში სადავო აქტის გამოცემა, კერძოდ ის, რომ შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოკვლეულ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხელეების კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის დამოკიდებულების შესახებ და მხოლოდ ყველა ამ მონაცემის ურთიერთშედარების და ანალიზის პირობებში, უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების, თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა მხარემ დარჩენილ ორ ვაკანტურ თანამდებობაზე დატოვებული თანამშრომლების უპირატესობა დაასაბუთა მათი თვითმმართველობაში უფრო მეტი წელთა ნამსახურებით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენდა სადავო აქტის კანონიერად მიჩნევის საფუძველს, ვინაიდან ზემოთ დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით, მხოლოდ აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა სადავო აქტის გამოცემის საფუძველს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასევე არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ აღმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტი გამოსცა თუნდაც დასახელებული გარემოების მხედველობაში მიღებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია; სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ არ არსებობს სადავო აქტის ბათილობის საფუძვლები იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რომელ კანონს ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული აქტი. სასამართლოს არ მიუთითებია კონკრეტულად რა გარემოებები არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის განმარტებით, სასამართლო ადასტურებს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული წარმოების მასალები წარმოდგენილია საქმეში, თუმცა არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებს არ შეუსწავლიათ და სამართლებრივი შეფასება არ მიუციათ საქმეში წარმოდგენილ ადმინისტრაციული წარმოების მასალებისათვის. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს ადმინისტრაციული წარმოების ნამ-

დვილად ჩატარებას სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას.

კასატორი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, გამოკვლევულ და შესწავლილ იქნა საქმეში არსებული მტკიცებულებები და სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეფუძნება სწორედ საქმის მასალებში დაცულ მტკიცებულებებს და ამ მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრულების გარეშე, 2015 წლის 25 ივნისს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად

ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების დასაბუთებას და ემყარება მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სადავო აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2008 წლის 13 აგვისტოს №796 განკარგულებით ნ. გ-ა დაინიშნა ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში დაინიშნა სტრუქტურული რეორგანიზაცია. მოსარჩელე ნ. გ-ა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას გაეცნო 2013 წლის 16 აგვისტოს.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 26 აგვისტოს №117 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 223

ერთეულით.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 210 ერთეულით, მათ შორის, აპარატის უფროსის მოადგილეები შემცირდა ერთით და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეული.

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე ნ. გ-ა 2013 წლის 17 სექტემბრიდან განთავისუფლდა სამსახურიდან და კომპენსაციის სახით მიეცა 2 თვის თანამდებობრივი სარგო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, 109-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

უდავოდ დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ შემცირდა ნ. გ-ას შტატი, კერძოდ, მისი საკურორტო სფეროები გადანაწილდა ორ დარჩენილ მოადგილეზე და ნ. გ-ა დარჩა უფუნქციოდ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მერიის მეშვეობით. ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების: საკრებულოსა და მთავრობის დადგენილებების, საკრებულოს თავმჯდომარის, მერის,

საკრებულოს აპარატისა და მერიის ადმინისტრაციის უფროსებისა და გამგებლების განკარგულებების, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა ბრძანებების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, ქ. თბილისის მერიის დებულებით და სხვა აქტებით.

„ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აპარატის უფროსი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას, ხოლო მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აპარატის უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კანონის 97-ე მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების ან ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეტციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და ა.შ. ობიექტური შეფასება და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც კონკრეტული მოხელის, ასევე, სა-

ჯარო ინტერესის დაცვას.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, სადავო აქტის გამოცემა ისე, რომ შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოკვლეული არ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხელეების კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის დამოკიდებულების შესახებ, რადგან საქმეს მტკიცებულების სახით თან ერთვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სხვა მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას თავად უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს რა გარემოებები არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადანყვეტილების მიღება; სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება და აღნიშნული ქმედება ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. აღნიშნული საკითხის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, რასაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიუთითებდა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიციაზე, რომ აქტის გამოცემის მომენტისათვის აპარატის უფროსმა გადანყვეტილება მიიღო იმ მოადგილის განთავისუფლების თაობაზე, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე ნაკლები დატვირთვა ჰქონდა, ამასთან რეორგანიზაციის შემდეგ ნ. გ-ას აღარ ჰქონდა საკურატორო სფერო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპ-



როცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელია საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას არ იქნა დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბ. სამუშაოზე აღდგენა**  
**ატმსტაციის შედეგების გათილად ცნობა,**  
**სამუშაოზე აღდგენა**

**განჩინება**

№ბს-11-11(კ-14)

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე**  
**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით სამსახურში აღდგენა და გაცდურის ანაზღაურება.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 26 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ს-ემ მოპასუხის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მ. ს-ის ატესტაციის ნაწილში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის №1 სხდომის ოქმის, მ. ს-ის ატესტაციის შედეგების ნაწილში ამავე კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის ოქმისა და მ. ს-ის დათხოვნის თაობაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013 წლის 25 მარტის №26 პ/შ ბრძანების გათილად ცნობა, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დავალდებულება მ. ს-ე აღედგინა ადმინისტრაციის ... განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და მისთვისვე მ. ს-ის სასარგებლოდ განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 7 აგვისტოს №59 პ/შ ბრძანებით მ. ს-ე დაინიშნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსი სპეციალისტის /.../ თანამდებობაზე, 2012 წლის 7 აგვისტოდან 3 თვის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 15 იანვრის №12 ბრძანებით შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია და დაინიშნა კომისიის წევრები, ხოლო №13 ბრძანებით პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნა საპრეტენზიო კომისია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიისა და ატესტაციის ჩატარების გრაფიკი. აღნიშნული ბრძანება, ატესტაციის ჩატარების გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმების, პირობებისა და ატასტაციის შესაძლო შედეგების შესახებ, ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გაეცნო საავტომობილო გზების დეპარტამენტში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეებს, მათ შორის, მ. ს-ეს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის სხდომის №1 ოქმის თანახმად, კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია ადმინისტრაციის ... განყოფილების უფროსი სპეციალისტის (...) მ. ს-ესთან დაკავშირებით და დაადგინეს-იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. ს-ე ატესტაციის პირველი ეტაპის პერიოდისათვის მუშაობდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მ. ს-ისათვის მისი დანიშნვიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდგომ ატესტაციის ჩატარების შესახებ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სა-

კონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის ოქმის თანახმად, მ. ს-ემ ატესტაცია გაიარა 2013 წლის 18 თებერვალს. კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია მ. ს-ის შესახებ და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მ. ს-ე არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარებოდა გათავისუფლებას.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარეს, საატესტაციო კომისიის დასკვნის გაუქმების თაობაზე, რომლითაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მ. ს-ის გათავისუფლების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 25 თებერვლის №1 სხდომის ოქმის თანახმად, საპრეტენზიო კომისიამ განიხილა მ. ს-ის განცხადება და ერთხმად დაადგინა, რომ უცვლელად უნდა დარჩეს საკონკურსო – საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება.

2013 წლის 21 თებერვალს მ. ს-ე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნა 2013 წლის 25 მარტიდან დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ატესტაციის არადაამკაყოფილებელი შედეგების გამო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 25 მარტის №26 პ/შ ბრძანებით მ. ს-ე გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ატესტაციის შედეგების საფუძველზე, 2013 წლის 25 მარტიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 36<sup>1</sup>-ე მუხლსა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების მე-4 მუხლზე და განმარტა, რომ განსახილველ შეთხვევაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასა-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიისა და ატესტაციის ჩატარების გრაფიკი. აღნიშნული ბრძანება, ატესტაციის ჩატარების გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმების, პირობებისა და ატესტაციის შესაძლო შედეგების შესახებ, ატესტაციის დაწყებამდე ორი

კვირით ადრე გაეცნო საავტომობილო გზების დეპარტამენტში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეებს, მათ შორის, მ. ს-ეს.

მ. ს-ე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა 2012 წლის 7 აგვისტოდან, 3 თვის გამოსაცდელი ვადით. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის სხდომის №1 ოქმის თანახმად, კომისიის წევრებმა სწორად დაადგინეს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. ს-ე ატესტაციის პირველი ეტაპის პერიოდისათვის მუშაობდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, იგი ატესტაციას ექვემდებარებოდა მისი დანიშვნიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მან 2013 წლის 28 იანვარს გაიარა ატესტაცია და 2013 წლის 28 იანვრის სხდომის №1 ოქმში მითითებული გარემოება მასთან მიმართებაში არ შეესაბამება სიმართლეს. 2013 წლის 30 იანვარს მან უარი განაცხადა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 30 იანვრის №20 ბრძანების გაცნობაზე იმ საფუძველზე, რომ ატესტაცია გავლილი ჰქონდა 2013 წლის 28 იანვარს. 2013 წლის 18 თებერვალს მას ატესტაცია არ გაუვლია. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ აღნიშნული გარემოებების დადასტურება ვერ შეძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლების საფუძველზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ს-ე ატესტაციას არ ექვემდებარება არც 2013 წლის 28 იანვარს და არც 2013 წლის 18 თებერვალს, ვინაიდან მისი დანიშვნიდან 6 თვე ჯერ გასული არ იყო. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შეფასებული იქნა მ. ს-ის პროფესიული ჩვევები, შესაძლებლობები და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, გამოსაცდელი ვადის გასვლიდან სამ თვეში მ. ს-ე არ ექვემდებარებოდა ატესტაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ მ. ს-ე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 7 აგვისტოს №59 პ/მ ბრძანებით დაინიშნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის... განყოფილების უფროსი სპეციალისტის /.../ თა-

ნამდებობაზე, 2012 წლის 7 აგვისტოდან 3 თვის გამოსაცდელი ვადით, მოპასუხის განმარტების თანახმად, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელესთან მიმართებაში არ გამოცემულა და აღნიშნული ბრძანების მოქმედება გაგრძელდა ავტომატურად. სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ს-ის დანიშნვიდან 2012 წლის 7 აგვისტოდან, მის მიერ ატესტაციაზე გასვლამდე 2013 წლის 18 თებერვლამდე, გასული იყო კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადა, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადა ითვლება შრომით სტაჟში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე, კომისიის სხდომისა და ატესტაციის მიმდინარეობა აისახა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმებში, მოსარჩელე მ. ს-ესთან მიმართებაში კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო ერთხმად.

სასამართლომ განმარტა, რომ კომისიის მიერ ატესტაციაში მონაწილე პირები-კონკურსანტების შეფასების საკითხი განეკუთვნება ფართო დისკრეციის საგანს. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების შემოწმებისას ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე და არა მიზანშეწონილობის ასპექტებზე. მოსარჩელის კვალიფიკაციის დონისა და სპეციალობების გათვალისწინებით ცალკეულ თანამდებობაზე პირთა შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა ცალსახად განეკუთვნება კომისიის დისკრეციის სფეროს, როდესაც სამართლის ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი თანასწორობის პრინციპის დაცვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია განსახილველ შემთხვევაში, სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას მოქმედებდა მისივე დისკრეციის ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, ატესტაციის შედეგების საფუძველზე. „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქარ-

თველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მოხელისათვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების ან ჩამორთმევის, მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის დაწინაურების ან დაქვეითების შესახებ, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოხელე არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დამნიშვნელ პირს უფლება აქვს მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ 2013 წლის 21 თებერვალს მ. ს-ე გაფრთხილებულ იქნა 2013 წლის 25 მარტიდან დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგის გამო, ხოლო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 25 მარტის №26 პ/შ ბრძანებით კი მ. ს-ე 2013 წლის 25 მარტიდან გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ატესტაციის შედეგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის სხდომის



№4 ოქმი, საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 25 თებერვლის №1 ოქმი მ. ს-ის ატესტაციის შედეგების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013 წლის 25 მარტის №26პ/შ ბრძანება მ. ს-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე; მ. ს-ე აღდგენილ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის... განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. მასვე აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; მ. ს-ეს უარი ეთქვა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის №1 სხდომის ოქმის მ. ს-ის ატესტაციის ნაწილში ბათილად ცნობაზე და იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება საატესტაციო პერიოდიდან გამოსაცდელი ვადის ამორიხვის თაობაზე და ჩათვალა, რომ აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით. თანამდებობაზე დანიშვნის იმავე კანონის 26-ე მუხლი უკავშირებს პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ფაქტს.

რაც შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლს, აღნიშნულია, რომ პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს 6 თვისა. აღნიშნული მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირი დანიშნება საჯარო სამსახურში, ის ითვლება საჯარო მოხელედ განურჩევლად იმისა, გამოყენებულია თუ არა მის მიმართ გამოსაცდელი ვადა. გამოსაცდელი ვადით სამსახურში მიღება პირს არ ათავისუფლებს იმ ვალდებულებებისგან, რაც კანონით დაწესებულია მოხელისათვის. გამოსაცდელი ვადა კანონის საფუძველზე ითვლება შრომის სტაჟში, კანონი გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოხელეს არცერთი ნიშნით არ გამოარჩევს დანარჩენი მოხელეებისგან, გარდა იმისა, რომ გამოსაცდელი ვადა ადმინისტრაციას აძლევს დამატებით შესაძლებლობას დაადგინოს პირის შესაბამისობა წაყენებულ მოთხოვნებთან.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს 2013 წლის 18 თებერვალს ატესტაცია არ ჩატარებია და ამის შესახებ საატესტაციო კომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული აქტების კანონიერება შეამოწმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე და 83-ე მუხლებთან მიმართებაში და ჩათვალა, რომ გასაჩივრებული აქტები მიღებულია აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. მოცემული კანონის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ატესტაციას მოხელე ექვემდებარება 3 წელიწადში ერთხელ, რაც იმავე საფუძველზე მიჩნეულია საატესტაციო პერიოდად. ამავე კანონის 83-ე მუხლის თანახმად, მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება მომავალ წელს ატესტირებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის ატესტაციის მიზანს წარმოადგენს მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. თანამედროვე გამოწვევებისა და ტექნოლოგიური მიღწევების პროცესში იქმნება საჭიროება თითოეულმა საჯარო მოხელემ იზრუნოს პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც განაპირობებს ატესტაციის ინსტიტუტის არსებობის საჭიროებას. ამასთან, ატესტაციის ვადების განსაზღვრა დამოკიდებული არ არის ცალკეული თანამდებობის პირის მიხედულებაზე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს საატესტაციო პერიოდს, რომელიც წარმოადგენს 3 წელს, რაც მოხელეს აძლევს შესაძლებლობას ატესტაციიდან ატესტაციამდე პერიოდი გამოიყენოს პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. ს-ე არ ექვემდებარებოდა ატესტირებას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2012 წლის 7 აგვისტოს, მ. ს-ის სამსახურში მიღებისას გამოყენებულ იქნა 3 თვიანი გამოსაცდელი ვადა, რომლის მიზანსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე ატესტაციის მსგავსად, წარმოადგენს მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობის დადგენა დაკავე-

ბულ თანამდებობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის პოზიცია იმის თაობაზე, რომ 3-წლიანი პერიოდი საერთოა ყველა თანამშრომლისათვის და მისი ათვლა იწყება წინა ატესტაციის ჩატარებიდან, ასეთ პირობებშიც მისი მოსაზრებით, სადავო აქტები ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რამდენადაც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელ წელს (2013 წელს) მ. ს-ე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ კანონშეუსაბამოდ მიიჩნია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის ოქმი მ. ს-ის ნაწილში და ჩათვალა, რომ უკანონობის მოტივით სახეზეა გასაჩივრებულ ნაწილში მისი ბათილობის საფუძველი. რაც შეეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 25 თებერვლის №1 სხდომის ოქმს, მ. ს-ის საჩივრის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 25 მარტის №26 პ/შ ბრძანებას მ. ს-ის გათავისუფლების თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისინი არ საჭიროებენ დამატებით სამართლებრივი დასაბუთების წარმოდგენას, რამდენადაც აღნიშნული აქტები ემყარება 2013 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის ოქმს, რომლის სამართლებრივი შეფასების შედეგად, მიჩნეულია კანონშეუსაბამოდ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააკაცო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არასწორ სამართლებრივ განმარტებას აძლევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, რადგან აღნიშნული მუხლით დადგენილია, რომ მოხელე ატესტირებას ექვემდებარება წელიწადში ერთხელ, მაგრამ ამავდროულად არ არის შეზღუდული, რომ 3 წლის განმავლობაში რომელიმე წელს ჩაატაროს ატესტირება. „საჯარო სამსახურ-

რის შესახებ“ კანონის 83-ე მუხლთან მიმართებაში კასატორი, ასევე, არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მიიჩნია მ. ს-ესთან მიმართებაში 2013 წლის 18 თებერვალს ჩატარებული ატესტირება ატესტირების პერიოდის უკანასკნელ წლად, მაშინ როდესაც მ. ს-ე ატესტაციას დაექვემდებარა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 30 იანვრის №20 ბრძანებით ანუ ბრძანების გამოცემის პირველივე წელს.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო მხედველობაში და არ მისცა სამართლებრივად სწორი შეფასება იმ გარემოებას, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 2013 წლის 28 იანვრის სხდომაზე მ. ს-ის მიმართ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის მეორე პუნქტის დანაწესი და მიიღო გადაწყვეტილება მ. ს-ისათვის მისი დანიშნვიდან 6 თვის შემდეგ ატესტაციის ჩატარების შესახებ. შესაბამისად ატესტირება ჩატარდა 2013 წლის 18 თებერვალს (№4 სხდომის ოქმი), როდესაც მოხელის დანიშნვიდან გასული იყო 6 თვეზე მეტი პერიოდი. ამ გარემოების გათვალისწინებით კი მ. ს-ის მიმართ არ იქნა დარღვეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა. კასატორის მოსაზრებით, მითითებული კანონის განსაზღვრული 6-თვიანი ვადა მოქმედებს მხოლოდ 3-წლიანი ვადის ბოლო წელთან მიმართებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამონმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას, თუმცა მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი (კანონიერების) მხარის შემოწმება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების გარეშე, რაც გულისხმობს იმას, რომ საკასაციო სასამართლოს არ შეუძ-

ლია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, თუმცა იგი ამონმებს ერთ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სა-მართლებრივ მხარეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ფაქტობრი-ვი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობას. ამდე-ნად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ კონსტატი-რებული საქმის ფაქტობრივი საფუძველი საკასაციო ინსტან-ციის სასამართლოსათვის სავალდებულოდ რჩება, გარდა იმ შემ-თხვევისა, როცა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პრო-ცესის კანონიერება სადავოდ არის ქცეული.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონ-კურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის №1 სხდო-მის ოქმის მ. ს-ის ატესტაციის ნაწილში ბათილად ცნობა, ასევე მ. ს-ის ატესტაციის შედეგების ნაწილში საქართველოს საავ-ტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტა-ციო კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის სხდომის №4 ოქმის, საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 25 თებერვლის №1 ოქმისა და მ. ს-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013 წლის 25 მარტის №263/შ ბრძანების ბათილად ცნობა, მ. ს-ის საქართველოს სა-ავტომობილო გზების დეპარტამენტის ... განყოფილების უფ-როსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს როგორც სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებს, ასევე, ამავე ფაქტებზე მითითებით წაყენებულ სააპელაციო პრეტენზიებს. მოსარჩე-ლის მითითებით იგი 2012 წლის 7 აგვისტოდან მუშაობდა საქარ-თველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ... გან-ყოფილების უფროს სპეციალისტად; 2013 წლის 11 იანვარს გაფ-რთხილებულ იქნა 2013 წლის 28 იანვრის ატესტაციის გავლის თაობაზე, მან 2013 წლის 28 იანვარს გაიარა ატესტაცია, მისივე მოსაზრებით, საკმაოდ კარგად, მაგრამ იმავე დღეს მისთვის ცნობილი გახდა სამსახურიდან მისი გათავისუფლების განზრახ-ვის შესახებ, ამასთანავე, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2013 წლის 18 თებერვლის ოქმი არ ასახავს მასში წარმოდგენილ ფაქ-ტობრივი გარემოებების სინამდვილეს, საატესტაციო კომისი-ის სხდომა აღნიშნულ დღეს საერთოდ არ ჩატარებულა, შესაბა-მისად, მას ატესტაცია აღნიშნულ დღეს არ გაუვლია. მოსარჩე-ლე მითითებულ გარემოებაზე დაყრდნობით ასაბუთებს სადა-ვო უფლებასა და კანონიერ ინტერესს დავის საგნის მიმართ.

საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალური თვითობის არსებობა-არარსებობის ფაქტის მტკიცების ვალდებულება მთლიანად მოსარჩელეს დააკისრა, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის მიერ შედგენილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმებზე დაყრდნობით (რომელიც არ შეიცავს რაიმე კონკრეტიზაციას გასაუბრების თემის ირგვლივ, კონკრეტულ კითხვებს, რაზეც მოსარჩელეს პასუხის გაცემა მოუწია, გაცემული პასუხის შინაარსს), უარყო სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ამავდროულად არასწორად განსაზღვრული ფაქტების დადგენის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით (სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ) მოსარჩელეს შეუზღუდა საკასაციო სასამართლოში დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მტკიცების ტვირთის განაწილება იმგვარად, რომ უგულებელყოფილ იქნეს იმ მხარის საპროცესო შესაძლებლობა, რომელიც დავის ხასიათიდან გამომდინარე ჩაყენებულია მტკიცების უფრო რთულ პირობებში, არ გამომდინარეობს მხარის საპროცესო უფლებების დაცვის ინტერესებიდან. სააპელაციო სასამართლოს სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე დასკვნის გაკეთებისას არ უმსჯელია როგორ უნდა ემტკიცებინა ან რა სახის მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა მოსარჩელეს იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მან ატესტაცია გაიარა არა 2013 წლის 18 თებერვალს, არამედ 2013 წლის 28 იანვარს და იგი სარჩელის საფუძველზე სადავოდ ხდის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 28 იანვრის №1 სხდომის ოქმის კანონიერებას იმ მოტივით, რომ ოქმი არასწორად ასახავს რეალობას. როგორც სარჩელში, ასევე ყველა ინსტანციის სასამართლო პროცესებზე მოსარჩელის მიერ დაფიქსირებულ ახსნა-განმარტებაში სადავოდა გამხდარი 2013 წლის 18 თებერვალს შედგენილ ოქმში ასახული ცნობების სინამდვილე. პროცესის მხარე წარმოადგენს იმ პირს, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა, ამიტომ მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებას თვლის მტკიცებულებად, მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან საშუალებად. ამავე დროს, მხარეები და მესამე პირები საქმის შედეგით დაინტერესებული პირები არიან. ამ გარემოებამ კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მათი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტ-

ყუარობაზე, მაგრამ, ასეთი ვითარება მხარეთა ახსნა-განმარტებას კი არ ართმევს მტკიცებულებით ძალას და მნიშვნელობას, არამედ ავალებს სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასოს მხარის ახსნა-განმარტება.

იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ იქნა არცერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა გასაუბრების მიმდინარეობას, დასმულ შეკითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია მშრალი, არაინფორმაციული ხასიათის გასაუბრების ოქმები, რომლებიც არ იძლევიან გასაუბრების პროცესის ანალიზის შესაძლებლობას, სასამართლოს ართმევს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და იმის დადგენის შესაძლებლობას, მოსარჩელემ ნამდვილად გაიარა თუ არა ატესტაცია 2013 წლის 18 თებერვალს. ამავდროულად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ოქმის წარმოების პროცედურა მკვეთრად განერილი არ არის შესაბამისი ნორმატიული აქტებით, მაგრამ ოქმის დანიშნულებას და მისი წარმოების სამართლებრივ მიზანს წარმოადგენს სწორედ სხდომის მსვლელობის აღწერა და იმ ფაქტების დეტალიზაცია, რასაც ადგილი ჰქონდა სხდომაზე, ამდენად, საკასაციო სასამართლო სადავო ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ვერ გაიზიარებს წარმოდგენილი ოქმების სრულყოფილებასთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სამართლოების მოსაზრებებს, მით უფრო, როდესაც საქმის გარემოებებით ირკვევა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 30 იანვრის №20 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სია და ატესტაციის ჩატარების გრაფიკი. აღნიშნული ბრძანება ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გაეცნო საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებს, მ. ს-ეს გაფრთხილებაზე ხელი არ მოუწერია იმ მოტივით, რომ იგი ადმინისტრაციული წარმოების მოცემულ ეტაპზეც ამტკიცებდა ატესტაციის უკვე გავლის თაობაზე, რაც გახდა საფუძველი ხელმოწერაზე უარის თქმის, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება დასტურდება ასევე 2013 წლის 30 იანვარს ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების განყოფილების მიერ შედგენილი ოქმით. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტები ასაბუთებენ მოსარჩელის ახსნა-განმარტებას საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომაზე არგამოცხადების ნების არსებობის შესახებ.



საპროცესო კანონმდებლობაში მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა. დამტკიცების ტვირთი მნიშვნელობას იძენს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა-დამტკიცება. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ჩათვალა სასამართლომ ფაქტი დამტკიცებული. მაგრამ, როდესაც ფაქტი ვერ იქნა დამტკიცებული, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრებოდა ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი და ისე გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამდენად, მართალია, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაყრდნობით, მხარეებს თანაბარ საპროცესო ვალდებულებას აკისრებს დაამტკიცონ გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, თუმცა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთის პრევალირებული დანიშნულების მატარებლად შესაძლოა, მოწინააღმდეგე მხარე გამოვიდეს, მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაე-

კისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარა წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას წარმოუდგინონ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები, დაამტკიცონ შესაბამისი ფაქტები, მით უფრო, როდესაც მოსარჩელე აქტიურ მონაწილეობას იღებს მტკიცებულებათა მოპოვებაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა იმ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც ამ სადავო სამართალურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე მხოლოდ მოპასუხესთან შეიძლება ინახებოდეს. 2013 წლის 18 თებერვალს მოსარჩელის ატესტაციის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით მოპასუხეს მეტი მტკიცების საშუალებებით, მათ შორის, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერის ან სხვა საშუალებების დახმარებით, რომელსაც „ძლიერი“ უტყუარი მტკიცებულების ხასიათი ექნებოდა, შესაძლებლობა ჰქონდა გაეზიარებინა სარჩელში მითითებული გარემოებები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ ვერ უზრუნველყო სასამართლოში მტკიცებულებათა წარმოდგენა იმ ფაქტების დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცებაც წარმოადგენდა მის საპროცესო ვალდებულებას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ფაქტის დაუმტკიცებლობის (მოსარჩელის მიერ 2013 წლის 18 თებერვალს ატესტაციის გავლის თაობაზე) არახელსაყრელი შედეგი ანუ მოპასუხეს მისი საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის გამო უნდა დაეკისროს ფაქტის დაუმტკიცებლობის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი შედეგი, რაც გულისხმობს სარჩელის დაკმაყოფილებას იმის გამო, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ვერ დაამტკიცა სარჩელის წინააღმდეგ მის მიერ მითითებული შესაგებლის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სარჩელის საფუძვლიანობის არგაზიარებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სარჩელი საფუძვლიანია, რადგან მოპასუხემ ვერ შეძლო მისი გამაბათილებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

საკასაციო სასამართლო იმავდროულად კანონშეუსაბამოდ

მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მ. ს-ის ატესტაციისადმი არ დაქვემდებარების ნაწილში და თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება ნორმის არასწორ განმარტებას, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე და 83-ე მუხლების არასწორ განმარტებებს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 7 აგვისტოს №59 პ/მ ბრძანებით მ. ს-ე დაინიშნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსი სპეციალისტის /.../ თანამდებობაზე, 2012 წლის 7 აგვისტოდან. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს საავტომობილო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 30 იანვრის №20 ბრძანებით მ. ს-ე ატესტაციას დაექვემდებარა თებერვალში, ხოლო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 18 თებერვლის №4 სხდომის ოქმში მითითებულია, რომ მ. ს-ემ 2013 წლის 18 თებერვალს – დანიშვნიდან 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ გაიარა ატესტაცია, სააპელაციო სასამართლომ ამ გარემოებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე იგი დანიშვნიდან 3 წლის მანძილზე არ ექვემდებარებოდა ატესტირებას და ამასთან, საატესტაციო პერიოდის უკანასკნელ წელს (2013 წელს) სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, რის გამოც ატესტაციისადმი მისი დაქვემდებარება ეწინააღმდეგებოდა ამავე მუხლის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

ატესტაციისადმი დაქვემდებარებულ პირთა ჩამონათვალს განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტი, მოცემული ნორმის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ატესტაციას ექვემდებარება მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი). ამდენად, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საატესტაციო პერიოდს, მაგრამ ამავე დროს არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს იმასთან დაკავშირებით, თუ 3 წლის განმავლობაში (საატესტაციო პერიოდში) კონკრეტულად რომელ წელს შეიძლება ატესტაციის ჩატარება, ამიტომ აღნიშნული მუხლი ამავე კანონის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტთან ერთობლიობაში უნდა განიმარტოს, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ატესტაციის ჩატარების დროს. მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელ წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდე-

ბარება მომავალ წელს ატესტირებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოცემული ნორმის შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით, საიდანაც გამომდინარეობს, რომ საატესტაციო პერიოდის უკანასკნელ წელს (ანუ მე-სამე წელს) ატესტირების ჩატარებისას მოხელის დანიშნვიდან მის მიერ ნამუშევარი პერიოდის ჯამი უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაექვემდებარება შემდეგ ატესტაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის ზემოაღნიშნულ განმარტებას და თვლის, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულად ადგენს საჯარო მოხელის ატესტირებისათვის დაქვემდებარების დაუშვებლობას, თუ საატესტაციო პერიოდის უკანასკნელ წელს მოხელის დანიშნვიდან 6 თვე არ არის შესრულებული, ამ შემთხვევაში – მოხელის მიერ ნამუშევარი პერიოდი 6 თვეზე ნაკლები რომ არ უნდა იყოს, არცერთ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ნამუშევარი პერიოდის ათვლა მხოლოდ კალენდარული წლის დასაწყისიდან განხორციელდეს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ხსენებული ნორმების ამგვარი განმარტება არ შეესაბამება კანონის ტექსტსა და კანონმდებლის მიზანს. საკასაციო სასამართლო მოცემული ნორმის ანალიზისათვის მიუთითებს ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>4</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესზე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციისა და კონკურსის ჩატარების დროებითი წესების შესახებ, სადაც დაზუსტებულია კანონმდებლის ნება მოხელის ატესტაციისადმი დაქვემდებარების ვადებთან დაკავშირებით, მოცემული მუხლი შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს, ამ ნორმის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც ატესტაცია არ გაუვლია, ატესტირებას ექვემდებარება 2015 წლის 1 ივლისამდე, თუ მისი თანამდებობაზე დანიშნვიდან გასულია 6 თვე. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნვიდან 6 თვეზე ნაკლებია გასული, მოხელე, გარდა თანამდებობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით დანიშნული მოხელისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით ატესტირებას ექვემდებარება თანამდებობაზე დანიშნვიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა. ამდენად, ცხადია კანონმდებლის ნება მოხელის დანიშნვიდან

6 თვის მანძილზე მისი ატესტაციისადმი დაქვემდებარების დაუშვებლობის შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნორმა განიმარტოს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე ანუ ყოველი ნორმა ნაკითხული უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ქრილში.

კანონმდებლის ნამდვილი ნების დასადგენად მნიშვნელოვანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლით გათვალისწინებულ ატესტაციის ჩატარების მიზნებზე მითითება, რამდენადაც ნორმების, მათი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხდება ნორმაში გამოყენებული ცნებების გზით. მოცემული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიხედვით მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამდენად, ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პირი უკვე დაკავებულ თანამდებობას, რა შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას. პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება კი უკავშირდება საჯარო მოხელის გარკვეული დროით თანამდებობაზე ყოფნას, მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა თუ შესაძლებლობების ჩამოყალიბებას კი განაპირობებს კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 6-თვიანი გამოცდილების არსებობა (კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სარჩელს საფუძვლიანად მიიჩნევს არა სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასების საფუძველზე, რომლითაც სარჩელი საფუძვლიანია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსე-

ბითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სა-  
მოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამავე  
კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამარ-  
თლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება  
მიიღება განჩინების ფორმით, მოცემული ნორმების დანაწესი-  
სა და იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს  
მიერ მოცემულ საქმეზე არსებითად (საქმის შედეგის მიხედ-  
ვით) სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული და არ იცვლება გა-  
დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, საკასაციო სასამარ-  
თლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-  
დეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-  
2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
257-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის  
საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ნოემბრის გა-  
დაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-  
ლოოა და არ საჩივრდება.

# სამუშაო აქტის ადგილის მოთხოვნის კანონიერება

## განმარტება

№ბს-629-616(2კ-14)

2 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაც-  
დურის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 6 ნოემბერს ი. პ-მა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სახელმწიფო აუდიტის სამსახუ-  
რის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონტროლის პა-  
ლატის 2010 წლის 22 მარტის №34/25 ბრძანებით ი. პ-ი დაინიშნა  
საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენ-  
ტის ... ვაკანტურ თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით. იგი  
არაერთხელ იქნა წახალისებული სამსახურებრივი მოვალეობის  
მაღალ დონეზე შესრულებისათვის, ხოლო დისციპლინური საქ-  
მის წარმოება მის მიმართ არასდროს დაწყებულა.

2013 წლის 9 ოქტომბერს ოფიციალური გაცნობის მიზნით  
მოსარჩელეს გადაეცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გე-  
ნერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძა-  
ნება ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, რომლი-  
თაც ფაქტობრივად მოხდა მისი ჩამოქვეითება იურიდიული დე-  
პარტამენტის ... თანამდებობიდან შიდა აუდიტის დეპარტამენ-  
ტის ... დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

მოსარჩელის მითითებით, სადავო ბრძანება არ შეიცავს და-  
საბუთებას თუ რა გადაუდებელი სამსახურებრივი აუცილებ-  
ლობა არსებობდა მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისათვის.  
გარდა აღნიშნულისა, ი. პ-ი გადაყვანილ იქნა იმ თანამდებობა-  
ზე, რომელსაც იგი არ შეესაბამებოდა პროფესიისა და კვალი-  
ფიკაციის თვალსაზრისით.

მოსარჩელის მითითებით, სასამართლოს განხილვის საგანი



უნდა გახდეს ასევე, ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის კანონიერად მიჩნევის შემთხვევაშიც, არსებობდა თუ არა მისი აუდიტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანის წინაპირობები და აღნიშნული თავსებადია თუ არა მოხელის გადაყვანისათვის არსებულ საკანონმდებლო წესრიგთან.

მოსარჩელის განმარტებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შრომითი ურთიერთობა რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, რომლის მე-13 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დანაწესის თანახმად, საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებია პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. სადავო აქტი გამოიცა მითითებული პრინციპების უგულვებელყოფით და ი. პ-ი გადაყვანილ იქნა იმ თანამდებობაზე, სადაც ვერ უზრუნველყოფდა მითითებული პრინციპების შესრულებას და რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა იგი.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობა მისი გამოცემის მომენტიდან და ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანამდე არსებული თანამდებობისა და ახალი თანამდებობისათვის გათვალისწინებულ თანამდებობორივ სარგოებს შორის სხვაობის ანაზღაურება თანამდებობაზე არყოფნის მთელი პერიოდისათვის, 2013 წლის 9 ოქტომბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 იანვრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ლ. უ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 22 მარტის №34/25 ბრძანებით ი. პ-ი დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე.

ი. პ-მა 2013 წლის 3 ოქტომბერს თანხმობა განაცხადა გადაყვანათ შიდა აუდიტის დეპარტამენტში ... თანამდებობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანებით ი. პ-ი გადაყვანილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დე-

პარტამენტის ... თანამდებობიდან შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე და-ნიშვნამდე.

მოსარჩელემ დაამთავრა სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის 2 დეკემბრის №1/443 ბრძანებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დაინიშნა ლ. უი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის 4 დეკემბრის №456 ბრძანებით ი. პ-ი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობიდან 2013 წლის 4 დეკემბრიდან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის 18 სექტემბრის №189/37 ბრძანებით დამტკიცდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამტატო ნუსხა, შტატით განისაზღვრა ... თანამდებობაზე 2 სამტატო ერთეული.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით განსაზღვრულია სხვა თანამდებობაზე ან სხვა ადგილმდებარეობის სამუშაოზე მოხელის გადაყვანა, აგრეთვე მისთვის დაკავებული თანამდებობით გაუთვალისწინებელი დავალების დაკისრება მხოლოდ მოხელის თანხმობით. გამონაკლისს წარმოადგენს ამავე კანონის 53-ე, 54-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე, 54-ე და 57-ე მუხლით განსაზღვრული რომელიმე შემთხვევა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. პ-ი სხვა თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა მისი თანხმობით. განმსაზღვრელი არ არის ის გარემოება, რომ თანხმობა ეხებოდა შიდა აუდიტის დეპარტამენტში ... თანამდებობაზე გადაყვანას, ხოლო გასაჩივ-

რებული ბრძანებით ის დაინიშნა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღება თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით. ამავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად, თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისთვის უფლებამოსილ მოხელეს. თანამდებობა, რომელზეც მოხელის დანიშვნის უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს, განისაზღვრება კანონმდებლობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტით“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, მათ შორის: მის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს, პრეზიდუმის უფლებამოსილების განხორციელების წესსა და შიდა საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს. აღნიშნული რეგლამენტის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, გენერალური აუდიტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებს, იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა დანიშნულების, დაქვეითების, გადაყვანისა და სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; უფლებამოსილია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების და მინიჭებული უფლებების განხორციელების მიზნით გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებები.

საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ი. პ-ის გადაყვანა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობიდან შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობაზე წარმოადგენდა გენერალური აუდიტორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ამასთან, გადაყვანაზე არსებობდა პირის გამოხა-

ტული ნება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უფლებამოსილების ფარგლებში და შესაბამისად, არ არსებობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლით, ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან, არ არსებობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, მოსარჩელის მოთხოვნა თანხის ანაზღაურების შესახებ არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. პ-მა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ი. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ნაწილობრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. პ-ის სარჩელი ამ ნაწილში დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანება ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ; ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანება წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის

შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირვანდელ რედაქციაზე, რომელიც მოქმედებდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 22 მარტის №34/25 ბრძანების გამოცემის მომენტში, კერძოდ, კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი იყო, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. იმავე 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი (პირვანდელი რედაქციით) ადგენდა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ორ ალტერნატიულ გზას – კონკურსით და კონკურსის გარეშე; როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე გამწესება წარმოადგენდა იდენტური შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს ისე, რომ კანონი კონკურსით და კონკურსის გარეშე დაინიშნულ მოხელეებს აყენებდა თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში ურთიერთობის მონაწილე არცერთი მხარე არ განიხილავდა და ეჭვქვეშ არ აყენებდა პირდაპირი წესით (ანუ, კონკურსის გარეშე) დაინიშნული მოხელის თანამდებობაზე ყოფნის ვადას/ხანგრძლივობას, კომპეტენციას, კვალიფიკაციას, საჯარო სამსახურის ფარგლებში მის (მოხელის) მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და შეძენილი უფლებების მოცულობას, ლეგალურობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2012 წლის 29 ივნისის №6611 კანონის საფუძველზე შეიცვალა რა კანონის 29-ე მუხლის შინაარსი, ამ უკანასკნელის პირველი პუნქტით დადგინდა, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, კანონის 29-ე მუხლმა დაადგინა ცვლილებამდე მოქმედი წესისგან განსხვავებული წესი იმ თვალსაზრისით, რომ დღეის პირობებში საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კონკურსის გზით, ახალმა კანონმა უარყო პირდაპირ, კონკურსის გარეშე თანამდებობის დაკავების ალტერნატიული წესი და შე-

საძლებლობა (აქ არ იგულისხმება კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამოწვევები).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების გამოცემისას, ანუ, ერთი და იგივე დაწესებულების შიგნით ი. პ-ის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის პირობებში, ეს უკანასკნელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სადავო ბრძანების გამოცემე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებია დასახელებული ნორმის მოთხოვნა და ემოქმედა მის შესაბამისად.

კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი ი. პ-ი, თავის დროზე, საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე დაინიშნა პირდაპირი წესით (ანუ, კონკურსის გარეშე), განუსაზღვრელი ვადით და იმის გათვალისწინებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის (პირვანდელი რედაქციით) მოქმედების პირობებში როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე გამწესება წარმოადგენდა იდენტური მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს, საქართველოს აუდიტის სამსახურის ერთი სტრუქტურული ერთეულიდან (იურიდიული დეპარტამენტიდან) მეორე სტრუქტურულ ერთეულში (შიდა აუდიტის დეპარტამენტში) ... თანამდებობაზე გადაყვანისას ი. პ-ის მიმართ უნდა გავრცელებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება ისე, რომ იგი, როგორც ძველ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული პირი, ახალ თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ (უნდა გადაეყვანათ) არა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე ვადით, არამედ ასევე განუსაზღვრელი ვადით. ი. პ-ის ახალ თანამდებობაზე დროებით, კონკურსის ჩატარებამდე ვადით დანიშვნა იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული და კანონიერი, თუკი მანამდე მისი იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე გამწესება მოხდებოდა ასევე დროებით, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, კონკურსის გავლის პირობით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების გამოცემის მომენტში ჯერ კიდევ

არ არსებობდა კანონი/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (მათ შორის, 2013 წლის 15 ნოემბრის №245/37 ბრძანება), რომელიც დაადგენდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისთვის წარსადგენ საკონკურსო მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოხელის მიერ შესასრულებელი შრომითი მოვალეობების შინაარსი, როგორც წესი, განსაზღვრავს და აყალიბებს თანამდებობისთვის დაწესებული საკონკურსო მოთხოვნების შინაარსს. ძირითადად, საკონკურსო მოთხოვნებში მოიაზრება განათლება (ანუ, კონკრეტული დარგების, დისციპლინების, საკითხების ცოდნა) და შრომითი გამოცდილება. შესაბამისად, განსხვავებული საკონკურსო მოთხოვნები და განსხვავებული შინაარსის შრომითი საქმიანობა არ არის იდენტური ცნებები. ერთი და იგივე განათლების, კვალიფიკაციის და გამოცდილების (ანუ, ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნების) პირობებში პირმა შესაძლოა ერთნაირი წარმატებით შეასრულოს სხვადასხვა შინაარსის შრომითი საქმიანობა სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნისას. მოწინააღმდეგე მხარე ვერ მიუთითებს შიდა აუდიტის სამსახურში ... თანამდებობაზე დასაქმებული იურიდიული განათლების მქონე პირის მიერ შესასრულებელ იმ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც ესაჭიროება ისეთი განსხვავებული საკვალიფიკაციო (საკონკურსო) წინაპირობები, რომლებიც არ გააჩნია უფრო მაღალ თანამდებობაზე – იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე მყოფ, ასევე იურიდიული განათლების მქონე პირს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ იგი არ უნდა გადაეყვანათ შიდა აუდიტის დეპარტამენტში ... თანამდებობაზე, რამდენადაც არ გააჩნდა ამ თანამდებობაზე საქმიანობისთვის აუცილებელი განათლება და კვალიფიკაცია (კერძოდ, იგულისხმება ფინანსისტი, ეკონომისტის განათლება).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არა მხოლოდ ფინანსისტებს, ეკონომისტებს, არამედ იურიდიული განათლების მქონე პირებსაც აქვთ შესაძლებლობა, დაიკავონ შიდა აუდიტის სამსახურში ... თანამდებობა გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ იურიდიული განათლების მქონე პირი ფლობს იმ ცოდნას და გააჩნია ის კვალიფიკაცია, რაც აუცილებელია ... კანონით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტით“ განსაზ-



ღვრული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის – შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგლამენტით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელია და საკმარისი, რომ პირი (ამ შემთხვევაში, ...) ფლობდეს იურიდიულ განათლებას, რომლის პირობებშიც იგულისხმება, რომ მას (...) გააჩნია (უნდა გააჩნდეს) სამართლის შესაბამის დარგებში მოქმედი სამართლებრივი აქტების ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შესაბამისად, აპელირება მასზედ, რომ მხოლოდ ფინანსისტები და ეკონომისტები (და არავითარ შემთხვევაში – იურისტები) მოიაზრებიან შიდა აუდიტის დეპარტამენტში ... თანამდებობებზე, მცდარია, ეწინააღმდეგება რეგლამენტის დებულებებს. ამ მოსაზრების საფუძვლიანობას, დამატებით, ისიც ადასტურებს, რომ იმავე რეგლამენტის თანახმად, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან (აუდიტის დეპარტამენტებისგან) განსხვავებით, შექმნილია იმ მიზნით, რომ სწორედ ამ სტრუქტურულმა ერთეულმა აკონტროლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების, ამ ერთეულებში დასაქმებული საჯარო მოხელეების შრომითი საქმიანობა, როგორც ფინანსური ინტერესების, ისე – სამართლებრივი ნორმების ჭრილში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ შეაფასა საქმეზე დართული მტკიცებულებები – სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ 16.12.2013 წლის №601016 წერილი, ასევე 24.01.2014 წლის №31244 წერილი, აღნიშნული გავლენას ვერ იქონიებს სადავო საკითხის გამორკვევის შედეგებზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული წერილები არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რომელიც ხელს შეუწყობდა საქმეზე სადავო სამართლებრივი საკითხების გამორკვევას და დადგენას. ი. პ.-ის განათლებისა და კვალიფიკაციის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ ჭრილში კვლევამ ცხადყო, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტში შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირის შესარჩევად და თანამდებობაზე დასაწინააღმდეგებლად არა თანამდებობის (მაგალითად, ...) დასახელება, არამედ იმ ფუნქციათა შინაარსი, რომელთა შესრულებაც პირს უწევს კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის დროს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2013 წლის 3 ოქტომ-

ბრის №1/428 ბრძანების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაურღვევია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13, მე-15 და 43-ე მუხლების მოთხოვნები. მოპასუხემ ... თანამდებობაზე ი. პ-ის სახით გადაიყვანა სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირი, მოპასუხეს სადავო შემთხვევაში არ უარყვია საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის პრინციპები. ასევე, სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს ახალ თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით აპელანტის მხრიდან გაცხადებული თანხმობის (ნების) ნამდვილობას. აპელანტმა ვერ შეძლო იმის მტკიცება, რომ მისი თანხმობა წარმოადგენდა იძულების, მუქარის, შეცდომის შედეგს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკითხს იმის შესახებ, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი არ გამოიყენა აპელანტის სასარგებლოდ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან აღნიშნული ნორმის არასწორად გამოყენებამ განაპირობა აპელანტის შრომით-სამართლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება იმ თვალსაზრისით, რომ მანამდე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული პირი ახალ თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა დროებით, კონკურსის გავლის პირობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ი. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების გამოცემის შემდეგ ი. პ-მა 2013 წლის 4 დეკემბერს განცხადებით მიმართა გენერალურ აუდიტორს და მოითხოვა ... თანამდებობიდან განთავისუფლება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოსცა 2013 წლის 4 დეკემბრის №456 ბრძანება და ი. პ-ი 2013 წლის 4 დეკემბრიდან გაათავისუფლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობიდან. აღნიშნულით დასრულდა, შეწყდა ი. პ-სა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის მანამდე არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა.

აპელანტს 2013 წლის 4 დეკემბრის №456 ბრძანება არ გაუსაჩივრებია, აღნიშნულით მან გამოხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება მასსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის დასრულების იურიდიული ფაქტის მიმართ.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მხარეები აღარ იმყოფებიან ერთმანეთთან სამსახურებ-

რივ ურთიერთობაში, ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა ვერ გამოიწვევს მის პირ-ვანდელ თანამდებობაზე აღდგენას და ამით მხარეებს შორის სხვა სამართლებრივი აქტით – 2013 წლის 4 დეკემბრის №456 ბრძანებით შეწყვეტილი სამსახურებრივი ურთიერთობების განახლებას. გადაყვანის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სადავო შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს მხარეებს შორის შეწყვეტილი შრომითი ურთიერთობების აღდგენის, განახლების მიზნის მიღწევას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადებით, რომლის თანახმად, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება. ამდენად, განაცდურის მოთხოვნის/ანაზღაურების უფლების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, მოხდება თუ არა მოხელის სამსახურში აღდგენა. შესაბამისად, აპელანტს უარი ეთქვა რა სამსახურში აღდგენაზე, არ არსებობს განაცდურის ანაზღაურების საფუძველიც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. პ-მა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა.

ი. პ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა ასევე იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, გასაჩივრებულ ნაწილში არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობიდან ი. პ-ის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობაზე გადაყვანის უკანონობის დასაბუთებას, თუმცა სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს

რატომ არ წარმოადგენდა აღნიშნული გარემოება ი. პ-ის მიერ დაკავებულ პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენისა და თამანდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის ანაზღაურების საფუძველს.

კასატორის მითითებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე ი. პ-ს არ მოუთხოვია იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გათავისუფლება. მან მოითხოვა შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გათავისუფლება, ვინაიდან არ გააჩნდა ამ თანამდებობისათვის და თანამდებობრივად მის წინაშე მდგომი საკითხების გადაწყვეტისათვის საკმარისი ცოდნა.

კასატორის მითითებით, იმ ვითარებაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გადაყვანა კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია და ბათილად ცნო სადავო აქტი, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო იმსჯელა და შეაფასა შექმლო თუ არა იურისტს აუდიტორის უფლებამოსილების განხორციელება, თუმცა თეორიული შესაძლებლობის არსებობის პირობებშიც უნდა შემოწმდეს გააჩნია თუ არა მოხელეს გამოცდილება და პროფესიონალიზმი.

კასატორის მითითებით, იგი საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას აღიარებდა, რომ არ ფლობდა აუდიტორის პროფესიულ უნარ-ჩვევებს, შესაბამის გამოცდილებას, რის გამოც ვერ უზრუნველყოფდა ზემოთ მითითებული პრინციპების დაცვას.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდებოდა, რომ იურისტისა და აუდიტორის კვალიფიკაცია არ არის ერთი და იგივე, ამასთან, იურისტისა და სამართლის კვალიფიკაციის მქონე პირი ვერ განხორციელებს აუდიტორის უფლებამოსილებას.

კასატორის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპია მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა და მოსამსახურის სამართლებრივი დაცვა. ამ მიმართებით, სასამართლო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს აღნიშნული საკითხის შეფასება.

კასატორის მოსაზრებით, გამოკვლევას საჭიროებდა ის გარემოება, რამდენად არსებობდა იმის გარდაუვალი აუცილებლობა, რომ განუსაზღვრელი ვადით გამწესებული იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გადაეყვანათ სრულიად

სხვა სტრუქტურულ ერთეულში.

ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მითითებული გარემოებები და სამართლებრივი ნორმები ქმნიდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობისა და არსებითად განხილვის წინაპირობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი და ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად (2012 წლის 29 ივნისის ცვლილების შეტანამდე მოქმედი რედაქცია), პირი შეიძლება თანამდებობაზე დანიშნულიყო როგორც კონკურსის წესით, ასევე კონკურსის გარეშე. ცვლილების შემდეგ და ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკურსის წესით, გარდა ამავე კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელეები იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას შეიძლება უკონკურსოდ დაინიშნონ, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები წაყენებული.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში მოხელის გადაყვანისას აუცილებელ პირობად ადგენს, რომ გადაყვანამდე დაკავებულ თანამდებობაზე მოხელე დანიშნული უნდა იყოს კონკურსის წესით და დაკავებული და დასაკავებელი თანამდებობებისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნები უნდა არსებობდეს. სააპელაციო სასამართლომ კი უკონკურსოდ, განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე მიიჩნია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირვე-

ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სუბიექტად.

კასატორის მითითებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ი. პ-ის მიმართ ვერ გაავრცელებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს, რის გამოც მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მოხდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, არ არსებობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ი. პ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ი. პ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად. ამავე განჩინებით არ დაკმაყოფილდა ი. პ-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. პ-ისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 22 მარტის №34/25 ბრძანებით ი. პ-ი 2010 წლის 22 მარტიდან დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანებით 2013 წლის 3 ოქტომბრიდან ი. პ-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, მისივე თანხმობით, გადაყვანილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობიდან შიდა აუ-

დიტის დეპარტამენტის ... თანამდებობაზე, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით ი. პ-ი პირადი განცხადებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, 2013 წლის 4 დეკემბრიდან გათავისუფლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ... თანამდებობიდან.

ი. პ-ი სარჩელით ითხოვდა სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობაზე აღდგენას და გადაყვანამდე არსებული თანამდებობისათვის გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოსა და ახალი თანამდებობისათვის გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოს შორის სხვაობის ანაზღაურებას 2013 წლის 9 ოქტომბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანება ი. პ-ის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, ხოლო სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

მოსარჩელე სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1/428 ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ მას გააჩნდა იურისტის და არა აუდიტორის კვალიფიკაცია, რის გამოც არ აკმაყოფილებდა აუდიტორის თანამდებობაზე გამწესებისათვის გათვალისწინებულ პირობებს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია იმ საფუძველით, რომ ი. პ-ის ახალ თანამდებობაზე გადაყვანა მოხდა განსაზღვრული ვადით, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე, თუმცა მოსარჩელის



ძირითადი არგუმენტი, რომ მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა აუდიტორის თანამდებობას, უარყო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ი. პ-ი 2010 წელს თანამდებობაზე დანიშნული იყო უკონკურსოდ, განუსაზღვრელი ვადით, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი (თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი რედაქცია), ადმინისტრაციულ ორგანოს ი. პ-ის შრომითი მონყოლის საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობაზე მოხელის უკონკურსოდ დანიშვნას.

მითითებული ნორმის თანახმად, მოხელეები იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას შეიძლება უკონკურსოდ დაინიშნონ, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნებია წაყენებული.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო მოცემული დავის გადაწყვეტისას ძირითად ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, შესაძლებელი იყო თუ არა ი. პ-ის განსაზღვრული ვადით გადაყვანა ახალ თანამდებობაზე, მაშინ, როცა იგი პირადი განცხადებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მისი გათავისუფლების მიზეზი არ ყოფილა არც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ვადის გასვლა, ან საკონკურსო პირობების შეუსრულებლობა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. პ-მა 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადებით თანხმობა განაცხადა გადაყვანილი ყოფილიყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტში ... თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. პ-ის მიერ ნების გამოვლენა არ წარმოადგენდა იძულების, მუქარის ან შეცდომის შედეგს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კასატორს – ი. პ-ს არ წამოუყენებია დამატებითი საკასაციო პრეტენზია.

ამდენად, მიუხედავად მოსარჩელის მიერ მოცემული დავის ფარგლებში მითითებული არგუმენტებისა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო გადაყვანილი ... თანამდებობაზე, რამდენადაც მას არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია აღნიშნულ თანამდებობაზე გამწესებისათვის, თანხმობის გაცხადებით მან გამოხატა ნე-

ბა გადაყვანაზე. ამდენად, არათანმიმდევრულია მოსარჩელის არგუმენტაცია გადაყვანის არაკანონიერებასთან დაკავშირებით იმ ვითარებაში, როდესაც ნების გამოხატვის გამომრიცხავ გარემოებებზე მისი მხრიდან მითითებული არ ყოფილა.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ი. პ-ი ... თანამდებობიდან გათავისუფლდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანაცვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის – ი. პ-ის მოსაზრებას, რომ მისი ნების გამოვლენა უკავშირდებოდა მხოლოდ ... თანამდებობიდან გათავისუფლებას, რის გამოც იგი აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ თანამდებობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ ვითარებაში ვერ იქნება მიღწეული სარჩელის მიზანი სამუშაოზე აღდგენის თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რამდენადაც უნდა აღმოიფხვრას ის წინააღმდეგობა, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანაცვეტილებით შეიქმნა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, გამოიკვლია მტკიცებულებები, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ ი. პ-ი, რომელსაც იურისტის კვალიფიკაცია გააჩნია, აკმაყოფილებს ... თანამდებობისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გადაყვანა ახალ თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია, თუმცა გადაყვანის აქტი ცნო ბათილად ფაქტობრივად იმ საფუძველზე, რაზეც მოსარჩელე არ აპელირებდა. მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც ი. პ-ი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა ... თანამდებობიდან, ხოლო განსაზღვრული ვადით ... თანამდებობაზე გადაყვანამ რა პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაყენა მოსარჩელეს, სასამართლოს არ დაუსაბუთებია.

მითითებულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს

მსჯელობის გაზიარების ვითარებაშიც წინააღმდეგობრივია გა-  
დანწყვეტილება, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის პი-  
რობებში სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა რატომ არ არ-  
სებობდა იურიდიული დეპარტამენტის ... თანამდებობასა და ...  
თანამდებობისათვის დადგენილ თანამდებობრივ სარგოებს შო-  
რის სხვაობის ანაზღაურების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-  
თლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას  
სააპელაციო სასამართლომ, უნდა იმსჯელოს მითითებულ გა-  
რემოებებზე და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.  
შესაბამისად, ი. პ-ისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სა-  
კასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქ-  
მდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა გან-  
სახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-  
2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
412-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. პ-ისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკასაციო  
საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მაისის გადაწყვეტი-  
ლება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე  
სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

**ბ. სახელფასო დავალიანება**  
**მოსარჩელეთა სახელფასო დავალიანების**  
**არსებობის დადგენა**

**ბანჩინება**

№ბს-238-235(კ-14)

28 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკველაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება;

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელები:** ა. ყ-ი, ნ. ზ-ე, მ. დ-ა, ზ. ც-ე, ა. ა-ი, გ. ს-ი;

**მოპასუხე:** საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელება.

**სარჩელის საგანი:**

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ:

ა. ყ-ისათვის – 4117,0 ლარის;

ნ. ზ-ისათვის – 3176,70 ლარის;

მ. დ-ისათვის – 1741,0 ლარის;

ზ. ც-ისათვის – 4111,0 ლარის;

ა. ა-ისათვის – 1606, 0 ლარის;

გ. ს-ისათვის – 1450,10 ლარის.

**სარჩელის საფუძველი:** აუნაზღაურებელი ხელფასის გაცემა.

**ფაქტობრივი გარემოებები:** მოსარჩელების განმარტებით, 1998-2003 წლების განმავლობაში მუშაობდნენ შპს „... 2000-ში“ (ყოფილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში), რომელიც იმყოფებოდა საბიუჯეტო დაფინანსებაზე. მისაღები აქვთ 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანე-

ბები, რის შესახებ მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომლის 2008 წლის 9 დეკემბრის №04.02/12373 წერილით ეცნობათ, რომ ამ საკითხის თაობაზე უნდა მიემართათ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის.

მოსარჩევეების განმარტებით, ისინი პერიოდულად მიმართავდნენ შპს „... 2000-სს“, მაგრამ სახელფასო დავალიანებები დღემდე არ მიუღიათ.

2012 წლის 7 აგვისტოს მიმართეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საიდანაც ეცნობათ, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება სცილდებოდა მათ კომპეტენციას.

**სამართლებრივი:** მოსარჩევეებმა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134<sup>1</sup>-ე მუხლებზე, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლზე, ასევე განმარტეს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება პრიორიტეტულ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება. 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს შრომის ანაზღაურება. შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება აღიარებულია და განარტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლით, ხელფასის ანაზღაურება შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპია, მიიღოს შრომითი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის, მისი ინდივიდუალური და საარსებო მოთხოვნის დასაკმაყოფილებად. შრომის ანაზღაურება განმსაზღვრელი ფაქტორია შრომითი ურთიერთობებისათვის, იქნება ეს საჯარო სამართლებრივი, თუ კერძო სამართლებრივი ურთიერთობა და მის სოციალურ მიზანს წარმოადგენს ის, რომ პირი, რომელიც კონკრეტულ საქმიანობას ასრულებს, იღებს გასამრჯელოს, რითაც უზრუნველყოფს საკუთარი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მოპასუხემ – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ შეაგებლით სარჩელი არ ცნო.

**ფაქტობრივი:** მოსარჩევეები მუშაობდნენ შპს „... 2000-ში“, ამასთან, ცნობები დავალიანების შესახებ, გაცემულია 2001-2004 წლებში სახაზინო კომპანია „ს-ს“ მიერ, რომლის სამართალმემკვიდრესაც 2000 წლიდან წარმოადგენს შპს „... 2000“.

**სამართლებრივი:** მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმო-

ადგენს არასათანადო მოპასუხეს, ვინაიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ საზოგადოებას საკუთარი ქონების ფარგლებში.

ამასთან, მოსარჩელების მოთხოვნა ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც ვრცელდება მხოლოდ საჯარო მოსამსახურეებზე, ხოლო მოსარჩელები დასაქმებულები იყვნენ შპს „... 2000-ში“, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და მასზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება. მოპასუხემ ასევე იშუამდგომლა არასათანადო მოპასუხედ ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი მოტივით: არასათანადო მოპასუხედ ცნობის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს და შესაბამისად, მხარის წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, ასევე ვერ იქნა მითითებული, თუ რომელი სათანადო მოპასუხით უნდა შეცვლილიყო თავდაპირველი მოპასუხე.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ყ-ის, ნ. ზ-ის, მ. დ-ას, ზ. ც-ის, ა. ა-ისა და გ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:**

მოსარჩელები შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ შპს „... 2000-თან“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 თებერვლის №23197 წერილით, დადგენილია, რომ მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული შპს „... 2000-ის“ დოკუმენტაციით აღნიშნული სუბიექტის უფლებამონაცვლე დადგენილი არ არის.

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით სახაზინო სანარმო საქენერგოს ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს „ე-ია“, რომელსაც კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 6 მარტის დადგენილების შესაბამისად, ეწოდა შპს

„... 2000“, რომელიც წარმოადგენს ყოფილი სახაზინო საწარმო „ს-ს“ სამართალმემკვიდრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის №2/2747-09 განჩინებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაუქმდა შპს „... 2000-ის“ რეგისტრაცია.

დღეის მდგომარეობით მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული შპს „... 2000-ის“ დოკუმენტაციით აღნიშნული სუბიექტის უფლებამონაცვლე დადგენილი არ არის.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, მოსარჩელები დასაქმებულები იყვნენ შპს „... 2000-ში“, შესაბამისად, მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ წარმოადგენდა შპს „... 2000-ის“ უფლებამონაცვლეს და სათანადო მოპასუხეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი არ უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რასაც ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

**აპელანტები:** ა. ყ-ი, ნ. ზ-ე, მ. დ-ა, ზ. ც-ე, ა. ა-ი, გ. ს-ი;

**მონინააღმდეგე მხარე:** – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ბაზაზე დაფუძნდა რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის, შპს „... 2000“ და შპს „ე-ია“. ორგანიზაცია – შპს „... 2000“, რომელშიც ისინი მუშაობ-



დნენ უშუალოდ ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით, იყო საჯარო სამსახური და ანაზღაურება – ხელფასი გაიცემოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**სამართლებრივი:** „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება გამოყენებული იყოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ხარჯზე ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას.

შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება აღიარებულია და გარანტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლით, ხელფასის ანაზღაურება შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპია, მიიღოს შრომითი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის, მისი ინდივიდუალური და საარსებო მოთხოვნის დასაკმაყოფილებად.

აპელანტები ასევე მიუთითებდნენ, შრომის კოდექსის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული წლისა. აპელანტების განმარტებით, მათი გათავისუფლების დღიდან გასულია უკვე რამოდენიმე წელი, თუმცა მათთან საბოლოო ანგარიშსწორება დღემდე არ მომხდარა.

შპს „... 2000“ არის სახაზინო საწარმოს „ს-ს“ სამართალმემკვიდრე, რასაც ადასტურებს კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება. შეცდომით არის შედგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 თებერვლის №23197 წერილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შუამდგომლობა არასთანადო მოპასუხის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების /სარეზოლუციოს/ შინაარსი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით ა. ყ-ის, ნ. ზ-ის, მ. დ-ას, ზ. ც-ის, ა. ა-ისა და გ. ს-ის სააპელაციო საჩივარი

არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 10 დეკემბრის №3/898 ბრძანების „მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ე-ს“ (ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეჩერიზაცია) დაფუძნების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ბაზაზე დაფუძნდა შპს „ე-ია“ (ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეჩერიზაცია) სანესდებო კაპიტალში 100% სახელმწიფო მატერიალური ქონებრივი შენატანით და მისი მართვის უფლება გადაეცა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 22 თებერვლის №3/115 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „ე-ში“. შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა შპს „... – 2000“ და განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 2013 წლის 12 დეკემბრის №AA2013051330-03 საარქივო ცნობის თანახმად, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულ „ს-ს“ დოკუმენტებში, კერძოდ, შპს „... 2000-ის“ სახელფასო უწყისებში არ აღმოჩნდა ინფორმაცია ა. ო-ის ძე ყ-ის ხელფასის შესახებ.

სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის ცნობების (უნომრო, უთარილო) შესაბამისად, ა. ყ-ი მუშაობდა ... დირექტორის მოადგილედ და მისაღები აქვს 2001 წლის IV-XI თვის ხელფასები, ხელზე გასაცემი თანხა – 1126 ლარი, ზ. ც-ე მუშაობდა ... მთავარ ინჟინრად და მისაღები აქვს 1998 წლის X-XII თვის, 1999 წლის VI-XII თვის, 2000 წლის I-XII თვის; 2001 წლის I-XI თვის ხელფასები – ხელზე გასაცემი თანხა 4111 ლარი; მ. დ-ა მუშაობდა ... მთავარ ბუღალტრად და მისაღები აქვს 2000 წლის X-XII თვის; 2001 წლის I-XI თვის ხელფასი – ხელზე გასაცემი თანხა 1741 ლარი; ნ. ზ-ე მუშაობდა ... I კატეგორიის ინჟინრად და მისა-

ლები აქვს 2000 წლის X-XII თვის; 2001 წლის II-XI თვის ხელფასები – ხელზე გასაცემი თანხა – 1241 ლარი; ა. ა-ი მუშაობდა ... ინჟინრად და მისაღები აქვს 1998 წლის X-XII თვის, 1999 წლის VI-XII თვის, 2000 წლის I-XII თვის; 2001 წლის I-XI თვის ხელფასი – ხელზე გასაცემი თანხა 1606 ლარი, გ. ს-ი მუშაობდა ... უფროს მომმარაგებლად და მას მისაღები აქვს 1998 წლის X-XII თვის, 1999 წლის VII-XII თვის, 2000 წლის I-XII თვის; 2001 წლის I-III თვის ხელფასი – ხელზე გასაცემი თანხა 1450 ლარი. ცნობები დადასტურებულია შპს „ი-ს“ მიერ.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შპს „...-2000-ს“ 2000 წლის 25 ივლისის №ს-01-02/21 წერილით საქართველოს სახალხო დამცველს, აკ. ყ-ის, ე. ა-ის, მ. დ-ას, ნ. ზ-ის, ზ. ც-ის, ა. ა-ის განცხადების პასუხად ეცნობათ, რომ შპს „... 2000-ს“ ბრძანებით გაუქმდა ყოფილი სახაზინო სანარმო სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ყველა ფილიალი და მათი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზაზე დაფუძნდა შპს „ს-ს“ ფილიალები, მათ შორის, საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი. შპს „... 2000“ რეორგანიზაციის გამო მძიმე ფინანსურ კრიზისში იყო და იმ ეტაპზე ვერ ახერხებდა სახელფასო დავალიანების დაფარვას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 თებერვლის №23197 წერილის შესაბამისად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით, სახაზინო სანარმო „ს-ს“ ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს „ე-ია“. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით შპს „ე-ს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დაერქვა შპს „...-2000“, რომელიც წარმოადგენს ყოფილი სახაზინო სანარმო „ს-ს“ სამართალმემკვიდრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 06 აპრილის განჩინების საფუძველზე მიღებული იქნა გადანყვეტილება B10053558/3 (27 აპრილი 2010 წელი) სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული შპს „... 2000-ის“ (ს/ნ ...) დოკუმენტაციით აღნიშნული სუბიექტის უფლებამონაცვლე დადგენილი არ არის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2013 წლის 4 ივლისის წერილის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემებით შპს „... 2000“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) ლიკვიდირებულია და შპს „... 2000-ის“ უფლებამონაცვლეობის თაობაზე მათ ინფორმაცია არ მოეპოვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქმის მასალების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ წარმოადგენს ამჟამად ლიკვიდირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „... 2000-ის“ სამართალმემკვიდრეს და ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ზემოთ მითითებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესრულებულ ან/და შეუსრულებელ ვალდებულებებზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო აპელანტების მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელფასო დავალიანება აპელანტების (მოსარჩევეების) მიმართ. სათანადო იურიდიული ძალის არქონის გამო, ასეთ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა აპელანტების (მოსარჩევეების) მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის უნომრო და უთარილო ან/და 2000 და 2004 წლებით დათარიღებული ცნობების ქსეროასლები, რომელთა დედნები, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს არაერთი მოთხოვნისა, ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ბაზაზე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 10 დეკემბრის №3/898 ბრძანებით დაფუძნდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელექტროდისპეჩერიზაცია“ (ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეჩერიზაცია).

**კასატორები:** ა. ყ-ი, ნ. ზ-ე, მ. დ-ა, ზ. ც-ე, ა. ა-ი, გ. ს-ი;

**მონინალმდევე მხარე:** საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; წარმომადგენლები – ი. თ-ე და ლ. ნ-ე;

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები საკასაციო საჩივარს ამყარებდნენ ძირითადად იმავე საფუძვლებზე, რაზეც მიუთითებდნენ სარჩელში და სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეუბნით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ყ-ის, ნ. ზ-ის, მ. დ-ას, ზ. ც-ის, ა. ა-ისა და გ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შეაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 10 დეკემბრის №3/898 ბრძანების „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ე-ს“ (ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეჩერიზაცია) დაფუძნების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ბაზაზე დაფუძნდა შპს „ე-ა“ (ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეჩერიზაცია) სანესდებო კაპიტალში 100% სახელმწიფო მატერიალური ქონებრივი შენატანით და მისი მართვის უფლება გადაეცა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 22 თებერვლის №3/115 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „ე-ში“. შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა შპს „... – 2000“ და განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს შემად-

გენლობა.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შპს „...-2000-ს“ 2000 წლის 25 ივლისის №ს-01-02/21 წერილით საქართველოს სახალხო დამცველს, ა. ყ-ის, ე. ა-ის, მ. დ-ას, ნ. ზ-ის, ზ. ც-ის, ა. ა-ის განცხადების პასუხად ეცნობათ, რომ შპს „... 2000-ს“ ბრძანებით გაუქმდა ყოფილი სახაზინო სანარმო სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ყველა ფილიალი და მათი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზაზე დაფუძნდა შპს „ს-ს“ ფილიალები, მათ შორის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი. შპს „... 2000“ რეორგანიზაციის გამო მძიმე ფინანსურ კრიზისში იყო და იმ ეტაპზე ვერ ახერხებდა სახელფასო დავალიანების დაფარვას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 თებერვლის №23197 წერილის შესაბამისად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით, სახაზინო სანარმო „ს-ს“ ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს „ე-ა“ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით შპს „ე-ს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დაერქვა შპს „...-2000“, რომელიც წარმოადგენს ყოფილი სახაზინო სანარმო „ს-ს“ სამართალმემკვიდრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის განჩინებით საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება B10053558/3 (27 აპრილი 2010 წელი) სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული შპს „... 2000-ის“ (ს/ნ ...) დოკუმენტაციით აღნიშნული სუბიექტის უფლებამონაცვლე დადგენილი არ არის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2013 წლის 4 ივლისის წერილის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემებით შპს „... 2000“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) ლიკვიდირებულია და შპს „... 2000-ის“ უფლებამონაცვლეობის თაობაზე მათ ინფორმაცია არ მოეპოვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონიშნებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულ-

თან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ სათანადოდ არ გამოურკვევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ შეუფასებია ისინი. სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს მტკიცებულებების ობიექტური გამოკვლევისა და შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია სამართალწარმოების ყველა სახისათვის იმპერატიულად განსაზღვრული პრინციპი – სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, რომ შეაფასოს მტკიცებულებები თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის განჩინებაში ჩამოყალიბებულ განმარტებას: „სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გუ-



ლისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტური სამართლებრივი შეფასება არ მისცა აპელაციის მოტივებს, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემულ სასამართლო დასკვნებს, შედეგად საქმეზე დაადგინა უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

განსახილველ დავაში მოსარჩელები – ა. ყ-ი, ნ. ზ-ე, მ. დ-ა, ზ. ც-ე, ა. ა-ი და გ. ს-ი ითხოვენ 1998-2003 წლებში შპს „... 2000-ში“ (ყოფილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „ს-ს“ ... ცენტრში) მუშაობის პერი-

ოდში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას მოპასუხე – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ წარმოადგენს ამჟამად ლიკვიდირებული შპს „... 2000-ის“ სამართალმემკვიდრეს და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა მითითებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესრულებულ ან/და შეუსრულებელ ვალდებულებებზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს ეს ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელი დასკვნა ეწინააღმდეგება მისივე პროცესუალურ მოქმედებებს, ვინაიდან, სასამართლოს ასეთ პირობებში უნდა ემსჯელა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს არასათანადო მოპასუხის სტატუსზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად. თუკი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ წარმოადგენს შპს „... 2000-ის“ სამართალმემკვიდრეს, მაშასადამე, მხარისადმი მოთხოვნის უფლებაც არ არსებობს, ე.ი. მოპასუხე არ არის ის სუბიექტი, რომელმაც პასუხი უნდა აეგოს მოთხოვნაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული საკითხი საპროცესო სამართლის ელემენტარული ფუნდამენტია და თუ ის არ არსებობს, არ არსებობს შესაბამისი სამართალწარმოება, რადგან მოცემული დავა მოცემულ მხარეებს შორის მოცემულ საგანზე არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომ სასამართლოებში ჯერ კიდევ პრობლემატურია მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი პროცესუალური კონტექსტის გათვალისწინებით განხილვა.

წინამდებარე დავის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №ბს-1490-1472(კ-11) გ. ს-ა, დ. ც-ი, კ. ხ-ა, ო. გ-ი, ბ. ბ-ე, ვ. ს-ა, შ. ხ-ა, სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, 2012 წლის 30 მაისის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და განმარტებას:

„საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო სამართლის, ისევე როგორც კერძო სამართლის სუბიექტების ლიკვიდაცია არის მისი არსებობის, საქმიანობის, ფუნქციონირების შეწყვეტის სამართლებრივი ფორმა, საშუალება. ლიკვიდაცია არის სამსახურიდან მოხელის განთავისუფლების პირობა, ამასთან ამ უკანასკნელს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღი-

დან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრო-  
მითი გასამრჯელო (ხელფასი). ლიკვიდაციის პროცესი მოიცავს  
ლიკვიდირებული დაწესებულების ქონების რეალიზაციის, კრე-  
დიტორების დაკმაყოფილების, დარჩენილი ქონების შესაბამი-  
სი ორგანოსათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცე-  
დურებს, რომელთა განხორციელების მიზნითაც იქმნება სალიკ-  
ვიდაციო კომისია და აღნიშნული ღონისძიებების განხორციე-  
ლების შედეგად იგი ასრულებს მუშაობას. მოცემულ შემთხვე-  
ვაში სადავო არ არის, რომ სპეცკავშირის ლიკვიდაციის პროცე-  
სი დაწყებულია, რამდენადაც საქართველოს მთავრობის გან-  
კარგულებით დადგინდა სამსახურის ლიკვიდაცია, ლიკვიდაციის  
შედეგად მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, სა-  
ლიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება დაევალა ეკონო-  
მიკური განვითარების სამინისტროს, მინისტრის ბრძანებით შე-  
იქმნა სალიკვიდაციო კომისია და განისაზღვრა მისი შემადგენ-  
ლობა. ლიკვიდაციის პროცესის დაუსრულებლობა დავალიანე-  
ბის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს,  
ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესი და სალიკვიდაციო ღონისძიე-  
ბების განხორციელება მოიცავს კრედიტორული დავალიანებე-  
ბის, მათ შორის სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების  
პროცესს და სწორედ სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორ-  
ციელების შემდეგ ასრულებს სალიკვიდაციო კომისია მუშაო-  
ბას. იგივე წესია დადგენილი კერძო სამართლის სუბიექტების  
მიმართ, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანო-  
ნის მე-14 მუხლის შესაბამისად, პარტნიორები საერთო კრება-  
ზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის პროცე-  
სის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკ-  
მაყოფილების პროცესი, კრედიტორთა დაკმაყოფილების პრო-  
ცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღე-  
ბენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების  
შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობი-  
ლი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ამდენად, საკა-  
საციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლიკვიდაციის პროცესის გო-  
ნივრულ ვადაში დაუსრულებლობა ვერ იქნება მიჩნეული სახელ-  
ფასო დავალიანებების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძ-  
ვლად.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოსაზრება იმის შე-  
სახებ, რომ ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლის  
სპეციალური აქტით განუსაზღვრელობის გამო არ არსებობს მო-  
პასუხისათვის დავალიანების ანაზღაურების დაკისრების სა-  
ფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 07.05.046. ბრძანებუ-

ლებით გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 04.01.026. №1 ბრძანებულება „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ“, ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 10.09.046. №77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულება სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროს განაკუთვნებს ელექტრონულ კომუნიკაციებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ფოსტას (2.1 მუხ.). აღნიშნული სფეროს სამართავად, მისი სრულყოფისა და ფუნქციონირების კოორდინაციისათვის სამინისტროში შეიქმნა კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი (მე-4 მუხ., მე-9 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 08.11.076. №655 განკარგულება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.076. №1-1/2012 ბრძანება, რომელთა საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა სპეცკავშირის სალიკვიდაციო კომისია, ძალაშია და არ გაუქმებულა. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ლიკვიდაცია არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი მიმართული ლიკვიდირებული სუბიექტის ვალდებულების შესრულებისაკენ. ვალდებულებაში პირთა შეცვლის დროს იცვლება სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო სისტემური კავშირი უფლებამოსილებასა და ვალდებულებას შორის ნარჩუნდება. აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან შტოს, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის ერთიანობა ორგანულად გადადის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ერთიანობაში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო არის გარკვეული მოცულობის უფლებამოსილებების მატარებელი, სამინისტრო დარგობრივი ორგანოს სახით მოქმედებს და ხელმძღვანელობს საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მიუხედავად ამისა, სამინისტრო არ არის წმინდა დარგობრივი ორგანო, პრობლემათა ზრდის კვალდაკვალ იგი იმთავითვე თავისი დარგის კოორდინატორის როლში გვევლინება და ფაქტიურად დარგთაშორისი რაკურსით მოქმედებს. აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტები ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ინოვაციის შედეგად ორგანოს გაუქმების მიუხედავად სახელმწიფო ინარჩუნებს სახელმწიფო ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობას. შესაბამისად, მას უნარჩუნდება არა მხოლოდ შესრულების, არამედ უზრუნველყოფის პასუხისმგებლობაც. სახელმწიფო ორგანოთა შექმნა, მათ შორის, ფუნქციების განა-

წილება წარმოადგენს ხელისუფლების დისკრეციის სფეროს, ორგანოთა გაუქმება, ინოვაციური სიახლეები არ იწვევენ სახელმწიფო ფუნქციების და ამოცანების მთლიანად გაუქმებას, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაუქმებას“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ლიკვიდაცია წარმოადგენს იმგვარ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლითაც დაწესებულება როგორც სუბიექტი, წყვეტს საქმიანობას, აღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და მისი უფლებები და მოვალეობები სხვა სუბიექტს არ გადაეცემა. ამასთან, ლიკვიდაცია თავისი არსით დაუშვებლად მიიჩნევა უფლებამონაცვლეობას.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ წარმოადგენს ამჟამად ლიკვიდირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „... 2000-ის“ სამართალმემკვიდრეს და ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ზემოთ მითითებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესრულებულ ან/და შეუსრულებელ ვალდებულებებზე, სრულბრუნ დაუსაბუთებელი და კანონშეუსაბამოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ ემყარება საქმის გარემოებათა ჯეროვან გამოკვლევას, რამდენადაც სასამართლოს საერთოდ არ გამოურკვევია, ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც მოიცავს ლიკვიდირებული დაწესებულების ქონების რეალიზაციის, კრედიტორების დაკმაყოფილების, დარჩენილი ქონების შესაბამისი ორგანოსათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურებს, რომელთა განხორციელების მიზნითაც იქმნება სალიკვიდაციო კომისია, როგორ განხორციელდა, ვის გადაეცა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სანარმოს ქონება, მხოლოდ ის გარემოება, რომ ლიკვიდირებული სანარმოს უფლებამონაცვლე სამართლებრივი აქტებით არ განსაზღვრულა, ვერ გახდება სათანადო სამართლებრივი შეფასების მოხდენაზე უარის თქმის საფუძველი. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე დეტალურად არის გადმოცემული ენერგეტიკული სექტორის განვითარების ფორმები და სტადიები, კერძოდ:

„დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ენერგოსექტორის რეაბილიტაციის მიზნით საქართველოში დაიწყო ენერგეტიკული სექტორის რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალკეულ დამოუკიდებელ სტრუქტურულ-

ბად ჩამოყალიბება. კერძოდ, გენერაციის ობიექტები ცალკეული დამოუკიდებელი ელექტროსადგურების სახით ჩამოყალიბდა.

შეიქმნა შპს „ე-ია 2000“, სს „ე-მა“, შპს „... 2000“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ენერგოგენერაცია“, სს „ს-ო“ და კავშირი (ასოციაცია) „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი“, ასევე რეგიონული და მუნიციპალური ენერგოკომპანიები.

2000 წლიდან დაიწყო ენერგოსექტორის რეორგანიზაციის ახალი ეტაპი, უკვე უცხოური კომპანიების მონაწილეობით. 2002 წელს განხორციელდა შპს „ე-ა 2000“-სა და სს „ე-ს“ შერწყმა, შეიქმნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე), რომელიც 2011 წელს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა.

2001 წელს „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი“ 5-წლიანი მართვის უფლებით ესპანურ კომპანია „ი. დ-ს“ გადაეცა, 2003 წელს კი შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ 5-წლიანი მართვის უფლებით ირლანდიური კომპანია ESB International-ის მენეჯმენტი შევიდა“. (იხ. [www.energy.gov.ge](http://www.energy.gov.ge))

დადგენილია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „... 2000“ დაფუძნებული იყო სახელმწიფოს მიერ და მის მიერვე განხორციელდა სანარმოს ლიკვიდაცია. სამეწარმეო სუბიექტის დამფუძნებელი სახელმწიფოს ვალდებულებები, თვისობრივად განსხვავდება სხვა ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების დამფუძნებელი პირების ვალდებულებებისაგან, რამდენადაც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მათ შორის, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში პირი ძირითადად მონაწილეობს საკუთარი რისკით, რამდენადაც კეთილსინდისიერი პარტნიორის არჩევა მის შეხედულებებზეა დამოკიდებული მაშინ, როცა სახელმწიფო გვევლინება სამეწარმეო სუბიექტის დამფუძნებლად, მით უმეტეს, როცა სანარმო ფუძნდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც შპს „... 2000“-ის შემთხვევაში ცალსახაა, სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი საჯარო ამოცანების გადასაწყვეტად შექმნილი სანარმო ლიკვიდაციის პროცედურის მეშვეობით „გააქროს“ სამოქალაქო ბრუნვიდან ისე, რომ მისი ნაკისრი ვალდებულებები, განსაკუთრებით შრომით-სამართლებრივი შინაარსის, შეუსრულებელი დატოვოს, იქ დასაქმებული ადამიანების ძირითადი უფლების – შრომითი გასამრჯელოს მიღების უფლების სრული იგნორირების ხარჯზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში დაცულია და უზრუნველყოფილია კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტების მეშვეობით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მმართველობის მიზნიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დაინტერესებული პირი აღჭურვილია რა კანონიერი ნდობის უფლების პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ მას გააჩნია კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების – მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების სტანდარტთან შესაბამისობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

წინამდებარე დავის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №ბს-1349-1334(კ-11) მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების ქ. ქუთაისის მერიისა და სს „ქუთაისის ტროლეიბუსების სანარმოს“ მიმართ, 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში ჩამოყალიბებულ განმარტებას: „ხელფასი წარმოადგენს პირის გასამრჯელოს განეული შრომისათვის და მისი მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების მიხედვით დასაქმებულის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება.

1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის I ნაწილის IV პუნქტების მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ საყოველთაო უფლებას შრომის სამართლიან



ანაზღაურებაზე, ხოლო I მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეფექტურად დაიცვან მუშაკის მიერ ნებაყოფლობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამოიმუშავების უფლება.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. 34-ე მუხლით განსაზღვრულია დამსაქმებლის ვალდებულება – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“.

აგრეთვე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე №ბს-1590-1549(კ-10) ქ. კ-ძე სარჩელისა გამო მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ, 2011 წლის 15 მარტის განჩინებაში მიუთითა:

„საქართველოს კონსტიტუციით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფო, რომელიც იყო ან ლიკვიდირებული შპს-ის დამფუძნებელი, საწარმოს შეუსრულებელ სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით, ვალდებულია, იმოქმედოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს, მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებზე პასუხი აგოს არავალდებულმა პირმა, რასაც პროცესუალური თვალსაზრისით უზრუნველყოფს სათანადო მოპასუხის ინსტიტუტი, რომლის გამოყენება 2 მიკრო პროცედურული სტადიის და მოსარჩელისთვის მისი საპროცესო უფლებების და მათი რეალიზაციის ადეკვატურ სამართლებრივი შედეგების განმარტების მოვალეობის ზედმიწევნით დაცვით უნდა განხორციელდეს, შესაბამისი სამართლო აქტების – განჩინების მიღებით, კერძოდ:

1. სასამართლომ უნდა დაადგინოს სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული პირი არის თუ არა ის, ვინც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით პასუხი უნდა აგოს მოთხოვნაზე (სათანადო მოპასუხე);

2. მოპასუხის არასათანადოდ მიჩნევის შესახებ სასამართლო განჩინების მიღების შემდეგ, სათანადო მოპასუხის საქმეში ჩაბმა დამოკიდებულია მოსარჩელის პროცესუალურ პოზიციაზე, მისი თანხმობის გარეშე სათანადო მოპასუხე ვერ ხდება პროცესის მონაწილე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპის – დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე.

ამ ვითარებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩელის იურიდიული შედეგი – სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით არასათანადო მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელს არ აკმაყოფილებს, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პროცესუალური პრინციპის საფუძველზე ხორციელდება და არა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო არსებითად არ მსჯელობს სარჩელის საფუძვლიანობაზე, რამდენადაც დავის პროცესუალური მხარე არ არის სათანადო მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოთხოვნაზე.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ, არა საქმის განხილვის სტადიაზე, არამედ გადაწყვეტილებით დაადგინა სარჩელზე დასახელებული მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არასათანადოობა, საქმის განხილვის სტადიაზევე არ განსაზღვრა სათანადო მოპასუხე, ისე შესთავაზა მოსარჩელეებს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არასათანადო მოპასუხედ მიჩნევაზე თანხმობა, რაც სრულად ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესებით განხორციელების სავალდებულო პრინციპს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №ბს-1490-1472(კ-11) გ. ს-ა, დ. ც-ი, კ. ხ-ა, ო. გ-ი, ბ. ბ-ე, ვ. ს-ა, შ. ხ-ს სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, 2012 წლის 30 მაისის განჩინებაში საკასაციო პალატამ სათანადო მოპასუხის საკითხთან დაკავშირებით მიუთითა:

„სპეციალური კავშირის დებულების თანახმად, სამსახური დამოუკიდებლად ახორციელებდა სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი და კავშირგაბ-

მულობისა და ფოსტის სამინისტროს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სპეცკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის (1.3 მუხ.). ამასთანავე, სპეცკავშირი ექვემდებარებოდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს (1.4 მუხ.), სპეცკავშირის ქონება წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და გადაცემული ჰქონდა მას ფლობისა და ოპერატიული მართვის უფლებით. სპეცკავშირის სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის 06.02.1998წ. №68 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების (1.4 მუხ.) თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო საქვეუწყებო სანარმოო დაწესებულებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული შრომის წიგნაკების მიხედვით, 1995 წელს სპეცკავშირის რესპუბლიკური სამმართველო გარდაიქმნა სახაზინო სანარმოდ. აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმოს შექმნას ითვალისწინებდა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 25.07.1991წ. კანონი, ხოლო შემდგომ 1995 წლის 1-ლი მარტიდან ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 19.02.99წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სახაზინო სანარმოს, როგორც სანარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანებების წარმოშობის დროისათვის (1997-1999წ.წ.) სპეცკავშირი ფუნქციონირებდა როგორც სახაზინო სანარმო. ხსენებული საკანონმდებლო აქტების თანახმად, სახაზინო სანარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ თავისი განცალკევებული ქონებით, თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს სანარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა დაეკისროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელსაც გადაეცა სპეცკავშირის ქონება ლიკვიდაციის შედეგად და დაევალა სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება“.

განსახილველ დავაში ქვემდგომ სასამართლოებს საერთოდ არ უმსჯელიათ ლიკვიდირებული სანარმოს ქონების მესაკუთრის ფაქტის დადგენის თვალსაზრისით, არ მოუპოვებიათ შესაბამისი მტკიცებულებები (ზეპირი თუ წერილობითი სახის), რის გამოც საქმეზე დაადგინეს იურიდიული თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელი გადანყვეტილებები, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის ე' პუნქტის საფუძველზე გადანყვეტილების გაუქმე-

ბის აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით საჯარო ამოცანების მიღწევის მიზნით შექმნილი კერძო თუ საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციისას არ განსაზღვრულა (და ვერც დგინდება) სუბიექტის შეუსრულებელ სახელფასო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი სუბიექტი, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულებებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს, სათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ანალოგიურ დავებში, სადაც ლიკვიდირებული დაწესებულება წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომლის შენახვა ფინანსდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან, სახელფასო დავალიანების წარმოშობის საფუძველი იყო ის, რომ 1998-2000 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ისინი ვერ დაფინანსდა შემამაბისი წლების ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ოდენობით. „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელი იყო, გამოყენებულიყო 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი. ეროვნული სასამართლოების მიერ განიმარტა, რადგან „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნათა აღსრულება წარმოებდა ფინანსთა სამინისტროს მიერ საალსრულებო ფონდის სახსრებით, ამდენად, მიჩნეულ იქნა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციაში, წინა წლების წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისათვის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის სამართლიანად გადაწყვეტის, პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციისას, სამართალმემკვიდრის დაუდგენლობის პირობებში, გაუსტუმრებელი სახელფასო და-

ვალთანების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიური მიდგომა საჯარო მმართველობის კანონიერების სტანდარტით ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის კვალიფიციური გამოყენების შედეგად, საპროცესო სტადიების დაცვით განსაზღვროს მოცემულ სამართალურიერთობაში მოთხოვნაზე ვალდებული ადმინისტრაციული ორგანო /სათანადო მოპასუხე/, შესაბამისი საპროცესო მოქმედებების ჩატარების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ასევე კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ „საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო აპელანტების მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელფასო დავალიანება აპელანტების (მოსარჩევეების) მიმართ. სათანადო იურიდიული ძალის არქონის გამო, ასეთ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა აპელანტების (მოსარჩევეების) მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის უნომრო და უთარილო ან/და 2000 და 2004 წლებით დათარიღებული ცნობების ქსეროას-ლები, რომელთა დედნები, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს არაერთი მოთხოვნისა, ვერ იქნა წარმოდგენილი,“ მსჯელობის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპებთან და მიზანთან სრული შეუსაბამობის გამო, რამდენადაც საჯარო-სამართლებრივი დავების კანონიერი გადაწყვეტის ამოცანიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სასამართლო საპროცესო კანონმდებლობით აღჭურვილია შესაბამისი საპროცესო ინსტიტუტით – ოფიციალობის პრინციპით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა

მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპროცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა – დაიცვან

თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია მიღწეული ვერ იქნეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი, საჯარო ინტერესის უზრუნველმყოფი უფლებამოსილება, რაც აღმოფხრილი უნდა იქნეს საქმის ხელახლა განხილვისას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიღოს ზომები, დამატებითი მტკიცებულებების, წერილობითი თუ ზეპირი სახით, მოპოვებისათვის, რათა უტყუარად დადგინდეს მოსარჩელეთა სახელფასო დავალიანებების არსებობა-არარსებობის ფაქტი საქმეზე კანონშესაბამისი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2, 412-ე მუხლებით და



## დაადგინა:

1. ა. ყ-ის, ნ. ზ-ის, მ. დ-ას, ზ. ც-ის, ა. ა-ისა და გ. ს-ის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**2. სახელმწიფო კომპენსაცია (პენსია)**  
**სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშების**  
**საფუძველი**

**განჩინება**

№ბს-427-422(კ-14)

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ**  
**საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 06.08.13წ. №04/71976 წერილით ლ.გ-ის განცხადება 2013 წლის 1 აპრილიდან დანიშნული კომპენსაციის გადაანგარიშების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააგენტომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით დადგენილი ნამსახურების ვადის ამონურვის საფუძველით დანიშნული კომპენსაციების დანიშნვა-გადაანგარიშების საკითხები რეგულირდება კანონის მე-8 მუხლით, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გადაანგარიშება ეხებათ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ პირობებს, რომლის თანახმად ამ კანონის 1-ელ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან დათხოვნილ მოსამსახურეებს, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობათ, თუ მათ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს გააჩნიათ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, ხოლო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელ-

მნიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი თანამდებობიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. სააგენტომ მიუთითა, რომ განმცხადებელს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული აქვს სახელმწიფო უშიშროების ხაზით სამხედრო სამსახურში 15 კალენდარული წლის ნამსახურობის საფუძვლით, საქართველოს რესპუბლიკის 06.10.1992წ. №973 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებით, რომელიც ძალადაკარგულია 1997 წლის 1 იანვრიდან „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის ამოქმედების დღიდან, ხოლო სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან დათხოვნილია სამსახურებრივი შეუფერებლობისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 1.2 მუხლით დადგენილ პირობებს, რის გამოც არ არსებობს კომპენსაციის გადაანგარიშების სამართლებრივი საფუძველი.

ლ. გ-მა 13.09.13წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, მოპასუხის 06.08.2013წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობის და სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1994 წლიდან იღებს სახელმწიფო კომპენსაციას წლების ნამსახურობის მიხედვით, უშიშროების სამინისტროს ხაზით. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში 22.03.13წ. შეტანილი ცვლილებების მიხედვით შეიცვალა სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშების წესი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსა-

ხურების სააგენტომ კანონშეუსაბამოდ არ მოახდინა მისი კომპენსაციის გადაანგარიშება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.11.2013წ. გადაწყვეტილებით ლ.გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.2007წ. №190/6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლზე, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანების მე-2 დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კანონისმიერი ვალდებულებაა კომპენსაციის დანიშვნა, მისი გაცემა, ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა, გადაანგარიშება, აგრეთვე კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლში 22.03.2013წ. შეტანილი ცვლილებების თანახმად (ამოქმედდა 01.04.2013წ.) კომპენსაციის ოდენობის გადაანგარიშებას დაექვემდებარენ ამ კანონის მე-8 და მე-15<sup>1</sup> მუხლებით, აგრეთვე მე-17 მუხლის მე-4 და მე-19 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული პირების კომპენსაციები. სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლზე, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლზე და აღნიშნა, რომ დანიშნული კომპენსაციის გაანგარიშების აუცილებელ პირობად განისაზღვრება 20 ან 20-ზე მეტი კალენდარული წლის ნამსახურების აუცილებლობა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. გ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული აქვს 1994 წლიდან, უშიშროების

სამინისტროს ხაზით, 15 კალენდარული წლის ნამსახურობის საფუძვლით, 143,76 ლარის ოდენობით, საქართველოს რესპუბლიკის 06.10.1992წ. №973 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების საფუძველზე, რომელიც ძალადაკარგულია 1997 წლის 1 იანვრიდან. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს არ აქვს ნამსახურების 20 კალენდარული წელი, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც არ არსებობს დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ არ გაიზიარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 06.08.2013წ. გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ ლ. გ-ი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან დათხოვნილია სამსახურებრივი შეუფერებლობისათვის და მიუთითა, რომ საქართველოს შსს 30.09.2013წ. ცნობის თანახმად, ლ. გ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ ინფორმაციის შსს კადრების მთავარი სამმართველოს მოქმედ და საარქივო კარტოთეკაში, ასევე პირად საქმეში დაცული არ არის. ამასთანავე, მოპასუხის წარმომადგენელმა 08.11.2013წ. სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მოხდა ტექნიკური უზუსტობა, სააგენტოს მხრიდან კომპენსაციის გადაანგარიშებაზე უარი განაპირობა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ მოსარჩელე ლ. გ-ს არ ჰქონდა ნამსახურების 20 კალენდარული წელი (08.11.2013წ. სხდომის ოქმი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.11.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ლ. გ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.2014წ. განჩინებით ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 28-ე მუხ-

ლის მიხედვით კომპენსაციის ოდენობის გადაანგარიშებას ექვემდებარებიან კანონის მე-8 და სხვა მუხლებით გათვალისწინებული პირები. მე-8 მუხლის შესაბამისად გადაანგარიშება ეხებათ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ პირობებს. მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კანონის 1-ელ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან დათხოვნილ მოსამსახურეებს, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობათ, თუ მათ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს გააჩნიათ წელთა ნამსახურების 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო კომპენსაციის როგორც დანიშვნის, ისე მისი გადაანგარიშების უფლება აქვთ იმ მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ წელთა ნამსახურების 20 ან 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ლ.გ-ის მიერ. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონის მე-8.2 მუხლი. კასატორი აღნიშნავს, რომ იყო სახელმწიფო უშიშროების უფროს ოფიცერთა შემადგენლობის თანამდებობის პირი, შესაბამისად – სამხედრო მოსამსახურე, მაშასადამე არის „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის სუბიექტი. დაენიშნა და იღებს სახელმწიფო კომპენსაციას კანონით დადგენილი ნამსახურების ვადის ამონურვის გამო, ე.ი. აკმაყოფილებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირობას. კომპენსაცია დაენიშნა „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების მიხედვით, რომელიც იმ დროისთვის ერთადერთ ნორმატიულ აქტს წარმოადგენდა და ნამსახურების ვადად 15 წელს ადგენდა (დანიშვნის დროს გააჩნდა 18 წლის და 6 თვის ნამსახურების ვადა). კომპენსაციის გადაანგარიშება ხდებოდა სისტემატურად, რისი დასტურიცაა

პენსიის გადაანგარიშების ფურცელი, რომელზეც არცერთ ინსტანციას არ უმსჯელია. კასატორი თვლის, რომ მასზე ვრცელდება როგორც „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პირობების შესაბამისად დანიშნულად და მასზე ვრცელდება როგორც ამ კანონის მე-11 მუხლი, ისე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 28-ე და მე-8 მუხლები. გადაანგარიშებაზე უარით დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, რაც არის დისკრიმინაციული და ანტიკონსტიტუციური. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული იყო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19.2 მუხლის თანახმად ან შეეჩერებინა საქმის განხილვა და წარდგინებით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, ან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.4 მუხლის შესაბამისად თვითონ გამოეტანა გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მონინალმდევე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრების საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 06.08.13წ. №04/71976 გადაწყვეტილებით ლ. გ-ს უარი ეთქვა „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული პენსიის გაანგარიშებაზე. უარის თქმის საფუძვლად სააგენტომ მიუთითა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სამსახურიდან დათხოვნის დღისათვის პირს ნამსახურები უნდა ჰქონდეს 20 ან 20 წელზე



მეტი, ხოლო ლ. გ-ს ნამსახურები ჰქონდა 15 წელი. უარის თქმის საფუძველად ასევე მიეთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო უფლება არ წარმოიშობა თუ პირი თანამდებობიდან დაითხოვეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მიუთითა, რომ ლ. გ-ს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუწყდა სამსახურის პროფესიული შეუსაბამობის გამო.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. გ-ს პენსია დაენიშნა 1994 წლის აპრილიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 06.10.92წ. №973 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების საფუძველზე, რომლის მე-10 მუხლის მიხედვით ოფიცრებს წელთა ნამსახურების მიხედვით პენსიის დანიშვნაზე უფლება წარმოეშობათ, თუ სამსახურიდან დათხოვნის დღისთვის მათ ნამსახურები ჰქონდა 15 წელი და მეტი. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით ყოფილი სსრ კავშირის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურობის წლები პენსიაზე გასვლისას ითვლებოდა საერთო წელთა ნამსახურობაში. დროებითი დებულებით დადგენილი საპენსიო უზრუნველყოფის პირობები, ნორმები და წესები, დებულების მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდებოდა სამხედრო წოდების მქონე უშიშროების ორგანოების მოსამსახურეებზე. ამდენად, 15-წლიანი ნამსახურების ვადა წარმოადგენდა იურიდიულად მნიშვნელოვან პირობას ნამსახურების გამო სოციალური უზრუნველყოფის უფლებაზე, რაც რეალიზებულ იქნა მოსარჩელის მიერ, მასზე ნამსახურობის გამო სოც.უზრუნველყოფა გაიცემა 1994 წლიდან. შემდგომში მიღებული წელთა ნამსახურობის პენსიის გაცემის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი, კერძოდ, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ 16.10.1996წ. კანონი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოს სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირებზეც ვრცელდება (1-ლი, მე-16, 59-ე მუხ.), ითვალისწინებს წელთა ნამსახურობისათვის პენსიის მიღების უფლების რეგლამენტაციას (მე-2, მე-11 მუხ.). ხსენებული კანონის მე-11 მუხლის „ა“

ქვეპუნქტის მიხედვით პენსიის დანიშვნისათვის საჭირო ნამსახურებ წელთა რაოდენობა გაიზარდა 20 წლამდე. მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა, რომ ლ.გ-ზე გაიცემა სახელმწიფო კომპენსაცია წელთა ნამსახურების მიხედვით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 24.05.10წ. №07/07-10009, აგრეთვე 25.09.13წ. №04/86288 ცნობების თანახმად, თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი ლ.გ-ი იღებს კომპენსაციას უშიშროების სამინისტროს ხაზით წელთა ნამსახურებით. ამდენად, სააგენტო უდასტურებს ლ. გ-ს წელთა ნამსახურებით კომპენსაციის მიღებას. აღსანიშნავია, რომ „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ 16.10.1996წ. კანონის და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ 27.12.05წ. კანონის გარდამავალი დებულებები ამ კანონების მიღებამდე წარმოშობილ საპენსიო უფლებებთან დაკავშირებით რაიმე დებულებებს არ შეიცავენ. ამდენად, პირებს, რომლებსაც დაენიშნათ კომპენსაცია 15-წლიანი ნამსახურები სტაჟის საფუძველზე, მოპოვებული უფლება შემდგომი კანონმდებლობით არ გაუუქმებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ნამსახურები წლების მინიმალური ოდენობა 15 წლიდან გაიზარდა 20 წლამდე, მანამდე მოქმედი კანონმდებლობით ნამსახურების წლების მიხედვით დანიშნული წელთა ნამსახურებობის პენსიების მიღების უფლება, როგორც უკვე პირის მიერ მოპოვებული უფლება, არ გაუუქმებულა, მოსარჩელე დღემდე იღებს წელთა ნამსახურობისათვის სოციალური უზრუნველყოფის თანხას, რომლის მიღება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს მიერ სადავოდ არ გამხდარა, ამ ხნის განმავლობაში არაერთგზის მომხდარა ლ.გ-ზე გასაცემი თანხის გადაანგარიშება. საქმეში დაცულია ლ. გ-ზე გასაცემი თანხების გადაანგარიშების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით, არაერთხელ მოხდა კასატორზე გასაცემი თანხის გადაანგარიშება, გადაანგარიშების საფუძველთა შორის მითითებულია ფინანსთა მინისტრის წერილები, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს პრეზიდენტის 21.07.04წ. №280 ბრძანებულება და სხვა. საქმეზე არ არის შესწავლილი ადრეულ პერიოდებში კომპენსაციის გადაანგარიშების საფუძველები. კომპენსაციის გადაანგარიშებას ითვალისწინებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი, რომლის თავდაპირველი და ყველა

შემდეგი რედაქცია (მე-8 მუხლში ცვლილებები შეტანილ იქნა 29.12.06წ., 11.03.11წ., 22.03.13წ., 16.04.14წ., 02.05.14წ. და სხვ. კანონებით) ითვალისწინებს მითითებას „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 8.2 მუხლის დანაწესის თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურების 20-ზე ნაკლები კალენდარული წელი, ამ მუხლის მიზნებისათვის ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურების წლებად განესაზღვრათ 20 წელი. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარი ეფუძნებოდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს, სააპელაციო სამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა ხსენებულ ნორმაზე მსჯელობის გარეშე. ამასთანავე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22.3 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში პირის მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობა ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟად, ამასთან საერთო შრომის სტაჟში ჩაითვლება აგრეთვე სწავლის პერიოდი იმ შემთხვევაში, თუ პირი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვამდე ეწეოდა შრომით საქმიანობას და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი. სააპელაციო სასამართლოს ზუსტად უნდა დაედგინა ნამსახურების წლების კომპონენტები (ვადიანი და უვადო სამსახური, სწავლის პერიოდი), გაერკვია სტაჟის შეღავათიანი გაანგარიშების შესაძლებლობა და ზუსტად დაედგინა წელთა ნამსახურობა, როგორც კომპენსაციის გაანგარიშების უფლებისწარმომქმნელი საბაზო ფაქტი. სასამართლოს არ უმსჯელია ლ.გ-ის კალენდარული და საშეღავათო გაანგარიშებით წელთა ნამსახურობის ოდენობაზე მაშინ, როდესაც საქმეში დაცული „სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის შესახებ მონაცემები“ მიწერილი გაანგარიშებით – სწავლის (04.09.25), სავალდებულო სამხედრო სამსა-

ხურში (01.11.21) და უშიშროების ორგანოებში (13.05.18) სამსახურის საერთო სტაჟი, შეღავათიანი გაანგარიშების კოეფიციენტის გამოყენებით 20 წელს აღემატება. აღნიშნული სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა.

რაც შეეხება კომპენსაციის გადაანგარიშებაზე უარის თქმის მეორე საფუძველს, სააგენტოს სადავო აქტში მითითებულია ლ.გ-ის სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი პროფესიული შეუსაბამობის გამო. აღნიშნული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მიიჩნია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე უარის თქმის პირობად. ხსენებული ნორმის თანახმად, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი აღნიშნული თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. სააგენტომ 06.08.13წ. №04/71976 სადავო აქტში მიუთითა, რომ ლ.გ-ის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან იგი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებიდან დათხოვნილი იყო სამსახურებრივი შეუფერებლობისათვის. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მიცემული განმარტებით, სადავო აქტის ამ ნაწილის ტექნიკური უზუსტობის შესახებ. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ იმსჯელა და შეფასება არ მისცა აღნიშნულ განმარტებას. საყურადღებოა, რომ საქმეში დაცული მინდობილობის თანახმად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელს არ გააჩნდა თუნდაც ნაწილობრივ სარჩელის ცნობის უფლება. საქართველოს შსს 11.03.15წ. წერილით ირკვევა, რომ ლ. გ-ი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის 25.04.94წ. №438-პმ ბრძანებით 1994 წლის 15 აპრილიდან დათხოვნილ იქნა ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან შეიარაღებული ძალების რეზერვში იმჟამად მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 05.08.1992წ. №972 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დროებითი დებულების 42-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (სამსახურებრივი შეუფერებლობისათვის). სამსახურებრივი შეუფერებლობა არ ადას-

ტურებს სამსახურიდან დათხოვნას შტატების შემცირების გამო, ვინაიდან „სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 42-ე მუხლში ზემოაღნიშნული ორი პირობა სამსახურიდან დათხოვნის ცალ-ცალკე საფუძველად არიან დასახელებულნი. აღნიშნულთან ერთად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შს სამინისტროს 04.03.15წ., №475883 ცნობის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის 14.07.1994წ. №0123 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის 25.04.1994წ. №438-პმ ბრძანებაში და ლ. გ-ი ჩაითვალა დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 06.10.1992წ. №973 დადგენილების 42-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (შტატების შემცირების გამო). სააპელაციო პალატას აღნიშნული გარემოება არ შეუსწავლია, არ დაუდგენია ლ. გ-ის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი და შემოიფარგლა მხოლოდ მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით ამ ნაწილში შეცდომის დაშვების შესახებ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობა აღნიშნული საგანმეკარგულებო უფლებამოსილების შესახებ, სსკ-ის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის თანახმად, სპეციალურ მითითებას არ შეიცავს. ამდენად, სააპელაციო პალატამ საქმის ხელახალი განხილვისას სათანადო შეფასება უნდა მისცეს გასაჩივრებულ აქტში მითითებულ გადაანგარიშებაზე უარის თქმის ყველა საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლოს სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, განწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

სასკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, სოციალური დავები გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, რაც არ გამო-

რიცხავს საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვის პროცესში დავასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას. შესაბამისად, მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.2014წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) მოთხოვნის  
პანონირება**

**გადანყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-707-693(კ-14)

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 6 ივნისს მ. ლ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – სსიპ  
სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული  
განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1982 წლის 20 ივნისიდან 2006  
წლის 14 მარტამდე მუშაობდა გურჯაანის რაიონული სასამარ-  
თლოს მოსამართლედ. 2012 წლის 12 ოქტომბერს შეუსრულდა  
65 წელი და განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახუ-  
რების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას სახელ-  
მწიფო გასაცემლის დანიშვნის მოთხოვნით. თუმცა, სააგენტოს  
გადანყვეტილებით მ. ლ-ეს უარი ეთქვა სახელმწიფო კომპენ-  
საციის დანიშვნაზე იმ საფუძველით, რომ ვერ აკმაყოფილებდა  
სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობებს, კერძოდ, სა-  
ქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ იყო გაცე-  
მული წარდგინება და ასევე იგი გათავისუფლებული იყო პირა-  
დი განცხადების საფუძველზე. აღნიშნული გადანყვეტილება  
მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების საა-  
გენტოში, რომლის გადანყვეტილებით მას უარი ეთქვა ადმი-  
ნისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამის შემდგომ მ.  
ლ-ემ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა, რო-  
მელმაც მიმართვა თანდართული დოკუმენტებით სსიპ სოცია-  
ლური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყო-  
ფილებაში გადააგზავნა. თუმცა, მ. ლ-ეს კვლავ უარი ეთქვა მოთ-



ხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მისთვის კომპენსაციის დანიშვნაზე უარის თქმას და მიუთითებს, რომ მას სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა ეკუთვნის ორი საფუძვლით – იგი სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით, სასამართლოს ლიკვიდაციის გამო გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან, რა დროსაც მას უკვე ჰქონდა მოსამართლედ მუშაობის 16 წლის სტაჟი. ამასთან, იგი მოსამართლის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო იქნა გათავისუფლებული, ვინაიდან, 1991 წლის 16 აგვისტოს იგი დაინიშნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 10 წლის ვადით და 2001 წლის 16 აგვისტოს დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების 2012 წლის 2 ნოემბრის №03/2738, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 თებერვლის №04/7910 და 2013 წლის 27 მაისის №04/46359 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების 2012 წლის 2 ნოემბრის №03/2738 ადმინისტრაციული აქტი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 თებერვლის №04/7910 ადმინისტრაციული აქტი და 2013 წლის 27 მაისის №04/46359 ადმინისტრაციული აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ სადავო გარემოებებთან დაკავშირებით მ. ლ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ნაწილში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი თვის ვადაში გამოცემა დაევალა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ლ-ე 1982 წლის 20 ივნისს არჩეულ იქნა გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლედ. 1987 წლის 21 ივნისს კვლავ არჩეულ იქნა გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლედ. 1989 წლის 24 ოქტომბრიდან 1991 წლის 16 აგვისტომდე იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1991 წლის 16 აგვისტოს №47/9 ბრძანებით 1991 წლის 16 აგვისტოდან დაინიშნა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ 10 წლის ვადით. 1991 წლის 16 აგვისტოდან 1999 წლის 11 მაისამდე მოსარჩელე მუშაობდა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მ. ლ-ეს 1999 წლის 11 მაისიდან დაეკისრა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2001 წლის 16 აგვისტომდე. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოსარჩელეს დაეკისრა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება 18 თვის ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 9 აპრილის №143 ბრძანებულებით მ. ლ-ე დაინიშნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 10 წლის ვადით.

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 მარტის №195 ბრძანებულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მ. ლ-ე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2012 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელეს შეუსრულდა 65 წელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ 2013 წლის 15 აპრილს გაცემული №1281 ცნობის თანახმად, მ. ლ-ის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შეადგენდა 545,80 ლარს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 18 აპრილის №362/131/344/419-03-მ წარდგინებაზე, რომლის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო კომპენსაციისა და

სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე სააგენტოს უნდა ემსჯელა მ. ლ-ისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საერთო სასამართლოების შეხახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა), რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშების წესს: მოსამართლეს (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის: ა) 46-ე–49-ე მუხლებისა და 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე; ბ) საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში; გ) 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“, „ო“ ან „ჟ“ ქვეპუნქტის, ასევე 86<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი; დ) 85<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან გაუგრძელდა უფლებამოსილება.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, ავ-

რეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის (შემდგომში – კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ხოლო მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონმდებლობა კომპენსაციისა (გარდა ერთჯერადი კომპენსაციებისა) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის გაანგარიშების წესი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევისას ენიშნება კომპენსაცია, თუ: ა) დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა; ბ) უფლებამოსილება შეუწყდა სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო; გ) მიეკუთვნება „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში მითითებულ მოსამართლეებს; ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ოდენობაა მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე.

სასამართლოს მიერ დადგენილი და უდავოა, რომ მოსარჩელე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1991 წლის 16 აგვისტოს №47/9 ბრძანებით 1991 წლის 16 აგვისტოდან დაინიშნა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ 10 წლის ვადით. 1991 წლის 16 აგვისტოდან 1999 წლის 11 მაისამდე მოსარჩელე მუშაობდა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup>

მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მ. ღ-ეს 1999 წლის 11 მაისიდან დაეკისრა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2001 წლის 16 აგვისტომდე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1999 წლის 15 მაისის შემდეგ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს ამ კანონის 86<sup>1</sup> მუხლით დადგენილი სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია, მისი წინასწარი წერილობითი თანხმობისას საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლედ. ამ ვადის გასვლის შემდეგ ან ვადაზე ადრე თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შემთხვევაში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის აღნიშნული თანამდებობა ხდება ვაკანტური და მის დასაკავებლად ცხადდება კონკურსი ამ კანონით დადგენილი წესით.

საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ღ-ე 1991 წლის 16 აგვისტოდან დაინიშნა რა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ 10 წლის ვადით, მას სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა უმთავრდებოდა 2001 წლის 16 აგვისტოს. მოსარჩელე აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა 1991 წლის 16 აგვისტოდან 1999 წლის 11 მაისამდე. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებით მართლმსაჯულების განხორციელებისას ორგანიზაციული სრულყოფისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად გაუქმდა გურჯაანის რაიონის სასამართლო და შეიქმნა გურჯაანის რაიონული სასამართლო. აღნიშნული ბრძანებულება ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან, რა დროსაც მოსარჩელეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლამდე – 2001 წლის 16 აგვისტომდე დარჩენილი ჰქონდა 2 წელი და 3 თვე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მ. ღ-ეს 1999 წლის 11 მაისიდან დაეკისრა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2001 წლის 16 აგვისტომდე – იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო გურჯაანის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ

გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ცნობა რომლის თანახმად, უფლებამოსილების ვადის დამთავრების გამო იგი გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან და გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება და დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელეს 2001 წლის 16 აგვისტოს დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა.

სასამართლოს მითითებით დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოსარჩელეს დაეკისრა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება 18 თვის ვადით. (აღნიშნული მუხლი ამოღებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის №209 გადაწყვეტილებით). აღნიშნულით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2001 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელეს დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა.

ამასთან, სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 18 აპრილის №362/131/344/419-03-მ წარდგინება არის სარეკომენდაციო ხასიათის, ვინაიდან, წარდგინებაში მითითებული ნორმების მიხედვით, მხედველობაშია მისაღები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე ითხოვს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საკითხის განხილვას. კერძოდ, 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გულისხმობს, რომ მოსარჩელემ 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე გაიარა სავალდებულო სპეციალური ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო გურჯაანის რაიონის სასამართლოში. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გულისხმობს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის დამთავრებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 მარტის №195 ბრძანებულებით „სა-

ერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მ. ლ-ე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ხოლო 2012 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელეს შეუსრულდა საპენსიო ასაკი 65 წელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად აკმაყოფილებს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლებას.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის საკითხი განხილულ უნდა იქნეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო გასაცემლის ოდენობის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმის შესაბამისად, უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის, მაგისტრი მოსამართლის საშუალო თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშებას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევით არის მიღებული, იგი ეწინააღ-



მდეგება ამ მოთხოვნებს იურიდიული (ფაქტობრივი და სამართლებრივი) დასაბუთების თვალსაზრისით.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულმა განყოფილებამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება მ. ლ-ეს არ გაუსაჩივრებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულების მე-14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად გურჯაანის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 15 მაისიდან გაუქმების მიუხედავად უფლებამოსილ პირს – საქართველოს პრეზიდენტს მ. ლ-ის შემთხვევაში არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) სასამართლოს გაუქმების (ლიკვიდაციის) მოტივით გურჯაანის რაიონის სასამართლოს მოსამართლის – მ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ არც 2001 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით და არც მას მერე (არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულების გამოცემის წინ) უფლებამოსილ პირს – საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მოტივით მ. ლ-ის მოსამართლის

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ორივე შემთხვევაში, კერძოდ, ჯერ 1999 წლის 11 მაისს, ხოლო შემდეგ – 2001 წლის 16 აგვისტოს ისე დაეკისრა მ. ლ-ეს სამოსამართლო უფლებამოსილებათა განხორციელება ჯერ 2001 წლის 16 აგვისტომდე ვადით და შემდეგ – 2001 წლის 13 სექტემბრიდან 18 თვის ვადით, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) მოსამართლის – მ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ნორმებზე, რომლებითაც მოწესრიგებულია მოსამართლისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის შესახებ საკითხები. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის (მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშება) მე-2 პუნქტსა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის (საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის გაანგარიშება) პირველ პუნქტზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006 წლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ №2 დანართის – „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 7<sup>1</sup> მუხლის (კომპენსაცია ასაკის გამო) მე-9 პუნქტით დადგენილია, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლეს კომპენსაცია ენიშნება 65 წლის ასაკის მიღწევიდან, თუ უფლებამოსილების ვადა დაუმთავრდა ან უფლებამოსილება შეუწყდა სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში (პირველი საფუძველი). ასევე 1999 წლის 15 მაისიდან სასამართლო უფლებამოსილება შეუწყდა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის, სასამართლოს ლიკვიდაციის, მოსამართლის თანამდებობის შემცირების ან საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუვლელობის გამო და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი (მეორე საფუძველი), აგრეთვე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პენსიაში გასულ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ 1999 წლის 15 მაისიდან (მესამე საფუძველი). კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის ბოლო ერ-

თი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. ღე არ გვევლინება ზემოთ მოხმობილი არც ერთი სამართლებრივი ნორმის (ნორმით დადგენილი უფლების), მათ შორის, არც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და არც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სუბიექტად, ვინაიდან, ორივე სამართლებრივი ნორმის – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობა წარმოიშობა ორი იურიდიული ფაქტის თანაარსებობისას; 1) პირველი იურიდიული ფაქტის, ხდომილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლემ თავისი სამოსამართლო კარიერა/სამოსამართლო საქმიანობა საბოლოოდ, სრულად უნდა დაასრულოს სამოსამართლო უფლებამოსილების იმ ვადის ამონურვის გამო, რა ვადითაც იგი განმწესდა მოსამართლის თანამდებობაზე; 2) მეორე იურიდიული ფაქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს (ამ შემთხვევაში, მოსამართლის თანამდებობაზე აღარმყოფ პირს) უნდა შეუსრულდეს 65 წელი; სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის დასრულების იურიდიული ფაქტი დროში წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი ასაკის დადგომის იურიდიულ ფაქტს. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამონურვა, თუკი პირს ჯერ კიდევ არ შესრულებია 65 წელი, როგორც ფაქტობრივი საფუძველი, არასაკმარისია იმისთვის, რომ პირმა მოითხოვოს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა; ვადის ამონურვის პირობებში დაინტერესებული პირი ელოდება 65 წლის ასაკის შესრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ორივე სამართლებრივი ნორმა – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ემსახურება ერთსა და იმავე სამართლებრივი პრობლემის დარეგულირების, კერ-

ძოდ, ყოფილი მოსამართლეებისთვის სახელმწიფო კომპენსაციების დანიშვნის შესახებ საკითხის მონესრიგების მიზანს იმ განსხვავებით, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთა (სუბიექტთა) წრე უფრო ვიწროა; კერძოდ, აღნიშნული ნორმა შეეხება მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომლებმაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა ამა თუ იმ სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო შესაბამის სასამართლოში; ხოლო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სუბიექტებს წარმოადგენენ არამხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებსაც სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცათ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის გარდამავალი ნორმების საფუძველზე, არამედ ის მოსამართლეებიც, რომლებმაც თავიანთი სამოსამართლო საქმიანობა დაიწყეს ან/და დაასრულეს ასევე სხვა, ახალი საკანონმდებლო აქტის – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 2009 წლის ორგანული კანონის პირობებში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოთ მოხმობილი ნორმების თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა წარმოადგენდეს პირის (მოსამართლის) სამოსამართლო კარიერის დამაბოლოებელ აქტს, რომლის დადგომაც განაპირობებს სახელმწიფოსა და მოსამართლეს შორის მანამდე არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის საბოლოოდ დასრულებას, შეწყვეტას. მოცემულ სადავო შემთხვევაში მ. ლ-ემ თუმცა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა (აგრძელებდა) გურჯაანის რაიონულ სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო აღნიშნულ სასამართლოში და თუმცა მან 2001 წლის 16 აგვისტოს სრულად ამოწურა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა, ვადის გასვლის მიუხედავად მასა და სახელმწიფოს შორის კვლავ

გაგრძელდა იმავე სახისა და შინაარსის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა სამოსამართლო უფლებამოსილების ახალი ვადით, კერძოდ, ჯერ 18 თვით, შემდეგ – 10 წლით და ახალი სამართლებრივი საფუძვლით, კერძოდ, ჯერ საქართველოს პრეზიდენტის 13.09.2001 წლის №961 განკარგულებისა და მასთან ერთად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, ხოლო შემდეგ – ასევე საქართველოს პრეზიდენტის 09.09.2003 წლის №143 ბრძანებულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ 2006 წლის 14 მარტის მდგომარეობით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტში მ. ლ-ეს გააჩნდა მოსამართლედ მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის სტაჟი, დასახელებული ფაქტობრივი გარემოება საფუძვლად ვერ დაედება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებას გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ ამ ნორმებით გათვალისწინებული სოციალური გარანტიის – კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა ორგანულად არის დაკავშირებული საკითხთან იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი საფუძვლით მოხდა მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, საბოლოოდ როდის და რომელი საფუძვლით შეწყდა, დასრულდა სახელმწიფოსა და მოსამართლეს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველებია: ა) პირადი განცხადება; ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა; გ) მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა; დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონედ აღიარება; ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; ზ) 65 წლის ასაკის მიღწევა; თ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალის-

წინებული წესის შესაბამისად; ი) გარდაცვალება; კ) სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება; ლ) სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა); მ) სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა; ნ) უფლებამოსილების ვადის გასვლა. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების 13 სხვადასხვა საფუძველი, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმე, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი. კერძოდ, ესენია: 1) სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის დასრულება, 2) სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტა სასამართლოს ლიკვიდაციის გამო, 3) მოსამართლის განთავისუფლება საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლი, აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი არ უშვებს 65 წლის ასაკს მიღწეული ყოფილი მოსამართლისთვის კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობას, თუკი ამ უკანასკნელმა მოსამართლის თანამდებობა დატოვა არა ვადის ამოწურვის, სასამართლოს ლიკვიდაციის, ან საპენსიო ასაკისთვის მიღწევის გამო, არამედ პირადი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, ფაქტი მასზედ, რომ მ. ლ-ემ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა (აგრძელებდა) გურჯაანის რაიონულ სასამართლოში იმ 10-წლიანი ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო აღნიშნულ სასამართლოში 1991 წლის 16 აგვისტოდან (უფლებამოსილების ვადა ამოიწურა 2001 წლის 16 აგვისტოს), სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნებისთვის ვერ წარმოშობს შესაბამის სასამართლებრივ შედეგებს, რადგან მასსა და სახელმწიფოს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა საბოლოოდ შეწყდა, დასრულდა არა 16.08.2001 წელს, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, არამედ 2006 წლის 14 მარტს, თავად მ. ლ-ის პირადი განცხადების საფუძველზე. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „დ“ პუნქტით დადგენილია, რომ კომპენსაცია – ეს არის პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა ამ კანონ-

ნით დადგენილი წესითა და ოდენობით. ამდენად, რადგან მხარეებს (დამსაქმებელი და დასაქმებული) შორის მანამდე არსებული შრომითი ურთიერთობების დასრულება კომპენსირდება კომპენსაციით (ანუ ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფით), კომპენსაციის დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია არა ამა თუ იმ შინაარსის შუალედური სამართლებრივი აქტი, არამედ ურთიერთობის დამაბოლოებელი სამართლებრივი აქტი, ამ აქტის გამოცემის და, მაშასადამე, ურთიერთობის დასრულების საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების 13 სხვადასხვა საფუძველიდან არ განასხვავებდა და ცალკე არ გამოყოფდა მხოლოდ რამოდენიმეს, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების 2012 წლის 2 ნოემბრის №03/2738 გადაწყვეტილება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 თებერვლის №04/7910 და 2013 წლის 27 მაისის №04/46359 გადაწყვეტილებები კანონიერია, არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი, ისინი სრულად შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლს, აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლს, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006 წლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ მოთხოვნებს. მოსარჩელე მ. ლ-ეს უსაფუძველობის გამო ასევე უარი ეთქვა მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების დავალდებულებაზე გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ლ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საკაცოო წესით გაასაჩივრა მ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში სა-



ქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარადგინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 14 მაისის განკარგულება მოსამართლე ნ. ა-ს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ და მიუთითა, რომ ასეთი აქტი მოსარჩელე მ. ლ-ის მიმართ საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია. კასატორი აღნიშნავს, რომ არც სასამართლომ და არც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გაითვალისწინა და არ შეაფასა ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებას მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე გამოსცემს. მისი შრომის წიგნაკი კი იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მასში ყოველი ცვლილების შეტანა სწორედ საბჭოს ევალებოდა. აღნიშნული კი იწვევს მოსამართლეთა განსხვავებულ სტატუსს, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევას.

ამასთან, კასატორის მითითებით, ვერც სააპელაციო სასამართლომ და ვერც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ დაასაბუთა, თუ როგორ მუშაობდა იგი ლიკვიდირებულ სასამართლოში, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ რატომ ცხადდებოდა მისი ადგილი ვაკანტურად, რატომ იღებდა იგი კონკურსში მონაწილეობას და რატომ დაინიშნა იგი მოსამართლის თანამდებობაზე თავიდან. კასატორი მიუთითებს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების 10-წლიან ვადას. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი გაუგებარია, როგორ უნდა გაეგრძელებინა მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2015 წლის 26 მარტს, 12:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლი-

სა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განსახილველ სამართალურთიერთობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადოდ არ იქნა შეფასებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. ლ-ე 1982 წლის 20 ივნისს არჩეულ იქნა გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლედ. 1987 წლის 21 ივნისს მოსარჩელე კვლავ არჩეულ იქნა გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლედ. ამასთან, 1989 წლის 24 ოქტომბრიდან 1991 წლის 16 აგვისტომდე იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1991 წლის 16 აგვისტოს №47/9 ბრძანებით მ. ლ-ე 1991 წლის 16 აგვისტოდან დაინიშნა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ 10 წლის ვადით. 1991 წლის 16 აგვისტოდან 1999 წლის 11 მაისამდე მოსარჩელე მუშაობდა გურჯაანის რაიონის მოსამართლედ.

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულების მე-14 პუნქტის თანახმად, გაუქმდა გურჯაანის რაიონის სასამართლო და შეიქმნა გურჯაანის რაიონული სასამართლო; აღნიშნული პუნქტი საბოლოოდ 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბა-

მისად გურჯაანის რაიონის სასამართლოს მოსამართლე მ. ღ-ეს დაეკისრა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2001 წლის 16 აგვისტომდე; ხოლო განკარგულება ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>ე</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მ. ღ-ეს დაეკისრა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება 18 თვის ვადით. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 9 აპრილის №143 ბრძანებულებით მ. ღ-ე დაინიშნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 10 წლის ვადით.

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 მარტის №195 ბრძანებულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. ღ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2012 წლის 12 ოქტომბერს მ. ღ-ეს შეუსრულდა 65 წელი, რის საფუძველზეც მოსარჩელემ კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას მიმართა. ადმინისტრაციულმა ორგანომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ღ-ის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მტკიცებით მას სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა ეკუთვნის ორი საფუძველით – იგი სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით, სასამართლოს ლიკვიდაციის გამო გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან, რა დროსაც მას უკვე ჰქონდა მოსამართლედ მუშაობის 16 წლის სტაჟი, ხოლო 2001 წლის 16 აგვისტოს მას დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტთა წრე, რა დროსაც კომპენსაციის მისაღებად მოსამართლე კანონით დადგენილ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, მოსამართლისთვის კომპენსაციის დანიშვნის წესს ითვალისწინებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახ-

მად, მოსამართლეს (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის: ა) 46-ე-49-ე მუხლებისა და 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე; ბ) საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში; გ) 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“, „ო“ ან „ჟ“ ქვეპუნქტის, ასევე 86<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი; დ) 85<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან გაუგრძელდა უფლებამოსილება.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევას ენიშნება კომპენსაცია, თუ: ა) დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა; ბ) უფლებამოსილება შეუწყდა სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ №2 დანართის – „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 7<sup>1</sup> მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილია, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლეს კომპენსაცია ენიშნება 65 წლის ასაკის მიღწევიდან, თუ უფლებამოსილების ვადა დაუმთავრდა ან უფლებამოსილება შეუწყდა სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. ასევე 1999 წლის 15 მაისიდან სასამართლო უფლებამოსილება შეუწყდა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გას-

ვლის, სასამართლოს ლიკვიდაციის, მოსამართლის თანამდებობის შექცევების, ან საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუფლევლობის გამო და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, აგრეთვე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პენსიაში გასულ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ 1999 წლის 15 მაისიდან. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე.

ამდენად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას უნდა დადგინდეს წარმოადგენს თუ არა მ. ლ-ე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსხვავებული სამართლებრივი შეფასებების მიუხედავად, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ასევე, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მ. ლ-ეს 2001 წლის 16 აგვისტოს დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა. აღნიშნულ გარემოებას არც ადმინისტრაციული ორგანოები ხდიან სადავოდ. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ერთი მხრივ დადგენილად მიიჩნევს მ. ლ-ის მიერ 2001 წლის 16 აგვისტოს სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამონწურვას, ხოლო მეორე მხრივ მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირს – საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამონწურვის მოტივით მ. ლ-ის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1999 წლის 15 მაისიდან მ. ლ-ეს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება იმჟამად მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>ე</sup> მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის სასამართლოს მოსამართლედ, რა დროსაც მ. ლ-ეს 2001 წლის 16 აგვისტომდე – სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამონწურვამდე დარჩენილი ჰქონდა 2 წელი და 3 თვე. ამასთან, აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ ვადის გასვლის შემდეგ ან ვადაზე ადრე თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შემთხვევაში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის აღ-

ნიშნული თანამდებობა ხდება ვაკანტური და მის დასაკავებლად ცხადდება კონკურსი ამ კანონით დადგენილი წესით. საკაცო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ მ. ლ-ის შრომის წიგნაკზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით მ. ლ-ისთვის 2001 წლის 16 აგვისტომდე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ ჩანაწერს მოსდევს ჩანაწერი საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულებით მ. ლ-ისთვის 18 თვის ვადით მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ. ხოლო სამოსამართლო უფლებამოსილების ვადაზე ადრე (2001 წლის 16 აგვისტომდე) შეწყვეტის ფაქტი არც შრომის წიგნაკიდან და არც საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

ამდენად, 2001 წლის 16 აგვისტოს მ. ლ-ემ ამოწურა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა, რასაც დამატებით 2001 წლის 13 სექტემბრის №961 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მისთვის 18 თვის ვადით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრება ადასტურებს. საგულისხმოა, თუ 2001 წლის 16 აგვისტოს მ. ლ-ემ არ ამოწურა 10-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა, მაშინ რატომ გახდა საჭირო მისთვის სამოსამართლო უფლებამოსილების კვლავ დაკისრება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსამართლის დანიშვნისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები რეგულირდებოდა იმჟამად მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და იმ პირობებში, როდესაც დადგენილია მ. ლ-ის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამოწურვის ფაქტი, დამატებით სამართლებრივი აქტის არარსებობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მოტივით მ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ვერ შეცვლის ორგანულ კანონს, ასევე, ფაქტს იმის შესახებ, რომ მ. ლ-ემ 2001 წლის 16 აგვისტოს ამოწურა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა. შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდება კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

ამდენად, 2001 წლის 16 აგვისტოს სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამოწურვით მ. ლ-ეს წარმოეშვა კომპენსაციის მიღების კანონიერი საფუძველი, მას შემდეგ რაც მოსარჩელეს შეუსრულდებოდა საპენსიო ასაკი – 65 წელი. ად-

მინისტრაციულმა ორგანოებმა, ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მ. ლ-ე კომპენსაციის დანიშვნას სწორედ 1999 და 2001 წლებში მოპოვებული უფლების საფუძველზე ითხოვდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულების მე-14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გაუქმდა გურჯაანის რაიონის სასამართლო, მაგრამ მიუთითებს, რომ მოსარჩელის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს – საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) სასამართლოს გაუქმების (ლიკვიდაციის) მოტივით გურჯაანის რაიონის სასამართლოს მოსამართლის – მ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოს ლიკვიდაციის საფუძველით კომპენსაციის მიღების უფლებას წარმოშობს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულების მე-14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც გაუქმდა გურჯაანის რაიონის სასამართლო. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში დამატებით სასამართლოს ლიკვიდაციის მოტივით მ. ლ-ის გათავისუფლების მიუთითებლობა ასევე ვერ იქონიებს გავლენას სასამართლოს ლიკვიდაციის საფუძველით კომპენსაციის მოპოვების უფლებაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის გარდამავალი ნორმების საფუძველზე მოსამართლეებს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში ლიკვიდაციის შემდგომ ახლად შექმნილ სასამართლოებში უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მ. ლ-ისთვის სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრება სწორედ გურჯაანის რაიონის სასამართლოს ლიკვიდაციის საფუძველზე მ. ლ-ის გათავისუფლების ფაქტს ადასტურებს. აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება ახალი სასამართლო სისტემის ამოქმედების შემდეგ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს მ. ლ-ის მოსაზრებას მასზე, რომ სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით, მოხდა რა სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა ახალი სასამართლოები, ცხადია, მ. ლ-ე ვერ იქნებოდა ლიკვიდირებული სასამართლოს მოსამართლე.



საყურადღებოა, თუ მ. ლ-ეს სასამართლოს ლიკვიდაციის გამო სამოსამართლო უფლებამოსილება არ შეუწყდა, მაშინ რატომ გახდა საჭირო მისთვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 მაისის №367 განკარგულებით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მოსამართლე ნ. ა-ის მიმართ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1999 წლის 14 მაისს გამოცემული №403 განკარგულება არ არის გამოცემული მოსარჩელე მ. ლ-ის იდენტურ შემთხვევაზე, კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით მოსამართლე ნ. ა-ია 1999 წლის 15 მაისიდან დაკავებული თანამდებობიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და 86<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე – დადგენილ ვადაში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუვლელობის გამო იქნა გათავისუფლებული. ამასთან, 86<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუვლელობის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის საბჭო საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში კი მ. ლ-ის მიმართ პრეზიდენტის განკარგულებების არარსებობა გავლენას ვერ იქონიებს მის მიერ კანონის საფუძველზე მოპოვებული უფლების განხორციელებაზე.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ლ-ის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს – საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია განკარგულებები სასამართლოს გაუქმების (ლიკვიდაციის) მოტივით გურჯაანის რაიონის სასამართლოს მოსამართლის მ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მოტივით მ. ლ-ის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მაგრამ სააპელაციო სასამართლო არ ასაბუთებს რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ასეთი განკარგულებების არსებობას იმ პირობებში, როდესაც დადგენილია გურჯაანის რაიონის სასამართლოს ლიკვიდაციისა და მ. ლ-ის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამოწურვის ფაქტები. სასამართლოს ლიკვიდაცია და სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა კი განსაზღვრულია კანონით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს,

რომ მ. ლ-ემ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 იენისის ორგანული კანონის საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა (აგრძელებდა) გურჯაანის რაიონულ სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო აღნიშნულ სასამართლოში და მან 2001 წლის 16 აგვისტოს სრულად ამოწურა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა, მაგრამ იმის გამო, რომ ვადის გასვლის მიუხედავად მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის კვლავ გაგრძელდა იმავე სახისა და შინაარსის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ლ-ის მოთხოვნა კომპენსაციის მიღების თაობაზე. ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა, მ. ლ-ეს უარი უთხრა კომპენსაციის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლო მ. ლ-ის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას ყურადღებას მიაქცევს თავად კომპენსაციის ბუნებასა და მისი დანიშვნის მიზნებს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოხატა ნება შეექმნა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის გამო. აღნიშნული სოციალური დაცვის გარანტია მოსამართლისთვის უზრუნველყოფილია ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (77-ე მუხ.). სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის საფუძვლით კომპენსაციის

დანიშვნა მათი დამსახურების ერთგვარ კომპენსირებას ახდენს. შესაბამისად, კომპენსაციის არსისა და მისი მიზნების გათვალისწინებით, გაუგებარია მ. ლ-ეს სამოსამართლო საქმიანობის გაგრძელებამ და 24 წლის განმავლობაში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებამ რატომ შეუზღუდა კომპენსაციის მიღების – დამატებითი სოციალური გარანტიით სარგებლობის უფლება. თუ 16 წლის სტაჟის მქონე მოსამართლე მიიღებდა კომპენსაციას, მაშინ რატომ ვერ უნდა მიიღოს კომპენსაცია 24 წლის სტაჟის მქონემ. ეს იმ პირობებში, როდესაც კომპენსაციის დანიშვნის მიზანს სწორედ მოსამართლის მიერ გაწეული შრომის ერთგვარი კომპენსირება წარმოადგენს.

ამდენად, კომპენსაციის მიზნებიდან და მისი დანიშვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კომპენსაცია თავისი არსით მოსამართლისთვის დამატებითი სოციალური დაცვის გარანტს უნდა წარმოადგენდეს, დაუშვებელია მ. ლ-ეს კომპენსაციის დანიშვნაზე უარი მხოლოდ იმ საფუძვლით ეთქვას, რომ მან სამოსამართლო უფლებამოსილების ამოწურვისა და სასამართლოს ლიკვიდაციის შემდგომ კვლავ გააგრძო სამოსამართლო საქმიანობა, ხოლო პირადი განცხადებით მას შემდეგ გათავისუფლდა, როდესაც მას კომპენსაციის მიღების უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდა. უფრო მეტიც, მ. ლ-ის მიერ 24 წლის განმავლობაში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება არათუ განამტკიცებს კომპენსაციის მიღების უფლებას, არამედ იგი გავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებები, ისევე როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, წინააღმდეგობაში მოდის თავად კომპენსაციის – როგორც დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიის არსთან, სამართალურთიერთობის ამგვარი განმარტებით იგნორირებულია კომპენსაციის დანიშვნის მიზნები და იწვევს მოსამართლეთა მიმართ თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ფაქტი ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს მოსამართლეებს. შესაბამისად, დაუშვებელია იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობას სხვადასხვა მოსამართლისთვის განსხვავებული რეგულირება დაედგინა და განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა შეექმნა მათთვის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო გურჯაანის რაიონულ განყოფილებას მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ლ-ისთვის კომპენსაციის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტასთან ერ-

თად საყურადღებოა კომპენსაციის გაანგარიშება და მისი ოდენობა, რაზეც საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს, რადგან აღნიშნული დავის საგანს არ წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ მ. ლ-ე კომპენსაციის დანიშვნას მის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან ითხოვს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 თებერვლის №04/7910 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 27 მაისის №04/46359 გადაწყვეტილება; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების 2012 წლის 2 ნოემბრის №03/2738 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას უნდა დაევალოს, საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, კომპენსაციის არსისა და მისი დანიშვნის მიზნებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ლ-ისთვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 თებერვლის №04/7910 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 27 მაისის №04/46359 გადაწყვეტილება;

5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების 2012 წლის 2 ნოემბრის №03/2738 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონულ განყოფილებას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-77-75(კ-15)

2 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 25 აპრილს თ. ლ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. ამასთან, მოპასუხეთა წრის დაზუს-

ტების შედეგად მოსარჩელემ მოპასუხედ ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრი მიუთითა.

მოსარჩელის მითითებით, 2005 წლამდე იგი მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაში, ... უფროსად ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში. მუშაობის ბოლო პერიოდში იგი გახდა II ჯგუფის ინვალიდი და დაენიშნა კომპენსაცია 440.91 ლარის ოდენობით. 2005 წლიდან იგი მუშაობდა სს „...“, ხოლო 2010 წლიდან – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ში“.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 დეკემბერს სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მისი კუთვნილი კომპენსაცია არ იყო დარიცხული, რის გამოც მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, სადაც განუმარტეს, რომ მას კომპენსაცია საჯარო საქმიანობის მოტივით მოეხსნა. მოსარჩელის განმარტებით, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ზუსტი ხელსაწყოების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამინდელ „დ-ში“), შემდეგ მინისტრთა საბჭოში, სახელმწიფო კანცელარიაში, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში და კარგად იცნობს „დ-ს“ სპეციფიკურობას, რომლის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება ყოველთვის იყო და დღესაც რჩება სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები სამხედრო დარგში. სამამულო საბრძოლო იარაღის, მასალების, აღჭურვილობის, მაკონტროლებელი და გამზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შესაქმნელად „დ-ა“ ატარებდა სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებს.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით, როცა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა „დ-ა“, მისი საქმიანობის პროფილი პრეზიდენტის ბრძანებულებით იყო შენარჩუნებული. შესაბამისად, „დ-ა“ წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებას; „დ-ა“ არ წარმოადგენს საჯარო სამსახურს და „დ-ში“ მომუშავე პენსიონერზე უნდა მოქმედებდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათი, მათ შეუძლიათ იმუშაონ და იმავდროულად მიიღონ კომპენსაცია, ხოლო არასწორად შეწყვეტილი კომპენსაცია უნდა აღდგეს იმ კანონით, რომლითაც იგი დაინიშნა.

ამდენად, მოსარჩელემ მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის

2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ლ-ეს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა უშიშროების ხაზით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველით. თ. ლ-ე მუშაობს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ში“.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2013 წლის 27 ნოემბერს ტერიტორიულ ერთეულებს გაუგზავნა №04/105912 მიმართვა და მიანოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, ამასთან განუმარტა, რომ დანართი №1-ში მითითებულ დანესებულებებში (აღნიშნულ დანართში სხვა დანესებულებებთან ერთად მითითებული იყო სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“) დასაქმებულ პირებს უნდა შეწყვეტოდათ სახელმწიფო გაცემელი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ეს საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით შეუწყდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია. თ. ლ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნა კანონიერად.

სასამართლოს განმარტებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთე-



ლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, ხოლო მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებია – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სასამართლოს მითითებით, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განმარტებულია კომპეტენტური ორგანოს ცნება. კერძოდ, კომპეტენტური ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო.

კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს ცნებას ითვალისწინებს ასევე „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ზ ბრძანების დანართი №2, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, სადაც განმარტებულია, რომ კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ახდენს კომპენსაციის დანიშვნას, მისი

გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტასა და გადაანგარიშებას, აგრეთვე კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს კომპენსაციის დანიშვნა, მისი გაცემა, ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა, გადაანგარიშება, აგრეთვე კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება.

სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი განმარტავს საჯარო საქმიანობის ცნებას. აღნიშნული განმარტების თანახმად (2013 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია), საჯარო საქმიანობა არის საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2013 წლის 27 ნოემბერს ტერიტორი-

ულ ერთეულებს გაუგზავნა №04/105912 მიმართვა და მიანოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, ამასთან განუმარტა, რომ დანართი №1-ში მითითებულ დაწესებულებებში (აღნიშნულ დანართში სხვა დაწესებულებებთან ერთად მითითებული იყო სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“) დასაქმებულ პირებს უნდა შეწყვეტოდათ სახელმწიფო გასაცემელი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 28 სექტემბრის №1120 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ს“ დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“. ცენტრი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო). ამავე დებულების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი; გ) გრანტების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; დ) საჯარო სამართლებრივი და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებებით მიღებული შემოსავლები; ე) საინფორმაციო, საკონსულტაციო-კვლევითი, საექსპერტო და სხვა სახის საჯარო და კერძო მომსახურებით მიღებული შემოსავლები; ვ) საქველმოქმედო შემოწირულობები; ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

სასამართლოს მითითებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2014 წლის 20 თებერვლის განმარტებით, უშუალოდ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო – ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. სასამართლოს მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ უშუალოდ სსიპ სახელ-

მნიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, ამიტომ მასში დასაქმებულ პირებზე ვერ გავრცელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათი.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა ემყარებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ნორმას, რაც მას მისცემს მითითებული ქმედების განხორციელების უფლებას. ამდენად, მოსარჩელის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პერიოდში, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა და არც დღეის მდგომარეობით გააჩნია საკანონმდებლო ნორმა, რაც მას მისცემდა შეწყვეტილი კომპენსაციის აღდგენის შესაძლებლობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადასტურებს სადავო აქტების დასაბუთებულობას, ხოლო მოსარჩელე ვერ აბათილებს აქტების დასაბუთებას წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტებით. სასამართლოს მოსაზრებით, ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, რის გამოც არ არსებობს სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან თ. ლ-ისთვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის დავალების თაობაზე, სასამართლოს მითითებით, წარმოადგენს სადავო აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის თანამდევ შედეგს, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელი იქნებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი, შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული

გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებით თ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამიად, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, შეუძლებელია სახელმწიფო ორგანიზაცია, სამამულო სამხედრო მეცნიერების ფლაგმანი, რომელიც შექმნილია პრეზიდენტის მიერ სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („დ-ს“ და „ს-ს“) ბაზაზე პროფილის შენარჩუნებით და რომელიც ახორციელებს სამეცნიერო, კვლევით, საცდელ და საკონსტრუქტორო სამუშაოებს ახალი ტიპის ტექნიკის შესაქმნელად, არ წარმოადგენდეს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებას. კასატორის მითითებით, კანონში არ არის ტერმინ „სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების“ განმარტება, ამდენად, კანონი არ ადგენს იმ აუცილებელი პარამეტრების ნუსხას, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება იმისათვის, რომ ეწოდოს „სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება“. შესაბამისად, თუ დაწესებულება აკმაყოფილებს მთავარ პარამეტრებს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისთვის (დაფუძნებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ახალი ტექნოლოგიების შექმნა, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, სამეცნიერო საბჭოს ფუნქციონირება), ასეთი დაწესებულება წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. პრეზიდენტის 2005 წლის 30 მაისის №394 ბრძანებულება და „დ-ს“ დებულება აბსოლუტურად

საკმარისია „დ-ს“ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებად მიჩნევისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2015 წლის 4 ივნისს, 13:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თ. ლ-ეს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა უშიშროების ხაზით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველით. ამასთან, თ. ლ-ე 2010 წლის 24 სექტემბრიდან დღემდე მუშაობს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ში“.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2013 წლის 27

ნომბერს ტერიტორიულ ერთეულებს გაუგზავნა №04/105912 მიმართვა და მიანოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-დან მიღებული ინფორმაცია. ამასთან, განუმარტა, რომ დანართი №1-ში მითითებულ დანესებულებებში (აღნიშნულ დანართში სხვა დანესებულებებთან ერთად მითითებული იყო სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „და“) დასაქმებულ პირებს უნდა შეწყვეტოდათ სახელმწიფო გასაცემელი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნომბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ეს საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო შეუწყდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია. თ. ლ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნომბრის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნომბრის გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნა კანონიერად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. თ. ლ-ეს სწორედ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო საქმიანობის განხორციელების მოტივით შეუწყდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს საჯარო საქმიანობის ცნებას, რომლის თანახმად (2013 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია), საჯარო საქმიანობა არის საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართვე-



ლოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამდენად, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო საქმიანობას და არ ქმნის კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველს.

შესაბამისად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დადგინდეს ახორციელებს თუ არა თ. ლ-ე საჯარო საქმიანობას, რის გამოსარკვევადაც უნდა დადგინდეს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ – სადაც ამჟამად მუშაობს თ. ლ-ე – წარმოადგენს თუ არა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. მოცემული დავის საგანს სწორედ „დ-ს“ საქმიანობის ფორმა და მისი პროფილი იწვევს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ადმინისტრაციული ორგანოები, ისევე როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოები მიუთითებენ, რომ „დ-ა“ არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, თუმცა ვერ გამორიცხავენ „დ-ს“ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; გადანყვეტილებას თ. ლ-ის მოთხოვნის არდაკმაყოფილებასთან დაკავშირებით აფუძნებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილს და მსჯელობის მიღმა ტოვებენ სადავო სამართალურთიერთობის სწორად გადანყვეტისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს – „დ-ს“ შექმნის საფუძვლებს, მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას და მის პროფილს.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ს“ შექმნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 მაისის №394 ბრძანებულებაზე, რომლის თანახმად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფაში სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სპეციფიკურობისა და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზი-

დენტის გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ს“ და მის შემადგენლობაში მყოფ ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „ს-ს“ ბაზაზე, პროფილის შენარჩუნებით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“, რომლის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ს“ დებულების შემუშავება და დამტკიცება დაევალა. აღნიშნული ბრძანებულება ხაზს უსვამს „დ-ს“ შექმნის მიზნებსა და საფუძვლებს, რომელიც სწორედ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფაში სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სპეციფიკურობისა და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით შეიქმნა.

ამასთან, აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 28 სექტემბრის №1120 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ს“ დებულება (თ. ლ-ისთვის კომპენსაციის შეწყვეტის დროს მოქმედი), რომლითაც განსაზღვრულია ცენტრის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი. დებულების მიხედვით, ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სხვადასხვა იარაღისა და მასალების შექმნა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება წარმოადგენს. მაგალითისათვის, მითითებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრის ძირითადი მიზნები, ამოცანები და ფუნქციებია საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო დანიშნულების ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნა, აღდგენა, მოდერნიზება, მომსახურება და რემონტი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯავშნე მასალების შექმნა, ცოცხალი ძალის უსაფრთხოებისა და სპეციალური ობიექტების დაცვითი სისტემების სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა; ასევე, „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქვეყანაში სეტყვასაწინააღმდეგო და ზვავსაწინააღმდეგო საქმიანობასთან დაკავშირებული სისტემების დამუშავება, მოდერნიზება, შექმნა, დაწერგვა და მომსახურება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცენტრი თავისი

უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ სანარმოებსა და ორგანიზაციებში ახალი ტექნიკის შექმნის საკითხებში შეიმუშავენს პრიორიტეტულ მიმართულებებს და შესაბამის სახელმწიფო პროგრამებს სათანადო უწყებებთან ერთად; „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცენტრი ამტკიცებს და გასცემს ტექნიკურ დავალებებს, გეგმებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებაზე; „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცენტრი ატარებს ცენტრში შექმნილი და დამზადებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის საცდელი ნიმუშების (კომპლექსების, სისტემების), სერიული პროდუქციის, აგრეთვე მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და მასალების გამოცდებს, მონაწილეობს მათ სახელმწიფო გამოცდებში, ამზადებს ტექნიკურ დოკუმენტაციას მათ მისაღებად შეიარაღებაზე და ახორციელებს სერიულ წარმოებაში დანერგვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ხოლო „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცენტრი ორგანიზებას უწევს და მონაწილეობას იღებს სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენცია, სემინარი, კონგრესი, ყრილობა), მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი ცენტრთან სათათბირო ორგანოს სტატუსით, მოქმედებს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის წევრები არიან ცენტრის წამყვანი სპეციალისტები.

ამდენად, „დ-ს“ საქმიანობის მიმართულებით, მისი მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი. ხოლო დაწესებულების სახელწოდება – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას.

საყურადღებოა, რომ „დ-ს“ იგივე მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის №321 ბრძანებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 10 სექტემბრის №1-1/247 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ს“ დებულებები. შესაბამისად, დაფუძნების დღიდან დღემდე (როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში ყოფნის დროს) „დ-ა“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარმოადგენს.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი ვერ შეცვლის პრეზიდენტის ბრძანებულებითა და თავად „დ-ს“ დებულებით განსაზღვრულ „დ-ს“ მიზნებსა და საქმიანობის მიმართულებას, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2014 წლის 20 თებერვლის წერილის (რომელიც თ. ლ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად იქცა) შინაარსზე, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ეცნობა, რომ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ არ წარმოადგენს „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. თუმცა, ამავე წერილში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიუთითა, რომ მის კომპეტენციას სცილდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსის განსაზღვრა. შესაბამისად, არც თავდაცვის სამინისტროს წერილი გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ „დ-ა“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარმოადგენს.

ასევე აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეზე „დ-ა“ არ იყო მოწვეული, თუმცა საქმის მასალებში წარმოდგენილია „დ-ს“ გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2014 წლის 31 იანვარს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარსადგენად გაცემული ცნობა, რომელიც ეძლევა თ. ლ-ეს მასზე, რომ იგი 24.09.2010 წლიდან დღემდე ნამდვილად მუშაობს სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ს“ მომსახურებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის პროდუქტების მიწოდების შემდგომი მომსახურების სამმართველოში ექსპერტად. ამასთან, ცნობაში აღნიშნულია, რომ სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დ-ა“ არ წარმოადგენს საჯარო სამსახურს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა თ. ლ-ისთვის კუთვნილი კომპენსაციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან, თ. ლ-ე, რომელიც ექსპერტად მუშაობს სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ-ში“, არ ახორციელებს საჯარო საქმიანობას. შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური

მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გა-  
დანყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს უნდა  
დაევალოს თ. ლ-ისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტი-  
ლი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივ-  
რებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის  
5 მარტის №04/18068 გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თ.  
ლ-ეს სახელმწიფო კომპენსაცია 2004 წლის 22 ნოემბრიდან და-  
ნიშნული ჰქონდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და  
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში  
დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნ-  
ველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხო-  
ლო საქმის მასალებში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსა-  
ხურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახუ-  
რების ცენტრის 2013 წლის 22 ნოემბრის ცნობის თანახმად, თ.  
ლ-ე აღრიცხვაზე იმყოფებოდა ვაკე-საბურთალოს სოციალური  
მომსახურების ცენტრში, უშიშროების ხაზით სახელმწიფო კომ-  
პენსაციის მიმღები, როგორც შშმ მნიშვნელოვანი (მე-2 ჯგ),  
თადარიგის უფროსი ლეიტენანტი, თანხით 440.91 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემ-  
თხვევაში თ. ლ-ისთვის კომპენსაციის აღდგენასთან ერთად სა-  
ყურადღებოა კომპენსაციის გაანგარიშება და მისი ოდენობა.  
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო  
არ იზიარებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მო-  
საზრებას, სადაც იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო კომპენსა-  
ციის მიღებაზე ხელახლა უფლების მოპოვების შემთხვევაში თ.  
ლ-ის სახელმწიფო გასაცემლის გაანგარიშება ვერ განხორცი-  
ელდება გაუქმებული ნორმებით და კომპენსაციის შეწყვეტამ-  
დე არსებული ოდენობით. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გა-  
ითვალისწინა ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში სახე-  
ზე არ გვაქვს კომპენსაციის მიღებაზე ხელახლა უფლების მო-  
პოვების შემთხვევა, თ. ლ-ემ უფლება კომპენსაციაზე სწორედ  
ძველი წესით მოიპოვა და მას კომპენსაციის მიღების უფლება  
არ დაუკარგავს. კასატორიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ით-  
ხოვს კომპენსაციის აღდგენას და არა დანიშნას. ამასთან, მარ-  
თალია, კომპენსაციის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად „სა-  
ხელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტი-  
პენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი საჯარო  
საქმიანობის განხორციელებას განსაზღვრავს, თუმცა საყუ-  
რადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში კომპენსაციის შენ-

ყველა თავისი არსით კომპენსაციის შეჩერებას გულისხმობს, შესაბამისად, მოსარჩელე იმ უფლებებში უნდა აღდგეს, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა. უფლება კომპენსაციაზე მოსარჩელეს შენარჩუნებული ჰქონდა და „დ-ს“ საქმიანობის ხასიათის მიუხედავად მას უფლება ჰქონდა ესარგებლა არჩევანით – კომპენსაცია ან სამსახური. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრების გაზიარების პირობებში, უკანონოდ შეწყვეტილი კომპენსაციის აღდგენის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი ხდება პირის უფლებებში აღდგენა, რაც შექმნის კომპენსაციის უკანონოდ შემცირების პრეცედენტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალ დებულებებზე, კერძოდ, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს (პენსიის დანამატებთან ერთად) ენოდა შესაბამისად კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია და მათი გაცემა გაგრძელდა, როგორც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული კომპენსაციისა/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიისა, ხოლო მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით ამ კანონის ამოქმედებამდე უკვე დანიშნული კომპენსაცია არ ექვემდებარება გადაანგარიშებას; 37-ე მუხლის თანახმად კი ამ კანონის ამოქმედებამდე ამავე კანონის 36-ე მუხლში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად დანიშნული კომპენსაციების გაცემა, რომელთა მიღებას არ ითვალისწინებს ეს კანონი, გაგრძელდა ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობით მისი მიღების შეწყვეტის საფუძველების წარმოშობამდე.

შესაბამისად, თ. ლ-ეს, რომელიც ნლების განმავლობაში იღებდა უშიშროების ხაზით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველით დანიშნულ სახელმწიფო კომპენსაციას 440.91 ლარის ოდენობით, კომპენსაცია იმ ოდენობით უნდა აღუდგეს რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-

მაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 მარტის №04/18068 გადაწყვეტილება;
5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს თ. ლ-ისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის კანონიერება

## განმარტება

№ბს-632-619(კ-14)

9 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციე-  
ლება

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 29 ნოემბერს პ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1994-2004 წლებში მუშაობდა უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე. მას აქვს სამხედრო წოდება ვიცე-პოლკოვნიკი. სამინისტროს გაუქმების შემდეგ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო 2005-2011 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, საიდანაც დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო.

მოსარჩელის მითითებით, 2013 წლის 1 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსს, რომლითაც ითხოვდა წარდგინების მომზადებას კანონით გათვალისწინებული სამხედრო კომპენსაციის დასანიშნად. ამავე წლის 9 აგვისტოს აღნიშნულ განცხადებაზე მოსარჩელემ წერილობითი უარი მიიღო (№3/4-2377/13) იმ საფუძველით, რომ უშიშროების სამინისტროში ნამსახურები წლები არ ჩაეთვალა სამხედრო სამსახურად. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ აღნიშნული პასუხი ეწინააღმდეგებოდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელ-

მნიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს, რის გამოც პ. ბ-ემ მითითებული უარი ისევ გაასაჩივრა, რაზეც 2013 წლის 26 სექტემბერს მიიღო ახალი №3/4-2933/13 წერილი, რომელიც არ განსხვავდებოდა წინა უარისგან. მოსარჩელემ ჩათვალა, რომ აღნიშნული პასუხიც უკანონო იყო და გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. აღნიშნულ საჩივარზე 2013 წლის 11 ნოემბერს მოსარჩელემ ისევ წერილობითი უარი მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის №MOD9 13 00019047 ბრძანების, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით პ. ბ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ბ-ე 1994-2004 წლებში მუშაობდა უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე. მას აქვს სამხედრო წოდება ვიცე-პოლკოვნიკი. სამინისტროს გაუქმების შემდეგ მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც მისი ნამსახურობის სტაჟი შეადგენდა 5 თვესა და 26 დღეს. 2005 წლის 1 ოქტომბრიდან მოსარჩელე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, საგამოძიებო დანაყოფების ორგანიზაციული კონტროლის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში. 2007 წლის 24 ივლისიდან იგი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, სადაც მისმა ნამსახურობის პერიოდმა შეადგინა 1 წელი, 9 თვე და 23 დღე. 2009 წლის 24 აგვისტოდან პ. ბ-ე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური

სამმართველოს პატრულის განყოფილების პატრულად დაინიშნა, საიდანაც დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. ნამსახურების პერიოდი შეადგენს 1 წელს, 4 თვესა და 22 დღეს.

მოსარჩელემ 2013 წლის 1 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსს და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით წარდგინების მომზადება მოითხოვა. ამ უკანასკნელის 2013 წლის 9 აგვისტოს №3/4-2377/13 წერილით პ. ბ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს და ზემოაღნიშნული წერილის ბათილად ცნობა და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 19 სექტემბრის №1055 ბრძანებით პ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 9 აგვისტოს №3/4-2377/13 წერილი და მასვე დაევალა პ. ბ-ის განცხადების განხილვა და ახალი აქტის გამოცემა ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 წერილით პ. ბ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ 2013 წლის 8 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით კვლავ მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 წერილის ბათილად ცნობა და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის №MOD9 13 00019047 ბრძანებით პ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლები, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებას-

თან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები. მითითებული კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განმარტებულია კომპეტენტური ორგანოს ცნება, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს. ამასთან, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების (დანართი №2) მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განმარტებულია, რომ კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

სასამართლომ მიუთითა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე, შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილ იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმით კომპენსაციის დანიშვნას განაპირობებს გარემოებები, რომელთა თანახმად, პირი სამხედრო სამსახურში ჩარიცხული უნდა იყოს 1991-1995 წლებში, დათხოვნილი უნდა იქნეს ზღვრული ასაკის გამო, უნდა ჰქონდეს შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურების 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ამასთან, დათხოვნილი უნდა იყოს სამხედრო სამსახურიდან. საქალაქო სასამართლომ,

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დადაგენილად მიიჩნია, რომ პ. ბ-ეს შეიარაღებული ძალების რიგებში ნამსახურები აქვს 3 წელი, 2 თვე და 13 დღე, დათხოვნილია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან ზღვრული ასაკის გამო, ხოლო სამხედრო ძალებში ნამსახურობა შეადგენს 13 წელს და 3 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე პ. ბ-ეს არ ჰქონდა შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურების 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი შეადგენდა 20 კალენდარულ წელზე ნაკლებს. ამდენად, იგი ვერ აკმაყოფილებდა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურების 20 წელზე ნაკლები კალენდარული წელი. ამ მუხლის მიზნებისთვის ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურების წლებად განესაზღვროს 20 წელი. სააპელაციო სასამართლომ

გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ პ. ბ-ეს შეიარაღებული ძალების რიგებში ნამსახურები აქვს მხოლოდ 3 წელი, 2 თვე და 13 დღე, დათხოვნილია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, ხოლო სამხედრო ძალებში მისი ნამსახურება შეადგებს 13 წელს და 3 დღეს. ამდენად, იგი არ წარმოადგენს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სუბიექტს, შესაბამისად, არ არსებობს სადავო აქტების ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების დავების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და სრულიად უგულებელყო „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გადასულ პირთა სპეციალური ნოდებების შესაბამის სამხედრო ნოდებებთან გათანაბრების შემთხვევაში, სპეციალური ნოდებით ნამსახურები წლები ჩაითვლება სამხედრო სამსახურის სტაჟში. აქედან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ უშიშროების სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროში გადასვლისას მას უკვე ჰქონდა სპეციალური ნოდება – ვიცე-პოლკოვნიკი და ამავე ნოდებით დაინიშნა თავდაცვის სამინისტროში. ამდენად, სრულიად გაუგებარია, სამხედრო ნოდებით ნამსახურები წლები რატომ არ ჩაითვალა სამხედრო სამსახურის სტაჟში.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც იმპერატიულად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისზეც ვრცელდება მითითებული კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინებით პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2015 წლის 21 მაისს, 13:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: პ. ბ-ე 1994-2004 წლებში მუშაობდა უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე. მას აქვს სამხედრო წოდება ვიცე-პოლკოვნიკი. სამინისტროს გაუქმების შემდეგ მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც მისი ნამსახურობის სტაჟი შეადგენდა 5 თვესა და 26 დღეს. 2005 წლის 1 ოქტომბრიდან პ. ბ-ე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, საგამოძიებო დანაყოფების ორგანიზაციული კონტროლის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში. 2007 წლის 24 ივლისიდან იგი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, სადაც მისმა ნამსახურების პერიოდმა შეადგინა 1 წელი, 9 თვე და 23 დღე. 2009 წლის 24 აგვისტოდან პ. ბ-ე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, სამხედრო პოლიციის კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილების პატრულად დაინიშნა, საიდანაც 2011 წლის 14 იანვრიდან დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. ნამსახურების პერიოდი შეადგენდა 1 წელს, 4 თვესა და 22 დღეს.

პ. ბ-ემ 2013 წლის 1 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსს და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით წარდგინების მომზადება მოითხოვა. ამ უკანასკნელის 2013 წლის 9 აგვისტოს №3/4-2377/13 წერილით პ. ბ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 16 აგვისტოს პ. ბ-ემ ადმინისტრაციული საჩივ-



რით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს და ზემოაღნიშნული წერილის ბათილად ცნობა და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 19 სექტემბრის №1055 ბრძანებით პ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 9 აგვისტოს №3/4-2377/13 წერილი და მასვე დაევალა პ. ბ-ის განცხადების განხილვა და ახალი აქტის გამოცემა ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 წერილით პ. ბ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პ. ბ-ემ 2013 წლის 8 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით კვლავ მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 წერილის ბათილად ცნობა და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის №MOD9 13 00019047 ბრძანებით პ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

განსახილველი დავის საგანს სწორედ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის №MOD9 13 00019047 ბრძანებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2013 წლის 26 სექტემბრის №3/4-2933/13 გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა წარმოადგენს, რომლითაც პ. ბ-ეს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, წელთა ნამსახურობის გაანგარიშებაზე (წარდგინების მომზადებაზე) უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, პ. ბ-ე წარმოადგენს თუ არა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სუბიექტს, შესაბამისად, შეფასება უნდა მიეცეს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს არის თუ არა იგი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, დაცულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელი პირობები. მითითებული მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე, შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილ იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სამხედრო, შინაგან საქმე-

თა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე, კერძოდ, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები: ა) „ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობენ საქართველოს სამხედრო ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობა უკავშირდება, კერძოდ, პირი სამხედრო სამსახურში ჩარიცხული უნდა იყოს 1991-1995 წლებში, დათხოვნილი უნდა იქნეს ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, უნდა ჰქონდეს შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, ასევე, დათხოვნილი უნდა იყოს სამხედრო სამსახურიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ პ. ბ-ე 1994-2004 წლებში მუშაობდა უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე; 2005 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 24 ივლისამდე მუშაობდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, საგამოძიებო დანაყოფების ორგანიზაციული კონტროლის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად, განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში; 2009 წლის 24 აგვისტოდან 2011 წლის 14 იანვრამდე მუშაობდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, სამხედრო პოლიციის კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილე-

ბის პატრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პ. ბ-ეს შეიარაღებული ძალების რიგებში ნამსახურები აქვს 3 წელი, 2 თვე და 13 დღე, დათხოვნილია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, ხოლო სამხედრო ძალებში ნამსახურება შეადგენს 13 წელს და 3 დღეს.

საკასაციო პალატის დასკვნით, პ. ბ-ეს არა აქვს შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც, ხოლო შრომის საერთო სტაჟი 13 წელს არ აღემატება. ამდენად, იგი ვერ აკმაყოფილებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ“ 1992 წლის 22 დეკემბრის კანონი, რომელთა თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ შედიოდნენ საქართველოს უშიშროების სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურები. ამდენად, უშიშროების სამინისტროში პ. ბ-ის წელთა ნამსახურობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სრულიად სამართლიანად არ ჩაითვალა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურად.

საკასაციო პალატამ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონზე, რომლითაც დადგენილია ნამსახურების ვადის ამონურვის გამო დანიშნული კომპენსაციების გადაანგარიშების საკითხები. მითითებული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადაანგარიშება ეხებათ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის 20-ზე ნაკლები კალენდარული წელი, ამ მუხლის მიზნებისთვის ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურობის წლებად განესაზღვროთ 20 წელი.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციას და განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მე-8 მუხლი ეხება სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოდან დათხოვნილ პირთა, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშებას. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს იმ შინაარსის ნორმას, რომლის საფუძველზეც ხდება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნის დროს თანხის ოდენობის გაანგარიშება. პირებს, რომლებსაც აქვთ ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურობის 20-ზე ნაკლები კალენდარული წელი, მაგრამ უკვე მოპოვებული აქვთ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება, ამ მუხლის მიზნებისთვის, ნამსახურების წლებად განესაზღვრებათ 20 წელი. ეს ის შემთხვევაა, როცა შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობის 10 კალენდარული წელი სრულიად საკმარისია სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად. ამდენად, მითითებული ნორმა სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირებს არათანაბარ მდგომარეობაში არ აყენებს და თანხის გაანგარიშების დროს უთანაბრებს 20-წლიანი სტაჟის მქონე მოქალაქეებს.

საკაცაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კაცაციის მოტივს იმასთან დაკავშირებით, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გადასულ პირთა სპეციალური წოდებების შესაბამის სამხედრო წოდებებთან გათანაბრების შემთხვევაში, სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები ჩაითვლება სამხედრო სამსახურის სტაჟში. აქედან გამომდინარე, უშიშროების სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროში გადასვლისას პ. ბ-ეს უკვე ჰქონდა სამხედრო წოდება – ვიცე-პოლკოვნიკი, მაგრამ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ მითითებული ნორმა არ გაითვალისწინა და სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები არ ჩათვალა სამხედრო სამსახურის სტაჟში.

საკაცაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირება არ ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ წრეზე, ვინაიდან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ პირთა სპეციალური წოდებების შესაბამის სამ-

ხედრო ნოდებებთან გათანაბრების შემთხვევაში, სპეციალური ნოდებით ნამსახურები წლები ჩაითვლება სამხედრო სამსახურის სტაჟში. ამ მუხლით გათვალისწინებულ პირთა ჩამონათვალი დაკონკრეტებულია ამავე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, რომელთა თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 1 თებერვლამდე გადასულ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ პირებს მიენიჭებათ მათი სპეციალური ნოდების შესაბამისი სამხედრო ნოდება. ვინაიდან პ. ბ-ე არ წარმოადგენს 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 1 თებერვლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან შეიარაღებულ ძალებში გადასულ პირს, აქედან გამომდინარე, მასზე არ შეიძლება გავრცელდეს ზემოაღნიშნული ნორმა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს – პ. ბ-ეს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

### 1. შრომითი დავები

<b>ა. სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება</b>	
პროკურორის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება .....	3
არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება .....	18
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ვადა .....	37
სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო .....	43
<b>ბ. სამუშაოზე აღდგენა</b>	
ატესტაციის შედეგების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა .....	56
სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის კანონიერება .....	75
<b>გ. სახელფასო დავალიანება</b>	
მოსარჩელეთა სახელფასო დავალიანების არსებობის დადგენა .....	93

### 2. სახელმწიფო კომპენსაცია (პენსია)

სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშების საფუძველი .....	119
სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) მოთხოვნის კანონიერება .....	131
კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი .....	157
სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის კანონიერება .....	174



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)